Konrad Adenauer Stiftung

CIPDD

დავიწყებული ისტორიები: კათოლიკური და ებრაელი თემები ქუთაისში

თბილისი

2019

კრებული გამოიცემა კონრად ადენაუერის ფონდის და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თანამშრომლობით.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და ინფორმაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კონრად ადენაუერის ფონდის და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თვალსაზრისებს.

© კონრად ადენაუერის ფონდი, 2019

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2019

ISBN 978-99928-37-56-6

კონრად ადენაუერის ფონდი
თბილისი, ახვლედიანის აღმართი 9ა, 0103, საქართველო
ტელ. 2459111, ფაქსი 2240103
kas.de/SuedKauKasus

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 72
ტელ. 2355154, ფაქსი 2355754
www.cipdd.org

სარჩევი

დათო დოლაბერიძე. *წარუშლელი კვალი* 5

ანა თორია, მაია კაშია, მარიამ ფანჩულიძე,
დათო ქათამაძე. *ებრაელთა უბანი* 15

მაკა კაჭკაჭიშვილი. *კოკოჩაშვილები,*
პირველი აფთიაქი და ლაღიძის წყლები 26

მელანო კობახიძე. *იოსებ ოცხელი* 39

ირაკლი ლორთქიფანიძე.
წმიდა მიწიდან ქუთაისამდე... 52

ანა მაჭავარიანი. *ქუთაისელი კათოლიკეები* და
''ლაღიძის წყლების" ისტორია 72

მარიტა ტყეშელაშვილი. *ვეფხის მძლეველი* 83

თეონა ძოწენიძე. *სიყვარულისა და თანაგრძნობის*
სული 92

სალომე ჭეიშვილი. *გააჩერე წამი!* 109

ლოლიტა ჭოლაძე. *ცოტა რამ იაკობ ბეგიშვილის*
შესახებ 121

წინამდებარე გამოცემა კონრად ადენაუერის ფონდის და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი პროექტია. 2012 წლიდან დღემდე, ყოველ წელს, ხუთი თვის განმავლობაში, მსოფლიო რელიგიათა კლუბში, ახალგაზრდები, არსებითად, სტუდენტები, ისმენენ ლექციებს და ერთვებიან დისკუსიებში მსოფლიოში ყველაზე გავრცელებელი რელიგიების წარმოშობის, თეოლოგიური საფუძვლების და წეს-ჩვეულებების შესახებ. გარდა შეხვედრებისა კლუბელები მონაწილეობენ მრავალფეროვნების ტურში, რაც გულისხმობს ამა თუ იმ დენომინაციის წარმომადგენელთა რელიგიური ცენტრების გაცნობას.

2018 წელს მსოფლიო რელიგიათა კლუბი ქუთაისში ჩატარდა. ტრადიციული მრავალფეროვნების ტურის გარდა კლუბის წევრები გაეცნენ კათოლიკური და ებრაული თემის კვალს ქუთაისში - ამ თემთა უდიდეს ღვაწლს ქალაქის და, ზოგადად, ქვეყნის კულტურულ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ტურის შემდეგ, კლუბის მონაწილეებისთვის ჩატარდა ესეების/ნარკვევების კონკურსი. კონკურსის მონაწილეს უნდა წარმოედგინა ნაშრომი ქუთაისის კათოლიკე ან ებრაელი კონკრეტული მოღვაწის ან თავად თემის ისტორიის შესახებ. საამისოდ მათ უნდა ემუშავათ არქივებში, ბიბლიოთეკებში, მოეძებნათ მათ მიერ შერჩეულ პირთა შთამომავლები. წარმოდგენილი შრომებიდან გამოსაცემად ათი ესე იქნა შერჩეული.

დათო დოლაბერიძე

წარუშლელი კვალი

რუთი და როზა თავდიდიშვილები

ერის ისტორია ფასდება და მართლდება თავისი სახელოვანი შვილების ღვაწლით და სახელით. ჩვენი ქალაქის ღირსეულმა ქალბატონებმა წარუშლელი კვალი დატოვეს როგორც ქალაქის, ისე მასში მცხოვრები ებრაელებისა და ქუთაისელების განვითარებაში. გაზარდეს საამაყო მომავალი თაობა და ანდერძად დაგვიბარეს: ქველმოქმედება, სიკეთე, დაუოკებელი სწრაფვა განათლების მისაღებად. ყოველივე ეს მუდამ იარსებებს.

რუთი თავდიდიშვილი

1926 წლის 20 ივნისს ქუთაისელი ქართველი ებრაელების, მარიამ მოშიაშვილისა და იეკუთიელ ეგუთი თავდიდიშვილის ოჯახში პატარა გოგონა დაიბადა. იმ პერიოდში არავის ჰქონდა გოგონას გადარჩენის იმედი, მაგრამ ღმერთმა ინება და გოგონა გადარჩა. სახელად რუთი დაარქვეს, არც ის იცოდნენ, რომ ეს ერთი ციცქნა გოგონა სახელგანთქმული მეთოჯინე მსახიობი გახდებოდა. ქალი და თეატრი ცოტა რთული აღსაქმელი იყო იმ დროისათვის.

რუთი იზრდებოდა, რეჟისორობაზე ოცნებობდა, თეატრი მისი გატაცება ხდებოდა, ყოველ საღამოს თეატრში ატარებ-

და. მის უბანში ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობთა უმეტესობა ცხოვრობდა; თეატრზე შეყვარებული გოგონასათვის და ერთგული მაყურებლისთვის ეს დიდი სიხარული იყო.

მაგრამ შემდგომ მეორე მსოფლიო ომი მიზნების და ოცნებების მსხვრევის და დაკარგული სამსახურის მიზეზი გახდა.

"ერთი წელი გავიდა ომის დამთავრებიდან, ჩემი ძმა მაისი არ დაბრუნდა, დღემდე კარებზე გვიჭირავს თვალი, იქნებ მოხდეს სასწაული და მისი დაღუპვის ცნობა ტყუილი აღმოჩნდეს.

ერთ დღეს ქუჩაში სერგო ცაგარეიშვილი შემხვდა, ის ჩვენი ოჯახისთვის ძალიან ახლობელი იყო, ძმის მეგობარი და მამას მეგობრის შვილი, საკმაო ხანი არ მინახავს. მიხარია ძმის მეგობრებთან შეხვედრა, მათ რომ ვხვდები, ასე მგონია, ჩემი ძმა ისევ ჩემს გვერდითაა. ჩემი სევდის მიზეზი რომ ვუთხარი, მითხრა: „რუთი, ქუთაისში თოჯინების თეატრს ვაყალიბებთ, ვიცი შენი შესაძლებლობები, მახსოვს სკოლაში როგორი აქტიური იყავი და წამოდი ჩვენთან, მსახიობები გვჭირდება, ერთად გავაკეთოთ კარგი საქმეო, თან სამსახურის პრობლემაც მოგეხსნებაო.

უარი ვუთხარი, იმ მოტივით რომ მამა არ დათანხმდებოდა ჩემს თეატრში მუშაობას. ეგ მე მომანდეო, მითხრა სერგომ. მე დავითანხმებ ეგუთი ბიძიასო. სერგო მოვიდა ჩვენთან, კაბინეტში ჩაიკეტნენ, არ ვიცი, რა უთხრა მამას, მაგრამ საოცრება მოხდა, მამა დათანხმდა. ხვალ უნდა გამოვცხადდე ახალ სამუშაო ადგილზე, ეს არის თეატრი.

დღეს მოვედი ეგრეთ წოდებულ თეატრში, თეატრი ყოფილი ღვინის სარდაფია. ყველაფერი ღვინის სუნითაა გაჟღენთილი, უამრავი სამუშაო გვიდევს წინ, რომ ეს შენობა თეატრს დავამსგავსოთ. ბევრი რამ არის საკეთებელი, სკამიც კი არ გვაქვს. ხვალ სერგო სქემას მოიტანს და იმის მიხედვით შევუდგებით თეატრის ინტერიერის მოწყობას."[1]

---

[1] ციტირებულია, ფილმიდან „თეთრი ფინია"რომელიც ქუთაისის თოჯინების თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ლაშა გაგოშიძემ გადაიღო.

ასე დაიწყო მსახიობ რუთი თავდიდიშვილის შემოქმედებითი გზა ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრში. 1946 წლის 31 დეკემბერს საზეიმოდ აიხადა თოჯინების თეატრის ფარდა და პირველი სპექტაკლის მონაწილეთა შორის მისი სახელი და გვარიც გამოჩნდა. წარმოდგენილი იყო აკაკი ბელიაშვილის „თეთრი ფინია“, რომელშიც რუთი პატარა განებივრებული, ჯიუტი ბიჭუნას როლს ასრულებდა. სპექტაკლი წარმატებული გამოდგა. რუთის შესანიშნავი ხმა და გარდასახვის უნარი კარგად შეესაბამა თოჯინურ სპექტაკლს.

“არასოდეს დამავიწყდება 1946 წლის 31 დეკემბერი, ახალი წლის საღამო, როდესაც სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თეჯირი ჩამოიწია და ამდენი გახარებული, გაბრწყინებული მაყურებლის სახე დავინახე და მივხვდი, რომ გავიმარჯვეთ. ეს მთელი კოლექტივის გამარჯვება იყო, ყველას სიხარულის ცრემლები გვდიოდა, ჩემს გვერდით ამ დიდი სიხარულის მონაწილე გახლდათ ჩემი ბავშვობის მეგობრები ეთერ თოდუა და მარგო გალდავა, მაგრამ ჩვენი გამარჯვება უპირველესად სერგო ცაგარეიშვილსა და დოდო ანთაძეს ეკუთვნის, დიდ საქმეს ჩავუყარეთ საფუძველი და იმედია, თოჯინების თეატრი მრავალი წელი იცოცხლებს.”[2]

გადიოდა წლები, როლს როლი მოსდევდა, წარმატებას – წარმატება. 32 წლის მანძილზე 80 როლი შეასრულა; ამ ხნის განმავლობაში იყო სამი მცირე პაუზაც, მაგრამ მსახიობი ისევ უბრუნდებოდა საყვარელ თეატრს, რადგან გრძნობდა, რომ მხოლოდ იქ იყო მისი ადგილი, იქ მას პატარა მაყურებელი ელოდა.

ჩემთან საუბარში ქალბატონი რუთის ქალიშვილი, მანანა არონაშვილი, რომელიც ასევე ქუთაისის თოჯინების თეატრის მსახიობია (ამჟამად ისრაელში იმყოფება) ჰყვება: “მისთვის ყოველი დღე განსაკუთრებული იყო, ისე უყვარდა თავისი თეატრი, მას მის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. როდესაც საწოლს მიეჯაჭვა ავადმყოფობის გამო და წასვლა აღარ შეეძლო, ძალიან განიცდიდა.”

---

[2] ფილმიდან „თეთრი ფინია“

ქალბატონი მანანა ერთ ასეთ შემთხვევას იხსენებს:

„იყო ასეთი სპექტაკლი, „მაგდანას ლურჯა“, სადაც დედა მაგდანას შვილის – მიხოს როლს თამაშობდა. სცენა იყო ასეთი, რომ მაგდანა შვილებს აძინებს და დარდისაგან გადაღლილი ღამე ეზოში გამოდის სალოცავად, ამ დროს ძაღლის ყეფა და ყმუილი იწყებოდა. დედა ყეფდა და ყმუოდა. მაშინ პარტკაბინეტი იყო ჩვენი თეატრის მეორე სართულზე და იქედან გულგახეთქილები ჩამოცვივდნენ, ძაღლი რად გყავთ დამწყვდეული, გამოუშვით თორემ მილიციას გამოვიძახებთო. იმდენად ბუნებრივი იყო...“

1979 წლის 15 მარტს, სამშაბათს, საბედისწერო დღე გათენდა. რუთი თავდიდიშვილი საკმაოდ ახალგაზრდა, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. კიდევ რომ ეცოცხლა, ვინ იცის რამდენ როლს შესთავაზებდა საყვარელ მაყურებელს.

ქუთაისის თოჯინების თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ლაშა გაგოშიძე, რომელმაც მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაიღო ქალბატონი რუთის შესახებ, იხსენებს:

„რუთი თავდიდიშვილი გახლავთ პირველი ქართველი ებრაელი მსახიობი ქალბატონი, რომელიც ქუთაისის თოჯინების თეატრის დაარსების სათავესთან იდგა სერგო ცაგარეიშვილთან, დოდო ანთაძესთან და იმ დიდ პიროვნებებთან ერთად, რომლებმაც ითავეს ქუთაისში თოჯინების თეატრის დაარსება. თავიდან გამოეყო ჯგუფი მესხიშვილის დიდ თეატრს, ასე ვთქვათ, შვილობილი თეატრია დიდი თეატრის. მომზადნენ სპეციალურად მეთოჯინეები, სხვათაშორის, რამდენიმე მსახიობი თბილისიდან ჩამოვიდა სპეციალურად, რომ თოჯინების თეატრი დაარსებულიყო ქუთაისში. პირველი სპექტაკლი იყო აკაკი ბელიაშვილის „თეთრი ფინია“, რომელიც 1946 წლის 31 დეკემბერს გაიმართა ქუთაისში და ქალბატონი რუთი ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობდა ამ სპექტაკლში. მე შევეცადე, მცირედ გამეცოცხლებინა, ასე ვთქვათ, ამ ქალბატონის ისტორია მის თანამედროვეებთან ერთად. ვიდეო–მასალები, რა თქმა უნდა, არ არსებობს და არც ფოტო ფირები. შევეცადე, ფოტო–მასალა, რომელიც თეატრის არქივში იყო დაცული, გამომეყენებინა და გამე-

ცოცხლებინა მსახიობების დახმარებით, რამდენიმე ეპიზოდი, სადაც ქალბატონი რუთი იხსენებს იმ დღეებს, იმ ემოციებს და დამოკიდებულებას, თუ რა დიდ საქმეს ჩაეყარა საფუძველი ქუთაისში და იქ კარგად ჩანს მათი როლი ამ უდიდეს საქმეში“.

რუთი თავდიდიშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა თოჯინების თეატრის ჩამოყალიბებასა და მის განვითარებაში. მის მიერ შექმნილი როლები დღესაც სიამაყით ამშვენებს თოჯინების თეატრის სცენას.

როზა თავდიდიშვილი

XX საუკუნის დამდეგს ებრაელ ქალთა მხოლოდ ცალკეული წარმომადგენლები ცდილობდნენ დაუფარავად შებრძოლებოდნენ კარჩაკეტილობას, მასობრივ გაუნათლებლობას, ვიწრო, შეზღუდულ ჰორიზონტს, წერა-კითხვის არცოდნას, სტიქიურ-რელიგიურ ფანატიზმს.

აღსანიშნავია მწერლისა და ჟურნალისტის, რუთი თავდიდიშვილის ბიცოლას, როზა თავდიდიშვილის წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება, ასევე, მისი ეთნოგრაფიული ნარკვევი – *ქუთაისელ ებრაელთა ყოფა–ცხოვრებიდან*.

საზოგადო მოღვაწე, მწერალი და ჟურნალისტი – როზა თავდიდიშვილი (1886 – 1967) მრავალ დაბრკოლებას წააწყდა ცხოვრებაში. გადაულახავი, ყრუ კედელიც შეხვედრია, ჩუმი უკმაყოფილებაც, აშკარა დამუქრებაც, ავი სიტყვაც, მტრული მზერაც, მაგრამ დაუღალავად განაგრძობდა ქალების გამოყვანას ვიწრო ოჯახური ჩარჩოებიდან.

როზა თავდიდიშვილის მდიდარი და შინაარსიანი მოღვაწეობა ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი. ამ ქალბატონის მეხსიერებაში წარუშლელად აისახა უსიხარულო ბავშვობა, თავისი ხალხის დუხჭირი ყოფა, ჩამორჩენა. როზა სკოლაში ბეჯითად სწავლობდა. როცა აზრი და რწმენა ჩამოუყალიბდა, მტკიცედ, ურყევად გადაწყვიტა, რომ ძველი გზით სიარული აღარ შეიძლებოდა და თამამად წინ აღუდგა ყველას და ყველაფერს, რაც აფერხებდა განვითარებას, სიახლის მიღებას.

როზა თავდიდიშვილი დაუღალავად ქადაგებდა განათლების აუცილებლობას, საზოგადოებრივ აქტიურობას, ახალგაზრდების ჩართვას საზოგადო საქმიანობაში, ქალების გამოყვანას ოჯახური ჩაკეტილობიდან. შემდგომში ცნობილმა ებრაელმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ მიხეილ ხანანაშვილმა მას „განმანათლებელი სიდონია“ უწოდა.

პირად საუბრებში, შეხვედრებზე თუ პრესის მეშვეობით იგი დაუღალავად იმას ქადაგებდა, რომ მოზარდებს სკოლაში ესწავლათ, ახალგაზრდებს ხელი აეღოთ მეწვრილმანეობა-მეჩარჩეობაზე, წასულიყვნენ ფაბრიკა-ქარხნებში, დაწაფებოდნენ კულტურას, ცოდნას, დაკავშირებოდნენ ბიბლიოთეკებს, ხოლო ქალებს მოუწოდებდა ოჯახურ ყოველდღიურობაში არ ჩაძირულიყვნენ და საერთო-საქვეყნო საქმიანობაში ჩართულიყვნენ.

როზა თავდიდიშვილის აქტიური მონაწილეობით ღარიბ-კომმა საამქროები გახსნა და იქ სამუშაოდ მიიზიდა როგორც ებრაელები, ისე ქართველები. ქალბატონი როზა იყო ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და აღმასკომის წევრი (1926-1928 წლები), მონაწილეობდა ქალთა სადელეგაციო კლუბის მუშაობაში, ხელმძღვანელობდა ებრაელთა უბნის ქალთა სადელეგატო პუნქტს, ასწავლიდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში.

ყველაფერ ამასთან ერთად როზა თავდიდიშვილმა მოახერხა სამი წლის ენერგიული შრომით წიგნიც დაეწერა ქუთაისურ ებრაულ-ქართულ ტრადიციათა შესახებ – *ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან*. ქართველი ებრაელობა არასდროს ყოფილა ასეთი შესწავლისა და კვლევა-ძიების ობიექტი. მან სრულიად უანგაროდ, თავისი გამოცდილების და ცოდნის ფარგლებში შეძლო შეეკრიბა ქუთაისელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი მასალები. მართალია, იგი არ ყოფილა კვალიფიციური ეთნოგრაფი, მაგრამ იყო მხარეთმცოდნე და საქმის დიდი ენთუზიასტი.

წიგნის რედაქტორი, ცნობილი ქართველი მეცნიერი სერგი მაკალათია წერდა: „ამ შრომაში მოთავსებული ეთნოგრაფიული მასალა ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ჩვენ

გვაქვს ქართველ ებრაელთა წარსულის შესწავლის საქმეში. ასევე, რუთი თავდიდიშვილის ნარკვევში მოთავსებული ეთნოგრაფიული მასალა აშკარად გვიჩვენებს, თუ როგორი საყოფაცხოვრებო ურთიერთობა უნდა არსებულიყო წარსულში ებრაელთა და ქართველთა შორის. ებრაულ ქორწილსა, მშობიარობის, ტირილის და სხვა წესებში არსებითი მსგავსებაა ქართულთან (მახარობელი, თეფშის გატეხა, ფეხის დაჭერა და სხვა). ყველაფერი ეს აშკარად მოწმობს იმ მჭიდრო და ხანგრძლივ კულტურულ-სოციალურ კავშირს, რომელიც არსებობდა ქართველ ისრაელთა და ქართველ ქრისტიანებს შორის."[3]

თავის წიგნზე ქალბატონი როზა ამბობს: „მე, როგორც ქართველი ებრაელის ოჯახიდან გამოსულ მშრომელ ქალს, პატარაობიდანვე დიდი სურვილი მქონდა შემესწავლა ქუთაისელ ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება, მაგრამ როგორც არასპეციალისტი – ეთნოგრაფი, ვერ ვბედავდი ასეთი მუშაობისათვის ხელი მომეკიდა; მხოლოდ ვცდილობდი, მუდამ მათში მეტრიალა და გავცნობოდი ქუთაისელ ქართველ ისრაელთა ყოფა-ცხოვრების ყოველგვარ წვრილმანს და გამეზიარა მათი ჭირ-ვარამი."[4]

დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონ როზა თავდიდიშვილს პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთის – „ხმა ებრაელისა" – გამოცემაშიც, რომელიც გამოვიდა. 1918 წელს ქუთაისში.

ქალბატონი როზას შვილიშვილი დოდო ჩიკვაშვილი ბიოქიმიის დოქტორი, თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი ჩემთან საუბარში ამბობს, რომ „იმ ადამიანთა შვილები და შვილიშვილები, რომლებიც როზა თავდიდიშვილმა ჩვენი ეპოქის სიკეთეს აზიარა, ახალი სამყაროს მოწინავე მშენებლები, ნოვატორები, მეცნიერები, კვლევითი და საკონსტრუქტორო კერების ხელმძღვანელები არიან."

---

[3] სერგო მაკალათიას წინასიტყვაობა წიგნისა: როზა თავდიდიშვილი, *ეთნოგრაფიული ნარკვევები ქუთაისის ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან"*, გამ. "ტექნიკა და შრომა", თბილისი, 1940.

[4] როზა თავდიდიშვილი, *ეთნოგრაფიული ნარკვევები ქუთაისის ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან"*, გამ. "ტექნიკა და შრომა", თბილისი, 1940.

ქალბატონი როზა აღნიშნავს, რომ მის ბებიას სხვა წიგნებიც გამოუცია „ორი ძმა“, „თავსატეხი“, „გასართობი“, „საბავშვო მოთხრობები“, „ანდაზები“, „რებუსები“

რუთმა და როზა თავდიდიშვილებმა დიდი როლი ითამაშეს როგორც ქუთაისის ისე ამ პატარა, ლამაზ ქალაქში მცხოვრები ებრაელებისა და ქართველების წინსვლაში. მათ დაარღვიეს სტერეოტიპული ბარიერი, რომელიც ზღუდავდა ქალის საქმიანობას. რის შემდგომაც დაიწყეს კულტურული და აქტიური სამოქალაქო მოღვაწეობა. ერთმა თოჯინების თეატრში, რითაც უარი თქვა ქალის ტრადიციულ საქმიანობაზე (სახლში გამოკეტვაზე) მეორემ კი აქტიურ საზოგადო, პუბლიცისტურ, პოლიტიკურ ცხოვრებას მიჰყო ხელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. როზა თავდიდიშვილი, *ქუათაისის ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან*, გამ. „ტექნიკა და შრომა“, თბილისი, 1940.
2. დანიელ ხანანაშვილი, *საქართველოს ებრაელთა ისტორია*, თბილისი,1989.
3. მერაბ კეზევაძე, „ქუთაისში ებრაელთა დასახლების მთავარი ქუჩები მე-19 საუკუნეში“ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის *წელიწდეული*, ქუთაისი, 2014, გვ.147-151.
4. რუსუდან კაშია, „ქართველ ებრაელთა წვლილი XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის *წელიწდეული*, ქუთაისი, 2014, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, “პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთი“, ჟურნალი *განთიადი*, 1995 N 7-8.
5. ვლადიმერ ჩაკვეტაძე, *ქუთაისის ისტორიიდან*, თბილისი, 1960.
6. ზაქარია ჭიჭინაძე, *საქართველოში მოღვაწე ებრაელები*, თბილისი, 1904.

7. გაზეთი *ქუთაისი* – 1989 წლის 12 აგვისტო, 31 აგვისტო; 1996 წლის 19 ოქტომბერი, 7 მარტი; 1993 წლის 30 ივნისი, 3 აპრილი; 1991 წლის 5 ივლისი; 1988 წლის 3 დეკემბერი.
8. გაზეთი *იმერეთის მოამბე*, 1999 წლის 26 მარტი, 1ივნისი.
9. გაზეთი *ახალი გაზეთი*, 1998 წლის 11 სექტემბერი, 23 ოქტომბერი, 1999 წლის 26 მარტი.

მადლობა

ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკას და მის თანამშრომლებს

ქუთაისის ეროვნულ არქივს და მის თანამშრომლებს

თოჯინების თეატრს

ბიბლიოთეკარს – ქალბატონ ნანული ცხვედიანს

რუთი თავდიდიშვილის შვილს – ქალბატონ მანანა არონაშვილს (თოჯინების თეატრის მსახიობი, ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელი)

ქუთაისის თოჯინების თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს – ლაშა გაგოშიძეს

როზა თავდიდიშვილის შვილიშვილს – დოდო ჩიკვაშვილს (თელ-ავივის უნივერსიტეტის ბიოქიმიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი)

ქუთაისის ეროვნული არქივის დირექტორს – მერაბ კეზევაძეს

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, არქეოლოგს – სულხან კუპრაშვილს

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის აკადემიურ დოქტორს, ასოცირებულ პროფესორს, ეთნოლოგს – დავით შავიანიძეს

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერ-ტექ-ნოლოგიის დოქტორს, ასოცირებულ პროფესორს – დოდო თავდიდიშვილს

ქუთაისის სინაგოგის მსახურს – მაისი ბუზიაშვილს

ქუთაისის სინაგოგის მსახურს – დავით ბუზიაშვილს

ანა თორია
მაია კაშია
მარიამ ფანჩულიძე
დათო ქათამაძე

ებრაელთა უბანი

„მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყვევნა იერუსალიმ, და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს ქართლს, მოითხოვეს მცხეთელ მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა. ხოლო მცხეთელმა მამასახლისმან მისცა და დასხა არაგვსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი.“

ქართლის ცხოვრება

ასოფლიოში მიმოფანტული ებრაელები ცდილობდნენ, თავიდან აერიდებინათ დევნა, შეურაცხყოფა, წამება, დამცირება, რომელსაც ისინი ყველა ქვეყანაში აწყდებოდნენ. ერთადერთი ქვეყანა, სადაც 26 საუკუნის მანძილზე ებრაელთა დევნის ფაქტი არ დაფიქსირებულა, საქართველოა. საუკუნეების განმავლობაში მათი კულტურა, ცეკვები და სიმღერები ქართულს შეესისხლხორცა. ებრაელს იმერეთში იმერული სახლი ჰქონდა, გურიაში – გურული ოდა, ამიტომ ქართველებს მათ მიმართ მუდამ მიმღებლური დამოკიდებულება ჰქონდათ.

ქართველი ებრაელები მკვეთრად გამოყოფდნენ თავს ქართველებისაგან რელიგიური ნიშნის მიხედვით, ხოლო სხვა არაქართველი ებრაელებისაგან – ეთნიკური ნიშნით. სოციალურად, ისინი დახურულ კასტებს წარმოადგენდნენ და თავს განიხილავდნენ „ჩვენებურებად“.

აღსანიშნავიაა, რომ სხვადასხვა დიასპორაში მცხოვრებმა ებრაელებმა შექმნეს სალაპარაკო ენა, გამონაკლისს მხოლოდ ქართველი ებრაელები წარმოადგენდნენ. მათ არ შეუქმნიათ ცალკე სალაპარაკო ენა. ქართველი ებრაელი ეგუება ქართულ ენას და საქართველოს მიიჩნევს მეორე სამშობლოდ; ამასთან, ინარჩუნებს მოშესა და ისრაელის ცხოვრების კანონებს.

ქართველ ებრაელებს შორის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქუთაისში მცხოვრებ ებრალებს, რომელთა ღვაწლი საკმაოდ დიდია. ჟაკ ფრანსუა გამბა – მოგზაური, ვაჭარი და საფრანგეთის კონსული საქართველოში – თავის წიგნში “მოგზაურობა ამიერკავკასიაში“, რომელიც ორ ნაწილად გამოიცა საფრანგეთში 1824–26 წლებში, აღნიშნავდა, რომ ქუთაისში ცხოვრობდა 800 ებრაელი, რაც ქალაქის მოსახლეობის ნახევარს შეადგენდა. შვეიცარიელი ნატურალისტი, არქეოლოგი და ისტორიკოსი დიუბუა დე მონპერე, რომელმაც 1831–34 წლებში იმოგზაურა კავკასიაში, ებრაელების შესახებ წერდა: „ისინი ას წელზე მეტია, რაც მოვიდნენ ქუთაისში, სადაც უწინ არ ცხოვრობდნენ, ისინი მოიყვანეს მეფეებმა, რომლებიც მათ მფარველობდნენ, ქუთაისის ეკლესიამ მათ დაუთმო მიწის ფართობი, სადაც მოთავსდნენ გუბერნატორის სახლის (დღევანდელი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ტერიტორია – ავტორის შენ.) მახლობლად“ (დიუბუა დე მონპერე, „მოგზაურობა კავკასიონის გარშემო, ჩერქეზებსა და აფხაზებთან, კოლხიდაში, საქართველოში, სომხეთსა და ყირიმში“ 1839-45). დიუბუას ეს ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოყვანილი სიტყვების სისწორეს. 1835 წელს ქუთაისელთა ერთმა ნაწილმა, რომელთა შორის იყვნენ რიჟინაშვილები და ელიგუჯაშვილები, თხოვნით მიმართეს იმერეთის მმართველს, რათა მათთვის რიონის მარცხენა ნაპირზე, ე.წ. „ბალახოვანის“ ტერიტორიაზე გამოეყოთ მიწის ფართობი სახლებისა და ბაღების გასაშენებლად.

ქუთაისში ებრაელთა დასახლება „ებრაელთა უბნის“ სახელწოდებით დატანილია 1833 წელს შედგენილ დიუბუა დე მონპერეს გეგმაზე და იგი მოიცავს დღევანდელი ნიუპორტის ქუჩის ბოლო ნაწილს, გაპონოვისა და აზერბაიჯანის ქუჩების დასაწყისსა და იერუსალიმის ქუჩას.

ებრაელთა უბნის ერთ-ერთი ძირითადი ქუჩა „ებრაელთა ქუჩა“ იყო, რომელიც ქუთაისის პირველსახელდებულ ქუჩებს შორის მე–19 საუკუნის 50–იანი წლების დასასრულიდან ჩანს. ის წარმოქმნილია მე–19 საუკუნის დასაწყისში. ქუჩა სახელდებულია აქ ებრაელთა ცხოვრების ფაქტის აღსანიშნავად, რომლებიც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ. ჟურნალ „ცისკრის“ 1860 წლის მეექვსე ნომერში დაბეჭდილი წერილის თანახმად, რომელიც ზაქარია ერისთავს ეკუთვნის, ეს ქუჩა იყო „ერთ ძუელ ქუჩათაგანი, რომელთა ნახვას ჩუენ ვართ მიჩვეული აზიის ქალაქებში. მისი სივიწროვე და აღმოუხნელი ტალახი უშლიდა თვით ურიებს სიარულს. ქუჩას აქეთ-იქით ნაპირებში აქუს არხები, რომელთაც ჩაჰყვება ყოველგვარი უწმინდურება. სახლები ურიების სულ ხისა არიან და ნაწილ არიან დადგენილნი შეუწყვეტელ რიგობითა ქუჩაში და ნაწილი მთაზედა აქაიქ ბაღებში. გარედან ისინი არ არიან გათეთრებული, როგორათაც შიგნიდან“. მე–19. საუკუნის სამოციან წლებში ებრაელთა ქუჩა უკვე უკავშირდებოდა როგორც გაპონოვის (იმჟამინდელი გელათის), ისე გელათის (იმჟამინდელი პოლიციის) ქუჩებს. ფაქტობრივ, მთელი ებრაელთა უბანი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ამ უბანში სახლი სახლზე იყო მიდგმული. აქ ორჯერ გაჩენილმა ხანძარმა ტრაგიკული შედეგი გამოიღო. მე–19 საუკუნის სამოციან წლებში ებრაელების ქუჩა ორად გაიყო. ქვედა ნაწილს დღევანდელი პოლიციის მეორე განყოფილებიდან დიდ სინაგოგამდე ებრაელების ქუჩის სახელი დარჩა, ზედა ნაწილს კი სინაგოგიდან გელათის ქუჩამდე ბერუჩოვის ქუჩა ეწოდა (დღევანდელი აზერბაიჯანის). 1921 წელს ეს ქუჩა ჩანს შაუმიანის (დღევანდელი ნიუპორტის) ქუჩის პირველ შესახვევად. 1926 წელს კი გამოჩენილი ქართველი ებრაელი რევოლუციონერის, აბრამ (იცკას) იოსების ძე რიჟინაშ-

ვილის სახელი ეწოდა. 1995 წლიდან კი მას იერუსალიმის ქუჩა ეწოდება.

ებრაელთა კომპაქტური დასახლებით გამორჩეული იყო გელათის ქუჩა (ამჟამად გაპონოვის ქუჩა), რომელიც იწყება ნიუ-პორტის ქუჩიდან და მთავრდება მწვანეყვავილას ქუჩასთან. აქ ყოველი სახლი სახლზე იყო მიდგმული და ქუთაისის დასახლებისათვის ტიპური ეზო-საკარმიდამო სისრულე და კეთილმოწყობა არ გააჩნდა. ამ ქუჩაზე იდგა როგორც სინაგოგები, ისე ებრაელების სკოლა. 1926 წელს ქუჩას მიენიჭა რევოლუციონერ სტეფანე შაუმიანის სახელი, ხოლო 1989 წელს ქუჩის საწყის მონაკვეთს ეწოდა ჩვენი თანაქალაქელის, „ვეფხისტყაოსნის“ ძველებრაულად (ივრითზე) მთარგმნელის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, ბორის პანტელეიმონის ძე გაპონოვის სახელი. ებრაელები წარმოადგენენ აზერბაიჯანის ქუჩის მოსახლეთა მნიშვნელოვან ნაწილს. ქუჩა, რომელიც მე–19 საუკუნის ოცდაათიან წლებში შეიქმნა და, რომელიც იმავე საუკუნის სამოციანი წლებიდან ბერუჩოვის სახელს ატარებდა, ხანდახან ებრაელთა ქუჩის ნაწილად ფიქსირდებოდა. 1922 წლიდან აზერბაიჯანის ქუჩად იწოდებოდა. დროის მცირე მონაკვეთში, 1997-2008 წლებში ქუჩა პოეტ ნიზანი განჯელის სახელს ატარებდა.

როგორც ვთქვით, ებრაელები ქუთაისში, ძირითადად, ებრაელების, გელათის, გაგარინის, პოლიციის ქუჩებზე ცხოვრობდნენ. ზოგიერთი ქუჩის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა ებრაელი იყო, მაგალითად 1880 წელს ებრაელების ქუჩაზე მცხოვრებ 39 კომლიდან 38 ებრაელთა კომლი იყო, ხოლო გელათის ქუჩაზე 64 კომლიდან – 63. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ისინი ქალაქის ცენტრალური ნაწილის სხვა ქუჩებზეც ჩანან, 1903 წლის მონაცემებით, მიხეილის ქუჩაზე 59 კომლიდან 18, ვორონცოვის ქუჩაზე 56-იდან 18, პოლიციის ქუჩაზე კი 81-იდან 13 ებრაელთა კომლი ცხოვრობდა.

1902-1906 წლებში ქუთაისში მოქმედებდა პირველდაწყებითი ებრაული სკოლა, რომელშიც ებრაელთა ისტორიის პარალელურად ასწავლიდნენ საერთაშორისო საგნებსაც. საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლები აღინიშნა ებრაული სკო-

ლების დახურვით. მათ მხოლოდ არაოფიციალურ, ნახევრად არალეგალურ პირობებში განაგრძეს არსებობა. 1923 წელს კი ანტირელიგიური პროპაგანდის ლოზუნგით სალოცავებიც დახურეს, რაბებს დევნა დაუწყეს, ზოგიერთი მათგანი გარკვეული დროით დაპატიმრებულიც კი ჰყავდათ. ერთ-ერთი დიდი რაბი – მოშე დავარაშვილი – რუსეთის ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მოძღვრად მოიხსენიებოდა. რუსეთში თორის სწავლადასრულებული მოშე ქუთაისში დასახლდა და მთელი ცხოვრება მოახმარა ქუთაისისა და, საერთოდ, დასავლეთი საქართველოს ებრაელობას. 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, რაბი მოშე დავარაშვილი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა.

1971 წელს დაიწყო ქუთაისელ ებრაელთა მასობრივი ალია. ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ ებრაელთა უმეტესობა პირველივე შესაძლებლობისთანავე გაემგზავრა საქართველოდან. მათ ნაწილს აღდგენილი სამშობლოს ნახვა სურდა, ნაწილი კი ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო ვითარებით იყო უკმაყოფილო. დაახლოებით ოცდაათ წელიწადში ებრაული სამოსახლოები თითქმის სულ დაცარიელდა. 1979 წლამდე ქუთაისი დატოვა ებრაული მოსახლეობის თითქმის სამოცმა პროცენტმა. ქუთაისში ამ ეტაპზე 70-ამდე ებრაული ოჯახი ცხოვრობს, ქუთაისელ ებრაელთა რაოდენობა 220 კაცს არ აღემატება; ზოგ მათგანს ებრაული, ზოგსაც – შერეული ოჯახი აქვს. ქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბანში, საფიჩხიაზე, ისრაელში დაბრუნებული ებრაელების წინაპართა საფლავებია. ებრაელთა რაოდენობის შემცირების გამო მოვლა-პატრონობას მოკლებულია ებრაელთა არსებული სასაფლაო. ებრაელთა სამარხები საფიჩხიის სასაფლაოზე სამი ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზე არის განთავსებული. თუკი საფლავების ხავსმოდებულ და გახუნებულ ქვებს დააკვირდებით, მათზე ქართულ ტრადიციულ ტანისამოსში გამოწყობილ ებრაელთა გამოსახულებებს დაინახავთ. ეს ფაქტი, ვაზის მტევნებთან ერთად, ადასტურებს კულტურულ სიახლოვეს ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის.

1950-იანი წლებიდან იწყება ქუთაისელ ებრაელთა კულტურული დონის მკვეთრი ამაღლება. მათ წარმომადგენლებს

ვხედავთ კულტურის, განათლებისა და ხელოვნების ყველა სფეროში, რიგ შემთხვევაში, პასუხსაგებ და მნიშვნელოვან თანამდებობებზეც. ებრაელთა წვლილი ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, ქორეოგრაფიის და ხელოვნების სხვა დარგებში საკმაოდ თვალსაჩინოა. ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე გახლდათ ებრაელი ლექსიკოგრაფი და მთარგმნელი – ბორის გაპონოვი. გაპონოვი დაიბადა ქალაქ ევპატორიაში, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ქალაქ ქუთაისში. მისი ბაბუა რაბინი იყო და პატარა ბორისს ბავშვობიდან ასწავლიდა ივრითს. ბორისმა 1953 წელს ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლა დაამთავრა. 1956 წლიდან სპარსულ ენას სწავლობდა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის უნივერსიტეტში, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული გახდა, სწავლისათვის თავი დაენებებინა და ქუთაისში დაბრუნებულიყო, სადაც მუშაობდა გაზეთებში. 1960-იან წლებში ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას რუსულ, ქართულ და ებრაულ ენებზე. 1969 წელს ისრაელში გამოქვეყნდა მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. მომდევნო წელს ამ თარგმანისათვის მიენიჭა შაულ ჩერნიხოვსკის (1875–1943) პრემია. ბორის გაპონოვი გარდაიცვალა 1972 წელს, ისრაელის ქალაქ რამათგანში. 1989 წლიდან ქუთაისში ყოფილ შაუმიანის ქუჩას ბორის გაპონოვის სახელი ეწოდება.

1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული, ე.წ. „გლასნოსტის“ პერიოდი საქართველოში აღინიშნა ეროვნული მოძრაობის მძლავრი აღმავლობით, საზოგადოებრივი ცხოვრების მკვეთრი გამოცოცხლებითა და საზოგადოებრივი აზრის ლიბერალიზაციით. ამ პროცესის ორგანული ობიექტი გახდა საქართველოს და, მათ შორის, ქუთაისის ებრაელობაც. ქართულ საზოგადოებაში შეიქმნა ებრაელობისადმი, ზოგადად, და, კერძოდ, ქართული ებრაელობისადმი გულთბილი და ემპათიური დამოკიდებულების ატმოსფერო.

ქუთაისის ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარეს მაისე ბალუაშვილი გვიყვება, რომ მისი წინაპრები საქართველოში სამი საუკუნის წინ შემოვიდნენ, პირველად მცხეთაში დასახლდნენ, ამის შემდეგ კი ქუთაისში განაწილდნენ, ისინი აქ მისდევდნენ ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობას. „ჩემი

ბებია-ბაბუა და მშობლები საფიჩხიის სასაფლაოზე არიან დაკრძალულნი“, – გვეუბნება ბატონი მაისე. თავად ბატონი მაისე ადგილობრივ მოსახლეობაში საკმაოდ დაფასებული ყოფილა და ქუთაისელებთან კარგი ურთიერთობა აქვს. მაისე ბალუაშვილი ერთ საინტერესო ამბავს გვაცნობს: „1898 წელს ქალაქ ბაზელში ჩატარდა მსოფლიო ებრაელთა კონგრესი, სადაც მიწვეული იყო ქართველ ებრაელთა საზოგადოებაც ბააზოვის ხელმძღვანელობით. ისინი იქ ქართული ტრადიციული სამოსელით, ჩოხით, ჩავიდნენ, რამაც დამსწრე საზოგადოება საკმაოდ გააკვირვა, რადგან ისინი ქართულ წეს-ჩვეულებებს არ იცნობდნენ. ბააზოვმა სიტყვა მოითხოვა და ასეთი რამ თქვა; მე ვარ იმ ქვეყნიდან, სადაც ებრაელებს, ამდენი საუკუნეა, არ განუცდია გენოციდი და შევიწროვება. ეს ყოველივე იმაზე მოწმობს, რომ ქართველებსაც და ებრაელებს შორის ყოველთვის ტოლერანტული ურთიერთობა სუფევდა, ებრაელები ძალზედ დიდ პატივს სცემდნენ ქართულ წეს-ჩვეულებებს“*.

გენადი ციციშვილი, რომელიც ებრაული თემის წარმომადგენელია, ამბობს, რომ მისი ნათესავები ისრაელში დაბრუნდნენ, მაგრამ თავად ქუთაისის დატოვებას არ აპირებს, რადგან აქ თავს კარგად გრძნობს. კიდევ ერთი ძირძველი ებრაელი, რომელიც ქუთაისში ცხოვრობს, არის 76 წლის დავით ბუზიაშვილი. „76 წლის ვარ და აზერბაიჯანის ქუჩაზე დავიბადე, ადგილობრივები მიცნობენ და საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს“, – ამბობს ის.

ქართველებისა და ებრაელების კარგ ურთიერთობას ხაზს უსვამს 65 წლის მანანა სირბილაძეც. „სადაც ახლა ვცხოვრობთ, ის ებრაელების სახლი იყო და ჩვენ შევიძინეთ. საერთოდ, მათთან ყოველთვის თბილი და მეგობული ურთიერთობა გვქონდა. 1970 წელს მათ მასიურად დატოვეს ეს უბანი, ახლა აქ ძალიან ცოტა ებრაელი ცხოვრობს“ .

ანზორ ხუნდიაშვილი ქუთაისში დაიბადა და გაიზარდა. იგი საბჭოთა კავშირის წლების რამდენიმე ისტორიას

* ბაზელის სიონისტურ კონგრესში მართლაც მონაწილეობდა დავით ბააზოვი, ოღონდ არა 1898 წელს – ამ წელს ჩატარდა სიონიზმის მეორე კონგრესი, არამედ 1903 წელს მეექვსე კონგრესში – რედ.შენ.

იხსენებს და ჰყვება, რომ მიგრაცია სწორედ რესპუბლიკის დაშლის შემდეგ დაიწყო. „დაიწყო მარადიორობა, თან ხალხს უკეთესი ცხოვრება სურდა“, – იხსენებს ის. „ჩვენ კი აქ დავრჩით და ვცხოვრობთ ისე, როგორც ქართველები. როგორც მათ უჭირთ და ულხინთ, ისე გვიჭირს და გვილხინს ჩვენც, მილიარდელები არა ვართ, მაგრამ ვცხოვრობთ.“

ამ ეტაპზე ქუთაისში 70-ამდე ებრაელი ცხოვრობს დღესაც გაპონოვისა და მწანეყვავილას ქუჩებს ებრაელთა უბანს ეძახიან. ამჟამად აქ შემორჩენილია სამი სინაგოგა და ქუჩების სახელწოდებები. სამი სინაგოგიდან ორი დაკეტილია, ხოლო ერთი მოქმედი, რომელიც 300 კაცზეა გათვლილი. ქუთაისში, ქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბანში, საფიჩხიაზე, ისრაელში დაბრუნებული ებრაელების წინაპრები განისვენებენ.

ქუთაისის ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარე მაისე ბალუაშვილი გვიამბობს: „მე ვუყურებდი, როდესაც ებრაელები წავიდნენ თავიანთ სამშობლოში, ისრაელში და საფლავები უპატრონოდ და მოუვლელი დატოვეს. მას შემდეგ გადავწყვიტე, რომ ჩემი დედ-მამის საფლავი არ მივატოვო, სანამ ვიქნები ცოცხალი, მოვუარო და ვუპატრონო. ახლა კი ვიპოვე სპონსორი, რომელიც საფლავების რეკონსტრუქციას აკეთებს.“ „ჩვენ ყველა მთავრობასთან კარგ ურთიერთბაში უნდა ვიყოთ, რადგან პატივს ვცემთ ქართველ ერს. პირადად, მე არანაირი პრობლემა არ მაქვს ქრისტიანულ ეკლესიაში სიარულთან. დავდივარ ხოლმე, როცა ქართულ ქორწილში მპატიჟებენ. ჩვენც ვეპატიჟებით ქრისტიანებს ჩვენს დღესასწაულებზე.“

მაისე ბალუაშვილი პრობლემებზე საუბარს გაურბის და ყურადღების გამახვილებას იმ ბიზნესმენებზე ამჯობინებს, რომლებიც ქუთაისელ ებრაელებს ეხმარებიან. თუმცა ხანდახან საუბარში გამოურევს, რამდენ დროსა და ენერგიას ხარჯავს დარჩენილ ებრაელთა სალოცავში, თუნდაც დიდ დღესასწაულებზე მოსაწვევად. მისი ნათესავები ისრაელში ცხოვრობენ, მაგრამ მაისე ბალუაშვილს ქუთაისის დატოვება არ სურს, რადგან დარწმუნებულია, რომ თუკი წავა, სათვისტომო დაიშლება. მაისე ბალუაშვილი ამბობს, რომ ებრაელებისა და ქრისტიანების მეგობრობა ოდითგანვე იყო

გამორჩეული: „ჩვენი ურთიერთობა დამყარებულია ძმობაზე და მეგობრობაზე, უკვე 76 წლის ვარ და ვერ ვიხსენებ რაიმე სახის შუღლს ან მტრობას, ხმამაღალი სიტყვაც არ ყოფილა ჩვენს შორის.“

„მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა რელიგიური კონფესიების მასობრივი დევნა, არც ებრაელებს დაგვაკლეს ხელი, უნდოდათ დაეკეტათ ქუთაისშიც და ონშიც სალოცავები, თუმცა ხალხი გამოვიდა, წინ აღუდგა და ჩაიკეტა სალოცავში. როგორც ებრაელები, ასევე, ქრისტიანები, ძმურად დადგნენ და უფლება არ მისცეს დაენგრიათ სალოცავი, ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ქრისტიანებსა და ებრაელებს“, – იხსენებს მაისე ბალუაშვილი, რომელიც თავის სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა: „ვგეგმავ, სალოცავის მახლობლად გავხსნათ ქართულ-ებრაული კულტურის ცენტრი, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართველებისა და ებრაელების მეგობრობის შესახებ სხვადასხვა მასალები, ასევე იქნება ქართულ-ებრაული სასტუმრო, რესტორანი ებრაული კერძებით, გვინდა რომ ისრაელიდან ჩამოვიდნენ იქაური ახალგაზრდები და გავაცნოთ საქართველოს კულტურა.“

განსაკუთრებული დიდი სიყვარულით გვიყვება საქართველოზე ქალბატონი იზოლდა მოშიაშვილი:

„საქართველოში ცხოვრებისას, ყოველთვის გვქონდა შთაგონება, რომ იყო სახელმწიფო ისრაელი. სადაც უნდა დავბრუნებულიყავით ოდესმე, მაგრამ ის მიწაც შეგვიყვარდა, სადაც ფეხი ავიდგით და ეს სიყვარული თითქოს შერწყმული იყო. საქართველოს მიწაში ჩვენი წინაპრების ძვლები განისვენებს და ამას ჩვენი მხრიდან დავიწყება არ უწერია. ახლა ამბობენ, რომ ეს ქართულ-ებრაული ურთიერთობები ნელ-ნელა იკარგება და ქრება. ეს არ მოხდება. მომავალი თაობები არასოდეს დაკარგავენ პატივისცემას საქართველოსადმი“. გასულ წელს (2017 წელს) ქუთაისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში, ქართველ ებრაელთა მეგობრობის ხეივანი გაიხსნა. ღონისძიებას ქალაქის მერი, იმერეთის გუბერნატორი და ისრაელის ელჩი შაფთაი ცური დაესწრნენ. ყოველივე ეს ერთგვარი პატივისცემის და

უდიდესი სიყვარულის გამოვლინება იყო ებრაელთა მიმართ, იმ ერის, რომელიც ჭირსა თუ ლხინში ჩვენს გვერდით იდგა ოცდაერთი საუკუნის მანძილზე.

ამ მადლიან და დალოცვილ მიწაზე
ერთი წუთით არ ვყოფილვარ მერყევი,
ცოცხალი ვარ შენი, ტრფობით ვიწვები
მოვკვდები და ფერფლად გადაგეყრები...

ამ ლექსის ავტორი ქუთაისში მცხოვრები მიხეილ კაკიტელაშვილია. მან თავისი ნიჭიერი პოეზია ქართველი ხალხის სიყვარულს მიუძღვნა. პოეტმა საქართველოს სიყვარულში დალია სული.

ქართევლთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება ორი განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის ერმა იცხოვროს მეგობრულად და ურთიერთსიყვარულით.

ჩვენ, ახალი თაობა, აუცილებლად უნდა გავეცნოთ იმ ერის ისტორიას, რომელთაც საშუალება მივეცით ეცხოვრათ ჩვენს მშობლიურ მიწაზე ისე, როგორც საკუთარ სამშობლოში. ჩვენს ურთიერთობზე მრავალი წიგნი დაწერილა. რთულია დაივიწყო ოცდაექვსსაუკუნოვანი კავშირი და ამის საშუალება არც ერთ ჩვენთაგანს არ უნდა მივცეთ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, ვინ გვედგა გვერდით და ვის ვედექით ჩვენ.

ქუთაისელი ებრაელები, რომლებმაც თავი ისახელეს საზოგადოებრივ ასპარეზზე და სახელი გაუთქვეს საქართველოს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, ძალიან ბევრია. სულ რამდენიმეს დავასახელებთ: პოეტი მიხეილ კაკიტელაშვილი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შალვა მარდახიაშვილი (მარდი); ცნობილი ჟურნალისტი მიშა დავითაშვილი; მათემატიკოსი, ბრწყინვალე სპეციალისტი ინფორმატიკასა და გამოთვლითი მეცნიერებაში ალექსანდრე ჰეგელი (ელიგულაშვილი).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველი ებრაელები საქართველოში*, თბილისი 1990.
2. ელდარ მამისთვალიშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია,* თბილისი, 1995. გამომცემლობა „მეცნიერება“.
3. როინ მეტრეველი, *ებრაელები საქართველოში*, თბილისი, 2002.
4. როზა თავდიდიშვილი, *ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისის ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან*, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბილისი, 1940.
5. ჟურნალი *ცისკარი*, 1860 წელი, N6.
6. *საერთო გაზეთი* -17.04.2012 http://netgazeti.ge/life/13658/
7. TOP NEWS- 31.01.2015 http://topnews.com.ge/index.php?newsid=3921
8. Kutaisi plogspot-27.10.2013 http://kutaissi.blogspot.com/2013/10/blog-post_3985.html
9. შორენა ლაბაძე, „და რომელს ვუწოდო სამშობლო, არ ვიცი“, *კვირის პალიტრა*. http://gza.kvirispalitra.ge/qveyana/522-qda-romels-vutsodo-samshoblo-ar-viciq.html.
10. ინტერვიუ მაისე ბალუაშვილთან 10.07.2018.

მაკა კაჭკაჭიშვილი

კოკოჩაშვილები, პირველი აფთიაქი და ლაღიძის წყლები

ქუთაისში, ლერმონტოვის ქუჩაზე, ძველი ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე №8 აფთიაქი ფუნქციობს. ქუთაისში არსებული სხვა აფთიაქებისგან განსხვავებით, აქ მზა მედიკამენტებთან ერთად ადგილზე გამზადებული წამლებიც იყიდება. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ეს აფთიაქი ქუთაისის გუბერნიაში ერთადერთი აფთიაქი იყო. ამიტომ დღევანდელ ლერმონტოვის ქუჩას აფთიაქარის (ზოგიერთი წყაროს მიხედვით, აფთიაქის) ქუჩა უწოდეს. №8 აფთიაქი ქუთაისელმა კათოლიკემ პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა გახსნა. იგი 1832 წელს დაიბადა ქუთაისში. განათლება ქუთაისელ კათოლიკე პატრებთან, აგრეთვე, ექიმი მამისგან, ივანე კოკოჩაშვილისგან, მიიღო.

ივანე კოკოჩაშვილი ქუთაისში ახალციხიდან ჩამოსახლდა. ის მკურნალობდა ავადმყოფებს, თვითონ ამზადებდა წამლებს და უფასოდ ურიგებდა საავადმყოფოებს. „მას პატივს მიაგებდა მთელი იმერეთის მოსახლეობა. ავადმყოფებს უანგაროდ კურნავდა, წამლებს უფასოდ ურიგებდა. განსაკუთრებით კარგად არჩენდა შინაგან და ქალთა სნეულებებს", – წერს ვასილ ფერაძე გაზეთში „განთიადი" (1991, №6, გვ.178-180) ივანე კოკოჩაშვილმა XIX საუკუნის პირველ ნახევარში საკუ-

სურათი 1. №8 აფთიაქის მიმდებარე ტერიტორია.

სურათი 2. №8 აფთიაქის შესასვლელი.

თარ სახლში გახსნა „სამკურნალო აფთიაქი“. წამლების დასამზადებლად საჭირო ბალახებს თავად აგროვებდა, რომ სხვას, შეცდომით სხვა მცენარე არ მოეტანა. ბალახების დანიშნულება კარგად ჰქონდა შესწავლილი. ზუსტად იცოდა მათი, როგორც ქართული, ისე ლათინური სახელწოდებები. ივანეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ბოტანიკური ლექსიკონის შედგენა ლათინურ, ქართულ, არაბულ, თურქულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ივანეს შვილმა პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა 1869 წლის 22 ივნისს (ზოგიერთი წყაროს მიხედვით – 1860 წლის 27 იანვარს) ქუთაისის გუბერნიაში პირველი აფთიაქი (დღევანდელი №8 აფთიაქი) გახსნა.

მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე მოგვითხრობს: „პეტრე (პავლე) ისე დაწინაურდა და ისე წავიდა წინ, რომ 1860 წელს ქუთაისში გაიხსნა აფთიაქი. იმ დროს ეს საქმე პირველი საქმე იყო ქუთაისში და არა მარტო ქუთაისში, არამედ მთელს გუბერნიაში. საყურადღებოა, ეს გარემოება იმითაც, რომ პეტრეს მთავრობა არ აძლევდა აფთიაქის გახსნის ნებართვას. ყოველივე სიძნელე მთავრობისა დაძლია და ქუთაისში მოახერხა საყოველთაო და სამახსოვრო საქმის მოწყობა“.[1]

ზაქარიას გადმოცემითვე, პეტრე-პავლე ყოფილა ამ აფთიაქის მმართველი. ფარმაცევტულ ნაწარმთან ერთად იგი

[1] ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა*, თბილისი, 1905, გვ. 70

სურათი 3.
პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი

მოსახლეობას სამკურნალო სასმელად ბორჯომის წყალსაც სთავაზობდა.

ბევრს საუბრობენ პეტრეს პიროვნულ თვისებებზე, რომელიც მუდმივად ხალხის სამსახურში დგომაში გამოიხატებოდა. ,,შეუძლოთა მოყვარული, მათი მფარველი, უფასოდ წამლების მიმწოდებელი და უფასო მკურნალი, ასეთად დარჩა ათწლეულების მანძილზე იგი ხალხის გულში.“[2].

ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, აქვე, აფთიაქის ეზოში, პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა „გახსნა სამაგალითო სუნოვან წყალთა ქარხანა. ამ ქარხანაში მომზადებული წყლები სწორედ რომ სანაქებო და სამაგალითო იყო მთელს კავკასიაში“.[3] ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მისი პროდუქცია ჩრდილოეთი კავკასიისა და ყირიმის კურორტებზე იგზავნებოდა.

პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის „სუნოვანი წყლების ქარხანა“, რომელიც იგივე უალკოჰოლო წყლების წარმოება იყო, გაზნარევ არომატულ სასმელებს ნატურალური ხილის წვენებისგან ამზადებდა. იგი ნედლეულად იყენებდა: მსხალს, ალუბალს, შინდს, მარწყვს და ა.შ. წარმოებისთვის საჭირო წყალს კი იქვე, ეზოში მდებარე ჭიდან იღებდა. საინტერესოა ჭურჭლის დიზაინიც: „სუნოვან წყლებს“ ასხამდნენ სხვადასხვა ტევადობის ბოთლებში ფაიფურის საცობით, რომლებიც მჭიდროდ იყო მოხუფული და რკინის მარყუჟით დამაგრებული. რამდენიმე სახის დიზაინის ბოთლი არსებობდა. ერთ-ერთი 300 გრამის ტევადობის მუქი ყავისფერი ბოთლები იყო, რომლებიც ოდე-

---

[2] ჟურნალი *განთიადი*, 1991, N 6, გვ. 178-180.

[3] ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა*, თბილისი, 1905, გვ.70

სურათი 4.
1. პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის აფთიაქის ანგარიში
2. სააფთიაქო ბლანკი
3. პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის სააფთიაქო ხაზის ფოტო

საში კოკოჩაშვილის დაკვეთით მზადდებოდა, ბოთლები ფოთში ჩაჰქონდათ და ქუთაისში რიონის სანაოსნო გზით გზავნიდნენ. ამ ბოთლში ხილეული წვენების ნაზავი სასმელი ისხმებოდა. ამავე დანიშნულებით გამოიყენებოდა ბოთლის სხვა ნიმუშიც, რომელიც 250-300 გრამი ტევადობისა იყო. სითხის ჩამოსხმის დროს ბოთლში მინის ბურთულა იყო მოთავსებული. გაზიანი სითხე ამ ბურთულას ბოთლის ყელთან რეზინის წრეში აქცევდა და ჰერმეტულად ხუფავდა ბურთულაზე ოდნავ დაწოლით.

1890-1895 წლებში პეტრე–პავლეს ვაჟიშვილებმა ლევანმა (1855-1931), ვასილმა (1858-1948, იურისტი), ივანემ (1868-1910, ფარმაცევტი) და ზაქარიამ (1870-1922, პროვიზორი) პეტრე კოკოჩაშვილის ხელმძღვანელობით, მნიშვნელოვნად გააფართოვეს „ძმები კოკოჩაშვილების“ აფთიაქი და ხილის სასმელების ქარხნის საქმიანობა. 1875 წლის მაისში კოკოჩაშვილების აფთიაქი გაიხსნა ტყიბულში, შემდეგ – ბათუმსა და უწერაში. 1890 წელს კი ქუთაისში სააფთიაქო ნივთებისა და ქირურგიული აპარატურის მაღაზია გაიხსნა. პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი, საერთაშორისო კომერციული კავშირების წყალობით, სხვადასხვა მედიკამენტურ მოწყობილობას იძენდა რუსეთიდან, კონსტანტინოპოლიდან, ბერლინიდან და ვენიდან. კოკოჩაშვილებს სახლში, გარდა აფთიაქისა, გახსნილი ჰქონდათ აბანოც.

აფთიაქის, აბანოსა და ხილის სასმელების ქარხნის დამაარსებელი პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი საქმეთა მოსაწეს-

რიგებლად, სპეციალისტებს იწვევდა. მან საოჯახო მეწარმეობაში ადრეული ასაკიდანვე ჩააბა თავისი ვაჟიშვილები: ლევანი, ვასილი, ივანე და ზაქარია. ამან განაპირობა, რომ XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის სამეწარმეო საქმიანობას „ძმები კოკოჩაშვილების წარმოება“ ეწოდება.

პეტრე-პავლეს და მისი მამის გარდა, XIX-XX საუკუნეების საქართველოში ეროვნული კულტურის, მეცნიერების, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს კოკოჩაშვილების გვარის სხვა წარმომადგენლებმაც. გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს.

პეტრე-პავლეს შვილები – ლევან, ივანე და ზაქარია კოკოჩაშვილები პროვიზორები იყვნენ და საკმაოდ აქტიურ მონაწილეობდნენ ქალაქის ცხოვრებაში. 1888 წელს ქუთაისის სახელმწიფო სათათბიროში ხუთი პროვიზორი იყო, მათგან ორი – ლევან და ივანე კოკოჩაშვილები იყვნენ.

ლევან კოკოჩაშვილი (1855-1931), მამის საქმეების უშუალო გამგრძელებელი, ფარმაციის მაგისტრი, 1880 წლის აგვისტოდან მამისეული აფთიაქის მმართველად დაინიშნა და, ამავდროულად, აფთიაქის არენდატორიც გახდა. 1888 წელს იგი დაქორწინდა პოლონელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორისა და მრჩევლის ქალიშვილზე – სოფიო ივაშკევიჩზე. 1889 წელს ლევან კოკოჩაშვილმა ბორჯომის წყალი პოლონეთში გაგზავნა „ქიმიური ანალიზისა და კეთილთვისების“ დასადგენად. ვარშავის სპეციალურმა ლაბორატორიამ ბორჯომის წყალი „კეთილხარისხოვან“ სითხედ აღიარა. იმ დროისთვის ისეთ შესანიშნავ და სასარგებლო ქიმიურ კომპონენტებს, რაც ბორჯომის წყალში აღმოაჩინეს, მსოფლიოსათვის ცნობილი არც ერთი მინერალური წყალი არ შეიცავდა. ამიტომაა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბორჯომის სიფონიანი ბოთლის ლითონის სახელურზე ამოტვიფრული იყო წარწერა: “признан доброкачественным, Варшава, Городская гигиеническая лаборатория”. ლევან და ზაქარია კოკოჩაშვილების ქალიშვილები თამარი და ნინოც პროვიზორები იყვნენ. ზოგიერთ წყაროში თამარია მოხსენიებული პირველ პროვიზორ ქალად, ზოგიერთში კი – ნინო.

სურათი 5. ზაქარია კოკოჩაშვილი მეუღლესთან და შვილებთან ერთად (მარცხნიდან: ქეთევანი, ზაქარია, თამარი, ჟოზეფინა (ზაქარიას მეუღლე), ვერა, ნინა კოკოჩაშვილები)

პეტრე-პავლეს შვილმა, ზაქარია კოკოჩაშვილმა (1870 – 1922) ქუთაისში პირველი კინოთეატრი გახსნა, რომელსაც მისი ქალიშვილის, თამარის, სახელი დაარქვა. თამარის რძლის, ზოია კალაძის თქმით, ეს კინოთეატრი მდებარეობდა დღევანდელი თოჯინების თეატრის (წმინდა ნინოს ქუჩა) ტერიტორიაზე.

შალვა კოკოჩაშვილი პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის შვილიშვილი იყო. იგი დაიბადა ქუთაისში 1908 წელს. საშუალო განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. 1913 წელს პეტერბურგის სამედიცინო აკადემია დაამთავრა და გახდა ბავშვთა პედიატრ-ფსიქიატრი. შალვა კოკოჩაშვილი 1920 წელს გახდა აბასთუმნის სანატორიუმის დირექტორი, 1925-26 წლებში კი – ქუთაისის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე. 1931-38 წლებში იგი იყო ქუთაისის მთავარი პედიატრი. 1926 წელს შალვა კოკოჩაშვილის ინიციატივით შეიქმნა ქუთაისის ტუბერკულიოზის დისპანსერის ბავშვთა განყოფილება, რომელსაც

თავად ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. 1937-38 წლებში მისი ინიციატივით ქუთაისში დაარსდა ბავშვთა პირველი საავადმყოფო, სადაც მთავარ ექიმად მუშაობდა. შალვა კოკოჩაშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა ორგანიზებული ბცჟ-ის აცრები ბაგა-ბაღებსა და სკოლებში. მან შეიმუშავა ბავშვთა კუჭ-ნაწლავის დაავადების ბაქტერიოფაგით მკურნალობის ახ-ლებური მეთოდი. შალვა კოკოჩაშვილმა წვლილი შეიტანა ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებაში. იგი ღარიბ მოსახლეობას უსასყიდლოდ მკურნალობდა და ხში-რად წამლებითაც უზრუნველყოფდა. შალვა კოკოჩაშვილმა მრავალ ბავშვს შეუნარჩუნა სიცოცხლე. იგი სახალხო ექი-მად იყო აღიარებული.

შალვა კოკოჩაშვილის ქალიშვილი გულნარა დაიბადა 1919 წლის 19 აპრილს, ქუთაისში. 1939 წელს დაამთავრა ქუთაისის №2 საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილი-სის სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდე-გაც მუშაობა დაიწყო თბილისის ბავშვთა №1 საავადმყოფოში. შემდეგ საცხოვრებლად დაბრუნდა ქუთაისში და მუშაობა გააგრძელა ორდინატორად, მოგვიანებით კი – განყოფილების გამგედ. ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილების უფროსის განკარგულებით მუშაობა დაიწყო №1 პოლიკლინიკის უბნის ექიმად. ის მთელი სიცოცხლე ერთგულად ასრულებდა ჰი-პოკრატეს ფიცს. მისი ოჯახის წევრები იხსენებენ დღეებს, როცა გულნარა კოკოჩაშვილს შუაღამისას გამოიძახებდნენ, ხოლმე საავადმყოფოში, აქვე დასძენენ, რომ მას არასდროს დაუწუწუნია ამის გამო.

პეტრე კოკოჩაშვილის სხვა შთამომავლებმაც დიდი წვლი-ლი შეიტანეს ქვეყნის განვითარებაში.

კონსტანტინე კოკოჩაშვილი – ქუთაისის პირველი საა-ვადმყოფოს ერთ-ერთი დამაარსებელი, ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის ორდინატორი და ქალაქის პირველი საავადმყო-ფოს ინფექციური განყოფილების გამგე იყო.

მიხეილ კოკოჩაშვილი (1901–1964) – მედიცინის მეც-ნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსა-ხურებული მოღვაწე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა

ბავშვთა ქირურქიის განვითარებაში საქართველოში. მას ეკუთვნის ბავშვთა ქირურგიის პირველი ქართული სახელმძღვანელო.

ვიქტორ კოკოჩაშვილი (1904– 1986) – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი, მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი გახლდათ.

მერაბ კოკოჩაშვილი (1935) – მუსიკოს არჩილ კოკოჩაშვილის ვაჟი გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორია, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

კოკოჩაშვილების გვართან და ქუთაისთან არის დაკავშირებული დღეს საქვეყნოდ ცნობილი „ლაღიძის წყლებიც“, რომელსაც დღეს საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. „ლაღიძის წყლებს“ მოპოვებული აქვს არაერთი საერთაშორისო აღიარება ხილეული წყლების საუკეთესო ხარისხისთვის, მაგალითად, პეტერბურგში და ვენაში.

„ლაღიძის წყლების“ ისტორია დაიწყო 1900 წელს, როცა მიტროფანე ლაღიძემ ქუთაისში გახსნა გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი მცირე ზომის ქარხანა. მან ხელოვნური ყინულის დასამზადებლად ქუთაისში პირველმა შემოიტანა მაცივარ-დანადგარები.

სურათი 6. მიტროფანე ლაღიძე

მიტროფანე ლაღიძე (1869-1960) დაიბადა ქუთაისის მაზრაში, სოფელ ჭოლევში. თოთხმეტი წლის ასაკში ქუთაისში ჩამოსულა და ვასო ხუნწარიასთან ერთად მუშაობა დაუწყია პეტრე პავლე კოკოჩაშვილის აფთიაქში, სადაც პოლონელი წარმოშო-

ბის აფთიაქარი ცეზარ ივანოვსკიც მუშაობდა. ყმაწვილებს პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანა ევალებოდათ. შემდგომ წლებში მათ პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის დიდი ნდობა დაუმსახურებიათ. პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის ოჯახსა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ცნობების მიხედვით, ფარმაციის მაგისტრი ცეზარ ივანოვსკი საქართველოში გადმოსახლებული და ემიგრანტთა სიაში „არაკეთილსაიმედოდ" მიჩნეული ყოფილა, ამიტომ ქალაქის ხელისუფლება მას წარმოების გახსნის უფლებას არ აძლევდა. პოლონელი ფარმაცევტი პეტრე-პავლე კოკოჩაშვილს თავის აფთიაქში შეუკედლებია, სადაც იგი 1871 წლის 11 ნოემბრიდან 1880 წლამდე პროვიზორ-არენდატორად მუშაობდა.

„მიტროფანე ლაღიძე 14 წლის იყო, როცა ქუთაისში ჩამოიყვანეს და მუშაობა დაიწყო კოკოჩაშვილისა და ივანოვსკის აფთიაქში".[4] ივანოვსკის აფთიაქის გარდა, ქუთაისში ლიმონათის წარმოებაც ჰქონია. სწორედ აქ მუშაობის დროს შეისწავლა მიტროფანე ლაღიძემ ხილეული წყლების წარმოების მეთოდი და ივანოვსკის გარდაცვალების (1887) შემდეგ წარმოებას თვითონ ჩაუდგა სათავეში.

ინფორმაციის მოძიება ვცადეთ თავად №8 აფთიაქშიც. მაგრამ მისი მმართველის, ლალი დუშუაშვილის, თქმით, აფთიაქში არ ინახება არანაირი საარქივო მასალა. როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, პეტრე კოკოჩაშვილს აფთიაქის ეზოში „სურნელოვან წყალთა ქარხანაც" ჰქონდა, სადაც დამზადებული სასმელი ცნობილი იყო კავკასიის მთელ ტერიტორიაზე. სავარაუდოა, რომ თოთხმეტი წლის მიტროფანე ლაღიძე აქ გაეცნო ხილის სასმელების დამზადების ტექნოლოგიას და არა ცეზარ ივანოვსკისთან, რომელიც თავადაც პეტრე-პავლეს აფთიაქში (და, ალბათ, ხილეული წვნეების ქარხანაშიც) მუშაობდა.ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს: „პეტრე კოკოჩაშვილის ეს დიდი სამახსოვრო საქმეა ქართველის კაცისაგან, სამაგალითოდ მოხერხებული სუნოვან სასმელ წყალის ქარხანა, რომელიც მართლაც და სამაგალითო იყო

[4] ალექსანდრე სიგუა, *მიტროფანე ლაღიძე*, თბილისი, 1980, გვ. 5.

და არის კიდევაც მთელ მხარეში. ამ პირთან იმყოფებოდა და ვითარდებოდა ჩვენი კარგი მამულიშვილი მიტროფანე ლაღიძე, რომელმაც ერთ დროს ქუთაისში ქართულ ენაზედ საუკეთესო წიგნებიც ბეჭდა. დღეს ამ პირს ქ. ქუთაისში აქვს სუნოვან წყალთა სასმელების ქარხანა და ის, რაც პეტრე-პავლეს გვერდით შეისწავლა, იგი დღეს თავისთვის გამოიყენა.“[5]

პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის შვილთაშვილის მეუღლე, ზოია კალაძე, გადმოგვცემს თავისი დედამთილის, თამარის, ზაქარიას ქალიშვილის, მონათხრობს:

„პირველი ლიმონათების ქარხანა გახსნა პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა. მასთან ხელზე მიმტანად მუშაობდა მიტროფანე ლაღიძე. კომუნისტების დროს პეტრე-პავლეს ოჯახს წაართვეს ე.წ. „დეკას“ შენობა, სადაც ცხოვრობდა მთელი ოჯახი. გადმოვიდნენ იმ სახლში, სადაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ. ამ დროს დაიკარგა ბევრი დოკუმენტი, მათ შორის ლიმონათის რეცეპტებიც და კოკოჩაშვილების ოჯახმა შეწყვიტა წყლების წარმოება.მიტროფანე ლაღიძე გერმანიაში იმყოფებოდა. იქედან დაბრუნების შემდეგ, კოკოჩაშვილებისგან ნასწავლ რეცეპტებს ახალი ტექნოლოგია დაუმატა და დაიწყო წყლების ჩამოსხმა.“

ქალბატონი ზოია ამბობს, რომ მან სახლში იპოვა ბროლის ბოთლი, ჩამკეტიანი ფაიფურის თავსახურით, რომელზეც ეწერა: “заводы минеральных вод имени Кокочаева”. ბოთლი გააგზავნა კოკოჩაშვილების თბილისში მცხოვრებ ნათესავებთან და დღესაც იქ ინახება.

XIX-XX საუკუნის საქართველოში, კერძოდ კი ქუთაისში, უალკოჰოლო სასმელების ისეთ მნიშვნელოვან წარმოებას ჩაეყარა საფუძველი, რომელიც XXI საუკუნეშიც ღირსეულად უწევს კონკურენციას ბაზარზე არსებულ მრავალი სახეობის გამაგრილებელ სასმელს. ბუნებრივია, ადამიანები ერთმანეთისგან სწავლობენ და ეტაპობრივად აუმჯობესებენ მიღწევებს. ასე ვითარდება პროდუქციაც და იქმნება წარმატების ისტორიები. მაგრამ მაინც სასიამოვნოა, როცა წარმატებული

[5] ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა*, თბილისი, 1905, გვ. 70.

ადამიანების მასწავლებლები დაფასებულები არიან, სწორედ რომ მსოფლიო მასშტაბით აღიარებული ადამიანების მასწავლებლობით.

. . . .

2018 წლის გაზაფხულზე, ქუთაისის საპატიო მოქალაქე ექიმების ინიციატივით გაზეთ „ძველ ქუთაისელებში“ დაიბეჭდა სტატია პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის მოღვაწეობის შესახებ. ამის შემდეგ, ამავე ჯგუფმა წერილით მიმართა ქალაქის მაშინდელ მერს, გიორგი ჭიღვარიას, რომ №8 აფთიაქსა და მის ქუჩას მინიჭებოდა პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის სახელი. სახელდების კომისიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ინიციატივა და №8 აფთიაქი უკვე პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის სახელობისაა. თუმცა ჯერ შენობაზე შესაბამისი აბრა არაა განთავსებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზაქარია ჭიჭინაძე, *ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა*, თბილისი, 1905.
2. ალექსანდრე სიგუა, *მიტროფანე ლალიძე*, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980.
3. ნინო აბულაძე, „პირველი აფთიაქი ქუთაისში“, გაზეთი *ქუთაისი*, №144 (17157), 1990, 12 სექტემბერი, გვ. 2.
4. ნინო აბულაძე, მერაბ კეზევაძე, „ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობის საკითხისათვის ქუთაისში“, ჟურნალი „*განთიადი*“, 1991, №6. – გვ. 178-180.
5. დოდო ნებიერიძე-გაბრიჩიძე, „კათოლიკე მამულიშვილები“, გაზეთი *საბა*, აგვისტო, 2004.
6. ლოიდ ქარჩავა, გამოჩენილ ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან, *ბიზნესის გარშემო*, 7 წიგნად, რედაქტორი ლეო ჩიქავა, თბილისი.

7. სერგო ჭარხალაშვილი, *წიგნი ქუთაისელ ფარმაცევტებზე*, ქუთაისი, 2007.

ინტერნეტ-ბმულები:

1. https://www.tbcbusiness.ge/ka/business/warmatebis-istoriebi/mitrofane-laRiZe-da-brendi--laRiZis-wylebi მიტროფანე ლაღიძე და ბრენდი „ლაღიძის წყლები“ (ნანახია: 21.07.2018).
2. http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00005426/ ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი, მიტროფანე ლაღიძე, (ნანახია: 20.07.2018).
3. https://www.marketer.ge/laghidze/ მეწარმე, მეამბოხე, რევოლუციონერი და უფლებადამცველი – მიტროფანე ლაღიძის გზა, 4 სექტემბერი, 2017, (ნანახია: 19.07.2018).
4. http://lagidze.ge/ka – „ლაღიძის წყლების“ ოფიციალური საიტი (ნანახია: 19.07.2018).

სხვა წყაროები:

1. ლალი დუშუაშვილის მონათხრობი – №8 აფთიაქის მმართველი.
2. ზოია კალაძის მონათხრობი – თამარ კოკოჩაშვილის რძალი.
3. მაგული ჩხობაძის მონათხრობი – პათოლოგანატომი, პროფესორი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.
4. გულნარა კოკოჩაშვილის ოჯახის წევრების მონათხრობი
5. ქალაქ ქუთაისის მერიის პროექტი „ნაცნობი უცნობი ქუთაისი“.

ფოტოების წყაროები:

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა – http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Mitropane_Lagidze_(1).jpg (ნანახია: 20.07.2018).
2. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა – http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/119544 (ნანახია: 20.07.2018).

3. ქუთაისის სახელწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუ-ზეუმი.
4. ქალაქ ქუთაისის მერიის პროექტი „ნაცნობი უცნობი ქუ-თაისი“.

სტატიის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის მად-ლობას ვუხდით ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუ-ზეუმის თანამშრომელს, ქალბატონ ვიოლა ნიჟარაძეს.

მელანო კობახიძე

იოსებ ოცხელი

ქალაქ ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე უამრავი სახლი დგას, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება მიიპყრონ ჩვენი ყურადღება. სახლი, რომელიც ამ ქუჩაზე რიგით მეთოთხმეტეა, განსაკუთრებულ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებს. გალავანზე არსებულ მემორიალურ დაფაზე ვკითხულობთ:

> ამ სახლში 1865 წელს დაიბადა და 1897 წლამდე ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, დასავლეთ საქართველოში პირველი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ფუძემდებელი და პირველი დირექტორი – იოსებ ოცხელი.

ოცხელთა ხსენებაზე, უპირველესად, 1920-30-იანი წლებში მოღვაწე, ცნობილი მხატვარ-სცენოგრაფი პეტრე ოცხელი (1907- 1930) გვახსენდება ხოლმე, თუმცა, გვარის გენეალოგიას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით,რომ ამ გვარის მრავალ წარმომადგენელს გამორჩეული ღვაწლი მიუძღვის ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივ განვითარებაში, განსაკუთრებით, კულტურულ ცხოვრებაში.

როდესაც ქუთაისის კულტურულ განვითარებაში კათოლიკური თემის მიერ შეტანილ წვლილს ვიკვლევთ, სხვა

ისეთ მნიშვნელოვან გვარებთან ერთად, როგორებიც არიან ფალიაშვილები, კოკოჩაშვილები, ყაუხჩიშვილები და სხვანი, აუცილებლად უნდა შევჩერდეთ ოცხელების დამსახურებაზე. დღეს ჩვენ იოსებ ოცხელის შესახებ ვისაუბრებთ.

იოსებ ოცხელის (1865–1919) წინაპრები სამცხე–საათაბაგოდან ყოფილან – მდინარე ოცხეს ხეობიდან, კერძოდ, დაბა ოცხედან (დღევანდელი აბასთუმანი), გვარად მანანაშვილები. 1578 წლიდან, როცა სამცხე–საათაბაგო ოსმალთა მფლობელობაში გადავიდა, დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის გამუსულმანება. მაშინ ბევრი მართლმადიდებელი ქართველი კათოლიკურ სარწმუნეობაზე გადავიდა, რადგან კათოლიკე მისიონერებს ოსმალოს მთავრობისგან მოპოვებული ჰქონდათ უფლება, კათოლიკეები საკუთარ რწმენაზე დარჩენილყვნენ. რომის „პაპის მფარველობით აღმოსავლეთში კათოლიკობა შეიქნა ქრისტიანობის შესახიზნარი“ (მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, თბილისი, 1902, გვ. 80). მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს კათოლიკე პატრების დახმარებით მანანაშვილი ვაჭრები ქუთაისში გადასულან. მეფის სასახლეში მიღებაზე წარმდგარან როგორც ვაჭრები ოცხედან, ანუ ოცხელები. მას მერე მათ და მათ შთამომავლობას ოცხელებად მოიხსენიებენ.

იოსებ ოცხელის შესახებ მასალების მოძიება თბილისის ქუჩაზე მდებარე იმ სახლიდან დავიწყე, სადაც ის დაიბადა და სადაც დღემდე მისი შთამომავლები ცხოვრობენ. ამჟამად აქ მესამე თაობის წარმომადგენელი კონსტანტინე ოცხელი ცხოვრობს მეუღლესთან, მარინა აფხაიძე-ოცხელთან ერთად. ქალბატონი მარინა იტალიელ კათოლიკე მღვდელ მამა ლუიჯი მანტოვანთან ერთად ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონის ავტორია. ქალბატონი მარინა, აღნიშნავს, რომ იოსებ ოცხელის წვლილი ქალაქ ქუთაისის განვითარებაში უზომოა.

იოსებ ოცხელმა დაწყებითი განათლება ქუთაისში, კათოლიკეთა სასწავლებელში მიიღო,საშუალო განათლება – ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ სწავლა ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო. უნივერსიტეტის კურსი 1889 წელს პირველი ხარის-

ხის დიპლომით დაასრულა. ამის შემდეგ იოსები ქუთაისში ბრუნდება და მუშაობას სხვადასხვა სფეროში იწყებს, თუმცა თავის მოწოდებას საბოლოოდ, პედაგოგიურ მოღვაწეობაში პოულობს. სიცოცხლის ბოლომდე ის თავს უძღვნის ახალგაზრდების განათლებაზე ზრუნვას და არაერთ კულტურულ წამოწყებას თაოსნობს.

პირველი, რაც იოსებ ოცხელმა ქალაქის კულტურული განვითარებისთვის გააკეთა, იყო ის, რომ მამისეულ სახლთან ახლოს (ახლანდელი თამარ მეფის ქუჩა, I ჩიხი, N4) საკმაოდ ვრცელი ტერიტორია შეიძინა, რამაც საშუალება მისცა, თავისი ჩანაფიქრისთვის ხორცი შეესხა. ამ ნაკვეთზე საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ერთად მან სხვა შენობებიც ააგო: საბავშვო ბაღისთვის, დაწყებითი სკოლისა და სტამბისთვის. როდესაც ეს დაწესებულებები ამოქმედდა, მათ ძალიან გამოაცოცხლეს ქუთაისის საზოგადოების ცხოვრება.

იოსებ ოცხელისთვის მასწავლებლობა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელობა ია–ვარდით არ ყოფილა დაფენილი.

ქუთაისის დაწყებითი ქართული სკოლის დაარსების საკითხი 1879 წელს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის თანამშრომელთა კრებამ დააყენა. სკოლას უნდა მიეღო არა მარტო პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლები, არამედ სხვა სოციალური წოდების მქონენიც, განსაკუთრებით, გლეხთა შვილები. 1880 წელს, გაზეთი „დროება“ წერდა, რომ „შკოლაში სწავლებისათვის არავითარი გადასახადი არ არის დანიშნულიო“[1]. სწავლება წესდების მიხედვით ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო; ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თუ გავითვალისწინებთ, საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, მაგრამ მაშინდელ პედაგოგებს უჭირდათ ქართულ ენაზე სწავლება, ამასთან, მშობლიურ ენაზე არ იყო სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოები, რაც აბრკოლებდა ქართულ სკოლაში ქართულენოვან სწავლებას. ამ პრობლემის დაძლევას სკოლის ხელმძღვანელობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით

[1] ილია გენძეხაძე, *იოსებ ოცხელი (პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე,* ქუთაისი, 1989.

ცდილობდა. სკოლის პრობლემები მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა: ქუთაისის გუბერნიის სკოლათა მაშინდელი დირექტორი – რუსული იმპერიის ჩინოვნიკი – ლევიტსკი, რბილად რომ ვთქვათ, არ იწონებდა ქართული სკოლის მთავარ მიზანს – დაწყებითი განათლების ქართულად წარმართვას. მან ყველა სკოლიდან განდევნა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“. მისეული ახალი პროგრამის მიხედვით, მთავარი ადგილი რუსული ენის სწავლებას უნდა დასთმობოდა.

ქართული სკოლისთვის რთული აღმოჩნდა ამგვარი იძულებითი რეორგანიზაცია. დაიწყო სკოლის ხელმძღვანელთა ხშირი ცვლა. ასეთ რთულ დროს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შექნა კომისია, რომელმაც ქართული სკოლის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე იოსებ ოცხელის კანდიდატურა წამოაყენა. ამ საზოგადოებამ იცოდა, რომ ასეთი ცოდნისა და გამოცდილების ადამიანი შეძლებდა სკოლისთვის წარმატება მოეტანა, თუმცა, ასე არ ფიქრობდა ქუთაისის თავად-აზნაურთა გარკვეული ნაწილი,რომელმაც კავკასიის ოლქის მზრუნველთან შემდეგი შინაარსის განცხადება გააგზავნა:

„მის აღმატებულებას კავკასიის ოლქის მზრუნველს ქუთაისის გუბერნიის აზნაურთაგან

განცხადება

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, გთხოვთ, მიაქციოთ თქვენი ყურადღება ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლას. ადგილობრივმა კომიტეტმა წარმოადგინა სკოლის დირექტორის თანამდებობაზე კაცი, თუმცა უმაღლესი განათლებით, მაგრამ არა მართლმადიდებელი სარწმუნოებით. სათავადაზნაურო სკოლაში, რომელიც ინახება თავადაზნაურთა საშუალებით, სწავლობს 500 ბავშვი, ყველა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა შვილებია, სარწმუნოებით მართლმადიდებელნი. მართლმადიდებელობას ვიცავთ საუკუნეების განმავლობაში და სრულიად არ გვსურს, რომ ჩვენი შვილების აღმზრდელი იყოს კათოლიკე. ბატონი იოსებ ოცხელი ჭეშმარიტი კათოლიკეა. მას აქვს თავისი პანსიო-

ნი, საიდანაც გამოდიან იეზუიტად აღზრდილი ყმაწვილები. ჩვენ აზნაურები ვართ და გვსურს აღვზარდოთ ჩვენი შვილები რუსული მართლმადიდებელი მიმართულებით. არ გვიყვარს იეზუიტები, კათოლიკები, როგორც არ უყვარს ისინი რუსებს, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თხოვნა იქნება დაკმაყოფილებული, ოცხელი იყოს თავის სასწავლებელში, სადაც ერთ დროს მართლმადიდებელ ბავშვებს ასწავლიდა საღვთო სჯულს, იყოს ის უბრალო მასწავლებლად და არა სკოლის ხელმძღვანელად. მოგვაქციეთ თქვენი ყურადღება ჩვენ, საწყალ აზნაურებს და ნუ მოაკლებთ ჩვენს სკოლას მას, რასაც არ აკლებთ სხვა მართლმადიდებელ სკოლებს''. ქუთაისი 1900წ. 12 დეკემბერი.

განცხადებას ხელს თხუთმეტი აზნაური აწერდა.

ასეთ ნაბიჯს თავად-აზნაურთა ერთი ნაწილი მღელვარებით შეხვდა. განცხადებასთან დაკავშირებით, იოსებ ოცხელის ყოფილი მოსწავლის, შემდგომში ცნობილი გენეტიკოსის, ალექსანდრე სორდიას, დედა, აღნიშნავდა: ,,ეს განცხადება არის საოცარი მოწმობა ჩვენი თავადაზნაურობის სიბნელისა და სიბეჩავისა, გონებრივი სისუსტისა და სრული გამოთაყვანებისა, ოცხელის მოშორებას თხოულობენ, ხელს აწერს 15 აზნაური, ესენი არიან თქვენი მოწინავე მამულიშვილები და კეთილშობილი აზნაურები? ისინი ბნელეთის მოციქულები არიან და ზოგჯერ მრცხვენია, რომ მათ წოდებას ვეკუთვნი!''[2].

ქალბატონი მარინა ოცხელი საუბრისას იხსენებს,რომ ეს ამბავი მაშინ ქალაქში ძალიან გახმაურებულა და მალევე თხუთმეტი თავადაზნაურის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ იოსებ ოცხელის წინააღმდეგ იყო მიმართული, დაკარგულა.

ასეთი შემოტევის მიუხედავად, იოსებ ოცხელი დათანხმდა ქართული სკოლის დირექტორად დანიშვნის წინადადებას. სკოლის დირექტორად ის 1900 წლის 15 იანვარს დაინიშნა.

---

[2] მაია ახვლედიანი, *იოსებ ოცხელი*, ქუთაისი, 2011.

დაიწყო სკოლის სრული რეორგანიზაცია. ახალი ხელმძღვანელი დაუყოვნებლივ შეუდგა შიდა სასკოლო რეფორმების გატარებას, დაიწყო სასწავლო პროცესის დახვეწა. მან მოითხოვა კლასგარეშე კითხვისთვის სავალდებულო გაკვეთილის სახე მიეცათ. მოსწავლეებს თავად უკითხავდა ევროპული ლიტერატურის შედევრებს, აცნობდა ჰიუგოს, მოპასანისა და ზოლას შემოქმედებას, ასწავლიდა წაკითხული ნაწარმოების გარჩევა–განხილვის წესს; კრიტიკული აზროვნებისა და ორატორული ხელოვნების დასაუფლებლად მან შემოიღო დისკუსიები.

იოსებ ოცხელი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო სკოლა გასცნობოდა მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობებს. თუ ეს პირობები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდებოდა, მოსწავლისათვის სათანადო პირობების შექმნაში სკოლის თანამშრომელთა და ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე სასკოლო საზოგადოება უნდა დახმარებოდა.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა იოსებ ოცხელი სოფლებიდან ჩამოსულ ღარიბ გლეხთა შვილებს – ეხმარებოდა ფულით, სურსათით, რჩევით, ავადმყოფობის შემთხვევაში – წამლებითაც; წამალი ზოგჯერ საკუთარი ხელითაც მიჰქონდაო, წერს თენგიზ ბუაჩიძე წიგნში *აღსარება*[3]. იოსებ ოცხელი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზეც ზრუნავდა. ამ მიზნით მან მასწავლებელთა საზღვარგარეთ გაგზავნის პრაქტიკაც კი დანერგა.

მართალია, სკოლას ქართული სკოლა ერქვა, სინამდვილეში, სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ქართულ ენაზე მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა. სკოლის ხელმძღვანელობა დიდხანს ცდილობდა, სწავლება ქართულ ენაზე წარემართა და, აი, მასწავლებელთა საბჭომ 1908 წლის 5 ნოემბერს მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად და გადაწყვიტა, ყველა საგანი ქართულ ენაზე ესწავლებინათ (გარდა რუსული ენისა და ლიტერატურის, რუსეთის ისტორიისა და რუსეთის გეოგრაფიის).

---

[3] თენგიზ ბუაჩიძე, *აღსარება*, თბილისი,1961.

ქართული სკოლის მასწავლებელთა ნაწილი. წინა რიგში, მარცხნიდან მე-6 იოსებ ოცხელი.

1905 წელს, ძალიან ბევრი სირთულისა და დაბრკოლების მიუხედავად, იოსებ ოცხელმა შეძლო ქუთაისის ქართული სკოლა კერძო გიმნაზიად ექცია. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით აიგო გიმნაზიის შენობა. ეს იყო პირველი საშუალო სასწავლებელი დასავლეთ საქართველოში.

1909 წელს გიმნაზიის მთლიანი რეორგანიზაციის შესახებ საუბრისას კიდევ ერთხელ წამოიჭრა საკითხი იმის თაობაზე, რომ გიმნაზიაში ყველა საგანი ქართულ ენაზე უნდა ესწავლებინათ. დაიწყო მუშაობა მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოთა შესაქმნელად და ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შესადგენად. დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, რომ თანამედროვე ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის დიდი ნაწილი ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა ამ ჯგუფის მიერ არის დადგენილი.

„ოცხელის გარეშე ამ მუშაობას ძნელად თუ ვინმე მოკიდებდა ხელს“.[4]

იოსებ ოცხელმა სამუშაო ადგილი მისსავე საცხოვრებელ სახლში გამოყო. სტამბისათვის კი ამავე სახლის ეზოში ააგო ერთსართულიანი შენობა, სადაც ორიგინალური ქართული

[4] ილია გენძეხაძე, იოსებ ოცხელი (*პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე*, ქუთაისი, 1989.

სახელმძღვანელოები იბეჭდებოდა. „იოსებ ოცხელის ოჯახი ახალი ქართული პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემის კერად იყო გადაქცეული, მთელ წელიწად–ნახევარს მისი სახლი წარმოადგენდა მთარგმნელთა და შემდგენელთა სამუშაო დარბაზს: აქ ნათარგმნი სწორდებოდა, იქ – შედგენილი ირჩეოდა, იქ – ერთს მაგიდაზე მხატვრები სურათებს არჩევენ, მეორეზე – კლიშეებს ალაგებენ, იოსები ხან ერთთან მივა, ხან მეორესთან, რათა შესაფერი შესწორება შეიტანოს, ნაკლი შენიშნოს'', – წერდა გიმნაზიის პედაგოგი, სამსონ ყიფიანი[5].

გიმნაზიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თვალსაჩინოებისა და მაგალითის ძალის გამოყენებას. მაგალითად, სახელმძღვანელოები დასურათებული უნდა ყოფილიყო, უნდა გახსნილიყო ლაბორატორიები და გამდიდრებულიყო ისინი სხვადასხვა ხელსაწყოთი. ცნობილია, რომ გიმნაზიის მოსწავლეები მოვლენებს ღია ცის ქვეშაც აკვირდებოდნენ.

„ადამიანის ტვინი და ხელები ერთად უნდა მუშაობდნენ, რაც თეორიულად გადაეცემა მოწაფეს,მისი პრაქტიკული გამოყენებაც უნდა იცოდეს და შეეძლოს – წინააღმდეგ შემთხვევაში, სქოლასტიკა და მოსაბეზრებელი ტვინის დამბლა გამოგვივა"[6], – წერდა იოსებ ოცხელი მისი თანაავტორობით შედგენილი წიგნის – *გუთანის* – წინასიტყვაობაში. იოსებ ოცხელი მცდელობას არ აკლებდა, რომ მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო არც ერთი მოსწავლე, თითოეულ მათგანისადმი მას ინდივიდუალური მიდგომა ახასიათებდა. იოსებ ოცხელის პედაგოგიურ შეხედულებებს და პრაქტიკას რომ ეცნობი, შეუძლებელია, არ გაგიჩნდეს სურვილი, რომ ასეთი პროგრესული იდეები და შეხედულებები თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც აქტიურად გამოიყენებოდეს.

გარდა სასკოლო საქმიანობისა და აქტიური კულტურული ცხოვრებისა, იოსებ ოცხელი და ქართული გიმნა-

---

[5] ციტ. ილია გენძეხაძე, იოსებ ოცხელი (*პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე*, ქუთაისი, 1989.

[6] ი.ოცხელი, თ.მთავრიშვილი, ს. ყიფინი. *გუთანი*, ,ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი,1908-1920წწ.

ზია აქტიურად იყვნენ ჩართული ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ისინი ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ სხვადასხვა სახით იბრძოდნენ. გიმნაზიის მასწავლებლებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ ქართული გიმნაზიის არსებობა და იქ მუშაობა ეროვნული საქმისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. გასაკვირი არაა, რომ მთავრობა გიმნაზიის მასწავლებლებსა და მოსწავლეებში იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ საშიშ ძალას ხედავდა.

იოსებ ოცხელი თავის მოწაფეებს სკოლის დამთავრების შემდეგაც არ უშვებდა თავისი მხედველობის არიდან, მათ სტუდენტობის ხანასაც თვალს ადევნებდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. შეიძლება ერთი მაგალითი გავიხსენოთ. რუსეთში მყოფმა ქართველ სტუდენტთა ჯგუფმა გადაწყვიტა, 1914 წლიდან გამოეცა კრებული *ცხოვრება და მეცნიერება*. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვდა. საჭირო იყო მეცენატი. სტუდენტებმა თავიანთი მიზანი და კრებულის შინაარსი იოსებ ოცხელს გააცნეს და რჩევა სთხოვეს. ქართული განათლების დიდ მოამაგეს სტუდენტების ეს ნაბიჯი მოეწონა და აღნიშნული კრებულის დაბეჭდვა თავის ძმას კონსტანტინე ოცხელს სთხოვა. კრებული 1914 წლის ზაფხულში „კ. ი. ოცხელის და ამხანაგობის წიგნის გამომცემლობაში" დაიბეჭდა. ამ კრებულის ეგზემპლარი დღესაც არსებობს და ის იოსებ ოცხელის მამისეულ სახლში ინახება. ქალბატონმა მარინა ოცხელმა, რომელმაც იოსებ ოცხელის ბიოგრაფიის ამ ნაწილზეც ისაუბრა, საუბრისას კრებულიც დამათვალიერებინა. ამ კრებულისთვის ხელის შევლებაც კი დიდ ემოციებს იწვევს. საუკუნის წინ გამოცემული წიგნი დღესაც არსებობს და ნათლად მეტყველებს იოსებ ოცხელის კულტურულ და საქველმოქმედო საქმიანობაზე.

იოსებ ოცხელმა და მისმა ძმებმა ქალაქ ქუთაისში სტამბასთან ერთად წიგნის მაღაზიაც დააარსეს „კ.ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში". მაღაზიას წიგნის გავრცელებასთან ერთად წიგნის გამოცემაც ჰქონდა დაკისრებული. ამ გამომცემლობაში დიდი ყურადღება ექცეოდა

საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საკითხს. ძმებმა გამოსცეს *პირველი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე* სახალხო სკოლებისთვის. ქალბატონმა მარინა ოცხელმა საუბრისას აღნიშნა, რომ ეს წიგნი, რომელიც ამჟამად მათ სახლში (იოსებ ოცხელის მამისეულ სახლში) ინახება, ნათელი მაგალითია იმისა, რომ იოსებ ოცხელის მოწინააღმდეგე თხუთმეტი თავად-აზნაურის შეხედულებას ყველა არ იზიარებდა; მართლმადიდებელი არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი ამ წიგნის უშუალო შემდგენელი გახლდათ. მან თავად სთხოვა იოსებს, აღნიშნული წიგნი სწორედ კოტე ოცხელის სტამბას დაებეჭდა.

იოსებ ოცხელი თავადაც იყო რამდენიმე წიგნის ავტორი ,კერძოდ მისი ავტორობითა და თანაავტორობით გამოიცა სახელმძღვანელოები:

1. ი.ოცხელი, თ.მთავრიშვილი, ს.ყიფინი. *გუთანი* (ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი),1908-1920წწ
2. ი.ოცხელი, თ.მთავრიშვილი, ს.ყიფიანი. *ქართული ანბანი*, 1915
3. იოსებ ოცხელი, *მნათობი* (ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი),1908
4. იოსებ ოცხელი. *ქრესტომათია*, საშუალო სასწავლებლების კლასისათვის,ქუთაისი, 1918
5. ი.ოცხელი, ი.ნიკოლაიშვილი, მამფორია. *ქართული ქრესტომათია*, საშუალო სასწავლებლების მეორე კლასისათვის, ქუთაისი, 1918.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ იოსებ ოცხელი ქუთაისის ეთნოგრაფიული საზოგადოების დაფუძნების ინიციატორიც გახლდათ. ამ საზოგადოების მიზანი იყო ქალაქ ქუთაისში მუზეუმის დაარსება.

გიმნაზიის თანამშრომლებს და იოსებ ოცხელს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი იმაში, რომ „ქუთაისის მუზეუმი დღეს სამეცნიერო-კვლევითი და კულტურული–საგანმანათლებლო კერაა და საცავი ისტორიის, მატერიალური და კულტურის ძეგლებისა ძველი კოლხეთის, ამჟამინდელი იმერეთის

ტერიტორიაზე...მუზეუმში სათუთადაა დაცული ქართული გიმნაზიის მასალები“[7]

ასევე, დიდია იოსებ ოცხელის როლი საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაშიც. ის სხვა ქალაქების სკოლების ორგანიზაციებთან აწარმოებდა მიმოწერას სასკოლო ბიბლიოთეკისთვის წიგნების მისაღებად. გამოწერილი წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით და შემოწირულობებით ამდიდრებდა სკოლის ბიბლიოთეკას, რომლითაც ქალაქის ინტელიგენციაც სარგებლობდა.

იოსებ ოცხელი თეატრისა და მუსიკის გულშემატკივარიც გახლდათ. სპექტაკლებზე მოსწავლეთა დასწრებას წახალისების საშუალებად იყენებდა, მათ ხელოვნებისადმი სიყვარულს უნერგავდა. იოსებ ოცხელის სახლ-მუზეუმში დღესაც ინახება მის რელიკვიური ნივთები, მათ შორის, გერმანული წარმოების ფორტეპიანო, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის რჩევით არის გამოწერილი

წარსულის კვლევისა და გაცნობის შემდეგ დავინტერესდი, რამდენად იციან, რამდენად ახსოვთ და რამდენად აფასებენ დღევანდელ ქუთაისში პიროვნებას, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, ქუთაისი, ჯერ ისევ რომ დიდ სოფელს ჰგავდა, ქართული კულტურის კერად აქცია.

ამის გასაგებად ქუთაისის მეორე საჯარო სკოლას ვესტუმრე, შენობას, რომელიც იოსებ ოცხელის სახელს ატარებს. სკოლის ეზოში იოსებ ოცხელის ძეგლი დგას. ამ სკოლაში ნანული ჟორჟოლიანი მუშაობს. ის მათემატიკის მასწავლებელი და ამავე დროს იოსებ ოცხელის საზოგადოების თავმჯდომარეა. ქალბატონი ნანული ყოველ წელს, იოსებ ოცხელის დაბადების დღეს თავის მოსწავლეებთან ერთად ქუთაისის მწვანეყვავილას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ადის და მოსწავლეებს აცნობს იმ პიროვნების ბიოგრაფიას, რომლის სახელსაც მათი სკოლა ატარებს. სკოლაში, თითოეულმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია, სკოლაში არსებობდეს იოსებ ოცხელის ბიოგრაფიისა და საქმიანობის ამსახველი ბიბლიოთეკა. მათი

[7] მაია ახვლედიანი, *იოსებ ოცხელი*, ქუთაისი, 2011 გვ. 96.

ქ. ქუთაისი, იოსებ ოცხელის სახელობის სკოლა
ფოტო – მ. კობახიძე.

თქმით, უკვე ის ფაქტი, რომ მე დავინტერესდი ამ თემით, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იოსებ ოცხელის ღვაწლი და ამაგი დღესაც აქტუალურია. აღსანიშნავია, რომ იოსებ ოცხელთან მიიღეს განათლება დიმიტრი უზნაძემ, კონსტანტინე ერისთავმა, ალექსანდრე ჯანელიძემ, ვიქტორ ნოზაძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ. თუმცა, გულდაწყვეტით უნდა აღვნიშნო, რომ დღეს ამ შესანიშნავი საზოგადო მოღვაწის სახელი ძალიან ცოტა ადამიანმა იცის. დიდი სურვილი მაქვს, ჩემი ქვეყნის მოქალაქეებმა იცოდნენ იოსებ ოცხელის სახელი და ის დამსახურება, რომელიც მას ქართული საზოგადოების წინაშე მიუძღვის.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ თემაზე მუშაობის დროს გულწრფელად მიკვირდა, როგორ იყო შესაძლებელი, რომ ერთ ადამიანს იმდენი გაეკეთებინა კულტურის განვითარებისთვის, ქალაქისთვის და, ზოგადად, ქვეყნისთვის, რამდენიც შეძლო იოსებ ოცხელმა. ამისათვის, ალბათ, თავდავიწყებით უნდა გიყვარდეს საქმე, რომელსაც აკეთებ და ძირისძირამდე შეგნებული გქონდეს შენი მისია ამ ქვეყანაში.

იოსებ ოცხელის ძეგლი ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის N2 საჯარო სკოლის ეზოში.
ფოტო – მ.კობახიძე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაია ახვლედიანი, *იოსებ ოცხელი*, ქუთაისი, 2011.
2. მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთ შორის*, თბილისი, 1902.
3. დავით კლდიაშვილი, *ჩემი ცხოვრების გზაზე*, ბათუმი,1984.
4. ივანე ვარლამიშვილი, *მუდამ თანამედროვე „საქართველო“*, ქუთაისის ფილიალი,1991.
5. თენგიზ ბუაჩიძე, *აღსარება*, თბილისი,1961.

ირაკლი ლორთქიფანიძე

წმიდა მიწიდან ქუთაისამდე...

ქუთაისის ებრაელობა

ურიანი არიან კაცნი გულწრფელნი,
კეთილის გულის, შრომის მოყვარენი,
კაცნი მოუდრეკელნი სარწმუნოებაზედ და
მტკიცედ თავიანთ დოლმატებზედ.

ზაქარია ერისთავი

Არსებული ისტორიული, ეთნოგრაფიული, საარქივო მასალა თუ ზეპირი გადმოცემები ადასტურებს იმ მჭიდრო და ხანგრძლივ კულტურულ კავშირს, რომელიც არსებობდა ქართველებსა და ქართველ ებრაელებს შორის. საქართველოში მოსახლე ამ ორ სხვადასხვა რწმენის მიმდევართა შორის ადგილი არ ჰქონია რელიგიურ და ნაციონალურ შუღლს, თუმცა სარწმუნოებრივი სხვაობა დიდ დაბრკოლებად წარმოდგება ხოლმე ბევრ ხალხს შორის

საუკუნეთა მანძილზე ჩვენში მცხოვრებმა ებრაელებმა შეითვისეს ქართული კულტურა, ენა, ზნე-ჩვეულებანი; საქართველო მათთვის გადაიქცა ნამდვილ სამშობლოდ – მეორე იერუსალიმად.

დღესაც კი, 21-ე საუკუნეში საქართველოში მცხოვრებ ან მისი ფარგლებიდან გასულ ებრაელებს ქართველებთან აერთიანებს ენა, ისტორიული წარსული, კულტურა და წლებგამოვლილი სიყვარული.

1886 წელს ილია ჭავჭავაძე ებრაელთა საკითხზე წერდა: „არც ერთს ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხდენია. ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულს ერს ბედმა ხელიდამ გამოსხლიტა სამშობლო და თვითმფლობელობა და გააბნია იგი მთელის დედამიწის ზურგზე.“[1]

ქუთაისში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ებრაელებს ეჭირათ. რიონისპირა ქალაქში ისინი ძირითადად ქალაქის შემოსასვლელებში, აღმოსავლეთით, მდინარე რიონის მარცხენა მხარეს მე-17-18 საუკუნეების მიჯნაზე დასახლდნენ.

„ურიანი არიან კაცნი გულწრფელნი, კეთილის გულის, შრომის მოყვარენი, კაცნი მოუდრეკელნი სარწმუნოებაზედ და მტკიცედ თავიანთ დოღმატებზედ; მაგრამ იმათში უფრო ეს არის საქები, რომ ერთად იყოფენ ერთმანეთში როგორათაც ბედნიერებას, ეგრეთვე უბედურებას. საკუთარი საქმე კაცებისა არის ვაჭრობა.. დედაკაცნი ქსოვენ, ართამენ, ყურს უგდებენ სახლკარს და შვილებს და არ უცხოებენ სხუათა სარწმუნოების კაცებთან..“ წერდა ზაქარია ერისთავი.[2]

ქართველმა ებრაელებმა საუკუნეების მანძილზე მტკიცედ შეინარჩუნეს იუდაური სარწმუნოება, ებრაული ენა, დამწერლობა და ადათ-წესები. ბუნებრივია, ყოველივე ამან ზეგავლენა მოახდინა ორივე ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. აღნიშნული გარემოება არ გამოპარვიათ მხედველობიდან საქართველოში მოგზაურ უცხოელებს, რომელთც საინტერესო ჩანაწერები შემოგვინახეს ებრაელების შესახებ.

საქართველოში ებრაელების ცხოვრების ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორია ქართველების და ებრაელების მტკიცე მეგობრობის დასტურია. რა თქმა უნდა, ამ ორი ერის საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ერთად ცხოვრების პროცესში გარკვეული როლი ქრისტიანულმა ეკლესიამ შეიტანა. მიუხედავად ებრაელების განსხვავებული სარწმუნოებისა,

---

[1] ჟ. *განთიადი*, 1996., N3-4. გვ.12.

[2] ჟ. *ცისკარი*, 1860.N60. გვ.115.

ქართული ეკლესიის მსახურები დადებითად იყვნენ განწყობილნი ებრაელებისადმი.

ჩვენი ეკლესიის წინამძღოლებს არ უცდიათ შეექმნათ ებრაელებისაგან „მტრის ხატი“. პირიქით, საქართველოს ეკლესია მფარველობდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ებრაელ მოსახლეობას. ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, ებრაელების ეკლესიისათვის მიკუთვნების პრაქტიკა მე-9 საუკუნეში დამკვიდრდა.[3]

იეჰუდა ჩორნი, რომელმაც იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, ქუთაისში მცხოვრები ებრაელების შესახებ წერდა: „ჩემს დასაფასებლად მთელი ქალაქის ებრაელობა მოვიდა, ვინ წარმოიდგენს რაოდენი პატივი მივიღე მე მათგან. როცა ებრაელობის სამოსახლო უბანში ჩავივლიდი, ყველას მზერა ჩემსკენ იყო მოპყრობილი.“[4] „როცა ქუთაისელ ებრაელებს ვინმე გამოაკლდებათ, ყველა მათგანი კეტავს თავის დუქანს და ჭირისუფლის სახლში მიდის, მიცვალებულს აპატიოსნებენ და სასაფლაოზე მიასვენებენ.[ქუთაისის] რაბი[ნი] მოხუცია, გულმკერდზე თეთრი წვერი ჩამოჰფენია.“[5] „ადარის 7-ში ქუთაისის მკვიდრნი საჯამაათო მარხვას იჭერენ, ტირიან და მარხულობენ იმაზე, რომ მოშე ვერ ეღირსა ერეც-ისრაელში შესვლას.“[6]

წერილობითი წყაროები ქუთაისელი ებრაელების შესახებ

პირველი წერილობითი წყარო ქუთაისელ ებრაელებთან დაკავშირებით მე-17 საუკუნის 40-იანი წლების გელათელი [გაენათელი] მიტროპოლიტის შეწირულობის წიგნია, რომ-

---

[3] ზურაბ ჯავახაძე, *ქუთაისო*, ჩემო დედავ!, ქუთაისი, 2012, გვ.165-166.

[4] ჟ. *განთიადი*, 1996. N3-4. გვ.27.

[5] ჟ. *განთიადი*, 1996. N3-4. გვ.28.

[6] ჟ. *განთიადი*, 1996. N3-4. გვ.31.

ლითაც ირკვევა, რომ 1644 წელს გელათელი [გაენათელი] მიტროპოლიტი ზაქარია ქვარიანი გელათის საყდრისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში მიუთითებს, რომ მწვანეყვავილას ტერიტორია, ფაქტობრივ, მამამისისა და მის მიერ იქნა განაშენიანებული, როგორც სოფელი. აქვე ჩამოთვლის იმ გლეხებს, რომლებიც მას საეკლესიო მიწაზე დაუსაქმებია და მათ შორის მოიხსენიებს „ფიჩხაძე დანიელა ურიას კომლი ერთი“, „დანიელა ურია“ რომ ერთადერთი ებრაელი არ ყოფილა ქუთაისში, ამას მოწმობს საკათალიკოზო გლეხების ნუსხა, რომელიც, სარგის კაკაბაძის აზრით, შედგენილი უნდა იყოს 1650 წელს. ნუსხის მიხედვით, ქუთაისში საეკლესიო მიწის ერთი ნაწილი დაკავებული ჰქონია ვინმე „მოძღვარსა ურიასა“.[7]

ქუთაისის ეკონომიკური ცხოვრებისა და შესაბამისად დემოგრაფიული აღმავლობის პროცესი მიმდინარეობდა ებრაელთა აქტიური მონაწილეობის ფონზე. ცნობილია, რომ გვიანფეოდალური ხანის საქართველოს, მათ შორის, იმერეთისა და ქუთაისის ეკონომიკური (სავაჭრო-ფინანსური) ცხოვრების სადავეები, ძირითადად, ებრაელთა და სამხრეთი საქართველოდან გადმოსულ კათოლიკე ქართველთა ხელში იყო მოქცეული. ეს მათი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა.[8]

XVIII საუკუნის 70-იანი წლების შუახანებიდან, როგორც კი ქუთაისში ეკონომიკური გამოცოცხლებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, კათოლიკე ქართველებისა და სომხების პარალელურად დაიწყო როგორც სამეფო, ისე საბატონო და საეკლესიო ებრაელთა ინტენსიური დასახლება. ებრაელი თავისი სურვილითა და ნებით შედიოდა მეფის, მებატონისა და ეკლესიის ყმობაში, რომ როგორმე ქუთაისში დასახლების საშუალება მოეპოვებინა.[9]

1776 წლის ცხრა მაისის სიგელით დასავლეთ საქართ-

---

[7] ზურაბ ჯავახაძე, *ქუთაისო, ჩემო დედავ!* ქუთაისი, 2012, გვ.166.

[8] დანიელ ხახანაშვილი, *ლოცვის კარები, ქუთაისის ებრაელობა*. კრებული, თელ-ავივი, 2009, გვ.22.

[9] დასახელებული ნაშრომი. გვ.22.

ველოს კათალიკოს-პატრიარქი იოსები, ჩამოთვლის რა მისი სასულიერო მოღვაწეობის მანძილზე, თუ რა გაუკეთებია გელათის ეკონომიურად გასაძლიერებლად, ჩამოთვლის იმ ებრაელთა ოჯახებს, რომლებიც მონასტრისთვის შეუწირავს ან მიუყიდია ყმების სახით. მათ უმეტესად იქ ასახლებდნენ, სადაც მათთვის სავაჭრო-საფინანსო საქმიანობას მეტი ასპარეზი ექნებოდა. გელათის მონასტრისათვის ქუთაისის ახლოს მდებარე მწვანეყვავილას საეკლესიო მიწები, ბუნებრივია, ყველაზე მიზანშეწონილ და ხელსაყრელი ადგილად ითვლებოდა. იმის მაგალითებიც კი არის, როდესაც ამა თუ იმ დასახლებაში მცხოვრებ ყმა ებრაელის მფლობელნი იმასაც კი ცდილობდნენ, რომ ყმა მისი სამფლობელოდან ქუთაისში გადაეყვანათ საცხოვრებლად.

მე-18 საუკუნის შუა ხანებიდან ჩნდება ცნობები, რომლებიც მიუთითებს ქუთაისში ებრაელთა დასახლებების ზრდაზე. ჩნდება ქუთაისელ ებრაელთა ჯგუფიც, რამაც ვახუშტი ბატონიშვილს ათქმევინა: „ამას ზეით არის ქალაქი ქუთაისი, რიონს გაღმა-გამოღმა...მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი“.[10]

1776 წელს კათალიკოს იოსების მცდელობით ქუთაისში საეკლესიო მიწებზე დაუსახლებიათ რამდენიმე ებრაელი კომლი. ასევე მოქცეულა მთავარეპისკოპოსი მაქსიმე. ამავე წელს ქუთაისში რამდენიმე ოჯახი დაუსახლებია სოლომონ პირველსაც.

ქრონოლოგიურად შემდგომი საბუთი, რომელიც ქუთაისმწვანეყვავილაში ებრაელთა დასახლების საკითხს ეხება, 1782 წელს განეკუთვნება. დედოფალი გულქანი გოგნის უდაბნოს ეკლესიის წინამძღვრის დანიელ მაჭავარიანისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში აღნიშნავს: „ასე, რომ თქვენი ურია კაკია ჩვენს ქალაქში ქუთაის ხულაზე[11] იჯდა და ვაჭრობდა.

---

[10] ხახანაშვილის დასახელებული ნაშრომი. გვ.22.

[11] ტერმინი „ხულა“ გვხვდება XII-XIX სს. პირველი ნახევრის ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში. „ხულა“ სავაჭრო მნიშვნელობით გამოიყენებოდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში. (რ. კაშია. *ქართველური მემკვიდრეობა*, XVIII, 2014.გვ. 86.

[12] მარჩილი – ვერცხლის ფულის სახელწოდება საქართველოში (ი.ლ.).

თვეში მარჩილი[12] ჩვენთვის ხულის ქირა უნდა მოერთმია. აწ დაგვეაჯა წინამძღვარი მაჭავარიანი დანიელ და ვისმინეთ მოხსენება მისი და შემოგწირეთ ჩვენი მოსართმევი თვეში მარჩილი სანთლის და საკმევლის ფასად. ერთის ხულოს ყოველ თვეში მოგერთმეოდეს ან მარჩილის სამთელ-საკმეველი ან მარჩილი.“ თითეული ყმა ებრაელი მფლობელს უხდიდა რვა მანეთს.[13] იყო შემთხვევები, როდესაც სხვა დასახლების თუ ეკლესიის კუთვნილი ყმა ებრაელი ქუთაისში სახლდებოდა სავაჭროდ, რა თქმა უნდა, ბატონის თანხმობით.

1787 წელს გელათის საეკლესიო მიწებზე დაუსახლებიათ ონიდან გადმოყვანილი იოსებაშვილების რამდენიმე ოჯახი, ისრაელაშვილი აბრამი შვილით, ძმისწულებითა და ბიძაშვილებითურთ და ჯანიაშვილი იაკობი. მათ წლიურ ბეგარად დაედო სანთლისა და საკმევლის ფასად ხუთი მარჩილი, ხოლო უშუალოდ ტაძრის წინამძღვრის მიერ მოსახმარად – 15 მარჩილი.

1796 წელს იმერეთის დედოფალი მარიამი ქუთაისში აბრუნებს და ეკლესიას სწირავს ქალაქიდან საწერეთლოში გაქცეულ მარდახა ბინიაშვილის ოჯახს. ამავე წელს იაყობა თეთრუაშვილი სიმონ ხეჩინაშვილს აძლევს ნასყიდობის წიგნს: „მე, იაყობა თეთრუაშვილმა, ჩემმა შვილებმა ხახამ ისხაკმა, ხახამ მოშე და არონამ შამუელის პაპიაშვილის ხულას შუა ორი ხულა მქონდა და შენ სიმონ ხეჩინაშვილს მოგყიდეთ, როგორც გული შეგვეჯერებოდა ფასი გამოგართვით თამამათ. ღმერთმა ხეირი გიქნას. თუ ამისი მოწამე თავათ ღმერთი, მერე გამრიგე და მოწამე დანიელა შოშიაშვილი და იაყობა ჩლაქიშვილი. მე თავათ იაყობა თეთრუაშვილს დამიწერია და ყაბულიც მაქ და ჩემ შვილებსაც.“[14]

რაც შეეხება იაყობა ჩლაქიშვილს, იგი მამა უნდა იყოს XIX საუკუნის 40-70-იანი წლების ქუთაისის სალოცავის რაბი[ნ] ილია იაკობის ძე ჩლაქიშვილისა, რომელიც დაბადებული უნდა იყოს 1813 წელს.

1802 წელს გელათის მიტროპოლიტი ექვთიმე (გვარად შარვაშიძე) მწვანეყვავილაში სამოსახლოს უფართოებს სა-

---

[13] დანიელ ხახანაშვილი, *ლოცვის კარები, ქუთაისის ებრაელობა*. კრებული, თელ-ავივი, 2009. გვ.22.

[14] ხახანაშვილის დასახელებული ნაშრომი.

ეკლესიო ყმებს – ოთხ ძმა ურიშვილებს.

1803 წელს იმერეთის დედოფალი მარიამი მოწამეთის ეკლესიას სწირავს ქუთაისში მცხოვრებ აბრამ და დავით შამოელაშვილს.

XIX საუკუნის დასაწყისში მარიამს ქუთაისში 68 კომლი ყმა ჰყოლია, რომელთა შორის 33 კომლი ებრაელების ყოფილა, 25 კომლი სომხების. გოგნის უდაბნოს მონასტერს 1809 წელს ქუთაისში ვაჭარ ებრაელთა ორი კომლი ჰყოლია.

აი, ასე სახლდებოდნენ ქუთაისში სხვადასხვა კუთხიდან და სხვადასხვა გზით ებრაელები. ეს პროცესი იმდენად სწრაფ და მზარდ ხასიათს ატარებდა, რომ ხანდახან ქაოსურ ხასიათსაც იღებდა. ქუთაისში გადმოყვანილ-გადმოსულნი თუ ჩამოსახლებულნი (მათ შორის საკმაო რაოდენობა ებრაელებისა) ზოგჯერ სამოსახლოს თვითნებურად ირჩევდნენ, მიწის პატრონისა და მისგან ნებართვის აუღებლად. ამ მხრივ საგულისხმოა ერთი, მე-18 საუკუნის ბოლო წლების საბუთი. გიორგი წულუკიძე იძულებული გამხდარა, ქუთათური ვაჭრების მიმართ შემდეგი ხასიათის გაფრთხილების წიგნი გაეცა: „ღვთის შეწევნით, რომელიცა გვებრძანა ჩვენი ხელმწიფის კეთილ-მსახურის მეფის სოლომონისაგან მეორისა მეფისაგან საფიცრით და დამტკიცებულისა წმინდათ მოწამე მონასტრისა მიწა-წყლისა, როგორც ძველად ყოფილა ძველ საფიცარშიდ მონასტრის ადგილში ქუთათურმა ვაჭარმა, სომეხი იყოს, თუ ურია, ან სხვა რჯული ვინმე ვაჭარი, უკითხავად არ დაეცილოს მონასტრის მიწა-წყალსა არავინ. როგორც ჩვენ გაახლებულ საფიცარში სწერია, ისე ემსახურონ. მონასტრის დაუკითხავად არც შეშა მოიჭრას, არც თევზაობა იქნას და არც ყანის ღობე მოიაროს ვინმე. არც ცხენის შეშვება იქმნეს, თორემ ჩვენი ხელმწიფისაგან, მეფისა და დედოფლისაგან ხომ წიგნით ბრძანება გვაქვს წანახდენი და უკითხავათ შესვლა მონასტრის მიწა-წყალში, ჩვენ ბრძანება ასე გვაქუს, გიორგი სარდალ-მოურავ წულუკიძეს: წანახთენი და დასაკლისი მონასტრის კაცის ერთი ორად უნდა მოვითხოვოთ.“

1822 წ. ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა აღნიშნავს: „ქუთაისში მოსახლეობა ჯერ კიდევ ცოტაა, დაახლოებით 800 ოჯახი აქაური მოსახლეობით თითქმის ნახევარს შეად-

გენს“. 1833 წელს შვეიცარიელი მეცნიერი (ნატურალისტი, არქეოლოგი და ისტორიკოსი) მარი–ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, რომელმაც 1831–34 წლებში კავკასიაში იმოგზაურა, ებრაელებზე წერს: „ისინი ას წელზე მეტია, რაც მოვიდნენ ქუთაისში, სადაც უწინ არ ცხოვრობდნენ; ისინი მოიყვანეს მეფ[ე]ებმა, რომლებიც მათ მფარველობდნენ. ქუთაისის ეკლესიამ მათ დაუთმო მიწის ფართობი, სადაც მოთავსდნენ გუბერნატორის სახლის მახლობლად.[15]

1855 წლის მონაცემებით, ქუთაისში ცხოვრობდა 1155 ებრაელი, რომელთაგან 537 მოქალაქე, ხოლო 430 საეკლესიო ყმა იყო. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ქუთაისში მცხოვრები 6589 ადამიანიდან 1290 ებრაელი იყო, 1885 წელს 23644 მცხოვრებიდან – 2488, ხოლო 1897 წელს კი 32476-იდან 3464 ებრაელი იყო.[16]

ებრაელთა უბანი ქუთაისში

ქუთაისში ებრაელთა დასახლება „ებრაელთა უბნის“ სახელწოდებით დატანილია 1833 წელს დიებუა დე მონპერეს გეგმაზე და იგი მოიცავს დღევანდელი ნიუპორტის ქუჩის ბოლო ნაწილს, გაპონოვისა და აზერბაიჯანის ქუჩების დასაწყისს და იერუსალიმის ქუჩას.[17]

1860 წელს, ჟურნალ *ცისკარში* ზაქარია ერისთავი წერს: „ეს ქუჩა იყო ერთ ძუელ ქუჩათაგანი. რომელიც არის მოკირწყლული ქვით და აქუს აქეთ იქით ნაპირებში არხები. სახლები ურიებისა სულ ხისა არიან და ნაწილ არიან დადგენილნი შეუწყვეტელ რიგობითა ქუჩაში და ნაწილ მთაზედ აქა ბაღებში. გარედან ისინი არ არიან გათეთრებულნი, როგორათაც შიგნიდან. ტახტები, უბრალო სკამები და სტო-

---

[15] მერაბ კეზევაძე. *ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა*, წელიწდეული VI, ქუთაისი, 2014. გვ. 148.

[16] იქვე

[17] მერაბ. კეზევაძე. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, წელიწდეული VI, ქუთაისი, 2014. გვ.148.

ლები შეადგენენ მათ კუთვნილობას. შეხდებიან ხოლმე პატივცემულნი მოხუცნი, თეთრის წვერით, შთამჭვრეტელის შეხედულობით.“[18]

ებრაელები ქუთაისში, მეტწილად, ებრაელების, გელათის, გაგარინის. პოლიციის ქუჩებზე ცხოვრობდნენ. ზოგიერთი ქუჩის მოსახლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ებრაელი იყო, მაგალითად 1880 წელს ებრაელების ქუჩაზე მცხოვრები 39 კომლიდან – 38, ხოლო გელათის ქუჩაზე 64 კომლიდან – 63 კომლი ებრაელი იყო. მე-19 საუკუნის ბოლომდე ქუთაისელ ებრაელთა ძირითადი საცხოვრისი „ებრაელთა უბანია“. მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ისინი ჩანან ქალაქის ცენტრალური ნაწილის სხვადასხვა ქუჩაზეც.[19]

ქუთაისის ებრაელთა სალოცავი – სინაგოგა

უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ,
დაივიწყე მარჯვენე ჩემი“! (ფს.136.5)

1860 წელს ზაქარია ერისთავი წერს: „ურიებსა თავიანთ უბანში, რომელსაც უწოდებენ აქ გარეუბნად, აქუსთ სალოცავნი ოთახნი, ესე თორანი მთელს საქართველოში არიან სამნი, ანუ ოთხნი. ურიები ინახამენ ყოველთ ძუელთ თავიანთ უქმეებს, რომელთაცა გარდაიხდიან მოსეს სჯულის წესით. უპირველესი რაბინი, მიიღებს თავისის ღირსების კურთხევას იერუსალიმში თუისის პატრიარქისაგან.“[20]

ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, ებრაელთა უბნად რომ იწოდება, ბორის გაპონოვის ქუჩის N12-ში, დგას ულამაზესი, ებრაელთა დიდი სალოცავი-სინაგოგა, რომელიც წმიდა ქალაქ იერუშალაიმის (იერუსალიმის) ქვის სადარი

---

[18] *ჟ. ცისკარი*, 1860. N60. გვ.115.

[19] მერაბ კეზევაძე. *ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა*, წელიწდეული VI, ქუთაისი, 2014წ. გვ. 149-150.

[20] *ჟ. ცისკარი*, 1860.N60.გვ.116.

თეთრი ეკლარით არის ნაგები და მრავალი ორნამენტითაა დამშვენებული.[21]

ქუთაისი ყოველთვის იყო ქალაქი, სადაც ებრაელობა წმიდად ინახავდა საუკუნეობრივ რელიგიურ სიწმიდეს. ამიტომაც იყო, რომ ამ პატარა ქალაქში სამი მოქმედი სალოცავი იდგა, ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში, სადაც ებრაული მოსახლეობა ათჯერ, ოცჯერ მეტი ცხოვრობდა, სალოცავი არ ჰქონიათ. ეს ნამდვილად ქართველი ხალხის დამსახურება იყო.

1833 წელ ქუთაისში მყოფი დიებუა დე მონპერე ქუთაისის სინაგოგის შესახებ წერს: „მათ აქვთ ღარიბი სინაგოგა, სადაც მხოლოდ სკამებია ტრიბუნის ირგვლივ. შიგნით სიბნელეა. შელესილი არ არის.“[22]

ქუთაისის სინაგოგა-დიდი სალოცავი, აგებულია მე-19 საუკუნის 80-იან წლებში და ნაკურთხია 1887 წლის 14 მაისს. სინაგოგის კურთხევასთან დაკავშირებით, მოვიძიეთ წერილი, რომელიც დაბეჭდილია 1887 წლის გაზეთ „ივერიაში“, მასში ვკითხულობთ: „ქუთაისი, 20 მაისს. თოთხმეტს ამ თთვეს ქუთაისის ებრაელებმა დიდის ამბითა და დღესასწაულითა აკურთხეს ახალი ჩინებული ქვით ნაგები თორა (სინაგოგა), რომელიც დაუჯდა ორმოც ათასს მანეთამდე აქაურ ებრაელ საზოგადოებას და რომელსაც აშენებდნენ თითქმის ათის წლის განმავლობაში. ამ იშვიათის დღესასწაულის გამო, რომელსაც დაესწრო ბ-ნი ვიცე-გუბერნატორი, ქალაქის თავი და სხვა მრავალი წარჩინებული კაცი, სინაგოგას ეზოში გამართული იყო საგრილობელი ფარდული, ყვავილებით მშვენიერრად მორთული. ამ ფარდულში მიწვეულ იქმნენ ცერემონიის შემდეგ პატივცემულნი სტუმარნი. ცერემონია გაგრძელდა დილის რვა საათიდან პირველ საათამდე. როცა გაათავეს კურთხევა, პატივცემულმა რაბინმა ჩინებული სიტყვა წარმოსთქვა ქართულად. რაბინმა სთქვა, რომ ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ და ამიტომ, სანამ ცოცხალ-ვართ,

---

[21] ციცინო ლელაძე. *ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომები*, კრებული XIX, ქუთაისი, 2009, გვ.54.

[22] დანიელ ხახანაშვილი, *ლოცვის კარები, ქუთაისის ებრაელობა*. კრებული, თელ-ავივი, 2009წ. გვ.28.

გვმართებს ერთობა, ძმური სიყვარული და ერთმანეთის პატივის-ცემაო. ამ სიტყვამ სასიამოვნოდ იმოქმედა საზოგადოებაზე. საუზმის დროს პირველად ვიცე-გუბერნატორმა, (გუბერნატორი არ დაესწრო, რადგანაც ამ დროს არ იყო სამსახურის გამო ქუთაისს), მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვა და შემდეგ ქალაქის თავმა რაბინის სადღეგრძელო დალია. მუსიკა უკრავდა საღამომდე და როცა წაბრძანდნენ წარჩინებულნი სტუმარნი, ყველას შეეძლო მისულიყო სუფრასთან და ესაუზმა. ვისურვებთ, რომ ჩვენებურმა ქართველმა ებრაელობამ არ დაივიწყოს თავის რაბინის სიტყვა და ერთობითა და სიყვარულით ეწეოდეს ცხოვრების მძიმე უღელს. ქუთათური ებრაელი შაფათა რიჟინაშვილი“[23]

საამაყოა ის ფაქტი, რომ ქუთაისელ ხახამს – ხაიმ ელიგულაშვილს შესთავაზეს საბჭოთა კავშირის მთავარი რაბინობა, მაგრამ მან უარი თქვა იმმიზეზით, რომ ვერ მიატოვებდა ქუთაისის ჯამაათს.[24] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქუთაისელი რაბინი მოშე დავარაშვილი იყო მენშევიკურ მთავრობაში რელიგიის მინისტრი.

ქუთაისის ებრაელთა სალოცავთან, როგორც წესი, არსებობდა რელიგიური სკოლა ე.წ. „ხედერი“.

1902 წელს გაზეთი *ცნობის ფურცელი* წერდა:

„ახლად დაარსებულ ებრაელთა სკოლაში მისაღებ ყმაწვილების გამოცდა უკვე დაიწყო. შაბათს, 19 ოქტომბერს, სკოლის შენობაში გამართული იქნება საცეკვაო საღამო სკოლის წყაროს გასაძლიერებლად. ბილეთების ფასი იქნება მამაკაცებზე 60 კაპ. ქალებზე 40 კაპ. კვირას, 20 ოქტომბერს აკურთხებენ სკოლის შენობას. ამ დღისათვის საგანგებოდ მომზადებულია ებრაელთა ვაჟებისა და ქალებისაგან შემდგარი მგალობელთა ხორო, რომელსაც ერთ თვეზე მეტია წვრთნის ერთი გალობის კარგათ მცოდნე ებრაელი. ორშაბათიდან სკოლაში სწავლა დაიწყება.“[25]

---

[23] გაზ. *ივერია*,1887წ. N100. გვ.3.

[24] იქვე

[25] გაზ. „ქუთაისის ახალი ამბები“, *ცნობის ფურცელი*, 1902 N1958. გვ.3.

ქუთაისელი რაბინები

ჯამაათის[26] მომსახურეთა შესახებ ცნობები მე-18 საუკუნის მიწურულის საბუთებმა შემოგვინახა. ამ საბუთებით ირკვევა, რომ ჯამაათის მომსახურენი იყვნენ: იაყობ თეთრუაშვილი, შაბათა ფიჩხაძე, ელიაუ ჩლაქიშვილი, არონ გაგულაშვილი, მოშე რიჟინაშვილი და სხვები.

მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში ქუთაისის რაბინი გახლდათ სიმონ (სიმან) მოშეს ძე რიჟინაშვილი, რომელმაც ჯერ საქართველოში, შემდეგ კი იერუშალაიმში (იერუსალიმში) გამოსცა ებრაული ენის სახელმძღვანელო *სეფერ ხინუხიმ ჰანეარიმის* სახელწოდებით.[27]

ქუთაისში, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე სიძველის მოყვარულთა ყურადღებას იპყრობს „მწვანეყვავილას“ ისტორიული ძეგლები და მათი მიდამოები.

მწვანეყვავილა ქუთაისის ერთ-ერთი უბანია; იგი ქალაქს ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვრავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრე ის ქალაქის გარეუბნად ითვლებოდა.[28]

მწვანეყვავილაზე რამდენიმე ეკლესია არის, მათ შორის, მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძარი, რომელიც აკურთხა 1914 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგი ალადაშვილმა. მთავარანგელოზთა ეკლესია ერთ ხანს – 1944-1946 წლებში ქუთაისის საკათედრო ტაძრის ფუნქციასაც ასრულებდა, შესაბამისად მასში ცნობილი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ. მათგან ერთ-ერთი გახლავთ ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ნაუმ შავიანიძე (1957-1969 წლებში ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი), ერთხელ თურმე მამა ნაუმი ჩაფიქრებული და დაღონებული ბრუნდებოდა ლოცვის შემდეგ. რაბინს დაუნახავს და უკითხავს, რად ჩაფიქრებულხარ ასეო. ნაუმს მიუგია, რომ ფინგანს მისგან ისეთი თანხა მოუთხოვია, რომელსაც ვერ გადაიხდის და ალბათ ეკლესიას

---

[26] ჯამაათი – საზოგადოება, თემი, კრება (ი. ლ.).

[27] დანიელ ხახანაშვილი, *ლოცვის კარები, ქუთაისის ებრაელობა*. კრებული, თელ-ავივი, 2009წ. გვ.30.

[28] ჟ. *ძეგლის მეგობარი*, 1966. N6. გვ.35.

დახურავენო. მაშინ რაბინს გამოუტანია ის თანხა და მიუცია. ნაუმს გაუკვირდა. დღეს შენ დაგხურავენ, გენაცვლე, ხვალ კი მე მომადგებიანო, უპასუხია რაბინს.[29]

ამ ისტორიის ნამდვილობას ამყარებს დოკუმენტი, რომელიც დაცულია მეუფე ნაუმის პირად საოჯახო არქივში. წერილში მამა ნაუმი მიმართავს ქუთაისის იმდროინდელ მღვდელმთავარს, რომ დაეხმაროს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკლესიას დახურვა ემუქრებაო. წერილი თარიღდება 1950 წლით. მასში ვკითხულობთ:

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას,
ქუთათელ-გაენათელ-ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ეფრემს
ქუთაისის მწვანეყვავილას მთავარანგელოზთა ტაძრის წინამძღვრის
დეკანოზის ნაუმ შავიანიძის
განცხადება

ქუთაისის ქალაქის ფინგანისაგან ამა 1950 წლისათვის დაბეგრილი ვარ 6858 მან. რაოდენობით. ჩემი წლიური შემოსავლის ბრუნვა ფინგანის მიერ ნაანგარიშევია 24.000 მან. იმ დროს როცა, რომ ჩემი წლიური შემოსავალი არ აღემატება 6000 მანეთს.

ასეთი დიდი გადასახადის დაფარვა ჩემი შემოსავლით შეუძლებელია, ვინაიდგან შემოსავალი საერთოდ ძალზე შემცირებულია და მეც დაავათმყოფებული ვარ, ამისა გამო სიმდაბლით გთხოვთ შუამდგომლობას, ვისდამი ჯერ არს. შემცირებულ იქმნას ჩემზე შეწერილი გადასახადი იმ ზომამდე, რომ ჩემი შემოსავლით დავფარო.

განმცხადებელი: დეკ[ანოზი] ნაუმ შავიანიძე. 1950წ. III. 25[30]

---

[29] შდრ. მარინა შავიანიძე, *გზა ღმერთისაკენ-მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე)*, ქუთაისი, 2006,. გვ.26-27.

[30] მიტროპოლიტ ნაუმის (შავიანიძე) საოჯახო არქივიდან.

შენობა-ნაგებობები

სამწუხაროდ, ებრაელთა უბნის მე-19 საუკუნის დროინდელი შენობებიდან გარდა სამი სინაგოგისა (დიდი სალოცავი, აგებული მე-19 საუკუნის 80-იან წლებში და ნაკურთხი 1887 წლის 14 მაისს, ზედა ანუ მწვანეყვავილას სალოცავი –1863 წ. და პატარა სალოცავი – მე-19 საუკუნის დასაწყისი, მეორე სართული დადგმულია 1912 წელს), თითქმის არაფერი შემოგვრჩა, რისი მიზეზიც გახდა ამ უბანში მომხდარი ორი დიდი ხანძარი, 1852 წლის 12 იანვარსა და 1928 წლის 10-11 მაისს.

დღეს ქუთაისში არსებული გამორჩეული ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობებიდან რამდენიმე ქუთაისელი ებრაელების მიერ არის აგებული. ასეთია: ყოფილი „ვთბ ბანკის“ შენობა, რომელიც აბრამ შოშიაშვილის სახლი იყო (აგებულია 1915-1916 წლებში), ცენტრალურ მოედანზე მდგარი სამსართულიანი სახლი, რომელიც არონ რიჟინაშვილს ეკუთვნოდა, სასტუმრო „ორიენტი“-ს შენობა, რომელიც ს. კაკიტელაშვილის საკუთრება იყო, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის (საჯარო ბიბლიოთეკის) შენობა, რომელიც ა. ელიგულაშვილს ეკუთვნოდა, რომელმაც მე-20 საუკუნის 10-იან წლებში მესამე სართული დააშენა.[31]

ამჟამად, ქუთაისში მრავლად არა, მაგრამ მაინც არიან ებრაელთა ოჯახები. კვლავ მოქმედებს დიდი სინაგოგა. რესტავრაცია უტარდება ზედა, ანუ მწვანეყვავილას სინაგოგას. ებრაელთა სახლებზე მეზუზას აკეთებდნენ, რაც იყო ებრაელთა სახლის მფარველი, მშვიდობისა და დოვლათიანობის მცველი. მეზუზა – ოთხკუთხა, თავდახურული თხელი ყუთია, რომელშიც ჩასვენებულია სოფერის (წმიდა ტექსტის გადამწერის) მიერ პერგამენტის ქაღალდზე ნაწერი „მეორე სჯულის“ფრაგმენტი თორიდან; იგი მიმაგრებულია შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს. დღესაც ოჯახის ყველა წევრი სახლიდან გასვლისას და დაბრუნებისას ასრულებს გარკვეულ რიტუალს, რათა მშვიდობიანი დღისთვის მადლობა უთხრას გამჩენს.

---

[31] მერაბ კეზევაძე. *ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა*, წელიწდეული VI, ქუთაისი, 2014. გვ.150.

ჟურნალისტი და ფილოლოგი ქალბატონი, ნანული ცხვედიანი ერთგან წერს: „ცხადია, დღეს აღარ არის მეზუზა ებრაელთა სახლების კარებზე, მაგრამ ამ სახლების ჭერქვეშ მცხოვრებმა ქართულმა ოჯახებმა კარგად იციან – მეზუზას ნაცვლად, სიყვარული დატოვეს ებრაელებმა, დიდი ტკივილიანი სიყვარული.“[32]

שָׁלוֹם! შალომ, ისრაელ!

ირაკლი ლორთქიფანიძე

ქუთაისი, 2018 წლის ივლისი...

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ჟურნალი *„განთიადი“*, 1996.
2. დანიელ ხახანაშვილი, *ლოცვის კარები, ქუთაისის ებრაელობა*. კრებული, თელ-ავივი, 2009.
3. ზურაბ ჯავახაძე, *ქუთაისო, ჩემო დედავ!*, ქუთაისი, 2012.
4. გაზეთი *„ივერია“*, 1887.
5. მარინა შავიანიძე, *გზა ღმერთისაკენ – მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე)*, ქუთაისი, 2006.
6. ნანული ცხვედიანი, შალომ, ჩემო ქუთაისო! Shalom, my Kutaisi!, ჟურნალი, *კულტურა პლუს*, 2016, გვ.65.
7. რუსუდან კაშია, *ქართველური მემკვიდრეობა*, XVIII, ქუთაისი, 2014.
8. ჟურნალი *„ცისკარი“*, 1860.
9. ციცინო ლელაძე, *ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომები*, კრებული XIX, ქუთაისი, 2009.
10. გაზეთი *„ცნობის ფურცელი“*, 1902.
11. ჟურნალი *„ძეგლის მეგობარი“*, 1966.
12. მიტროპოლიტ ნაუმის (შავიანიძე) პირადი საოჯახო არქივი.
13. ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კინო-ფოტო-ფონო ფონდი.

[32] ჟ. *კულტურა პლუს*, 2016, გვ.65.

დიდი სალოცავი [სინაგოგა] აგებულია მე-19 საუკუნის 80-იან წლებში და ნაკურთხი 1887 წლის 14 მაისს.

ფოტო დაცულია ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფოტო-ფონდში.

ქუთაისი, ებრაელთა უბანი ხანძრის შემდეგ – 1928 წელი

ფოტო დაცულია ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფოტო ფონდში.

1928 წლის 10 მაისს ქუთაისის ებრაელთა უბანში გაჩნდა ხანძარი, რომელიც ახლო მახლო ქუჩებსაც მოედო. ერთ დღეში დაზარალდა 627 ოჯახი, დაიწვა 354 სახლი, აქედან 244 მთლიანად. ხანძრის შედეგად დაიწვა სამი სალოცავი (სინაგოგა), მათ შორის, ერთი მთლიანად.

ებრაელთა უბანი, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი. [ფოტოზე ჩანს მწვანეყვავილას ეკლესია, რომელიც ერთხელ რაბინმა გადაარჩინა დაკეტვას; იხილე აქვე, გვ.65-66]

ფოტო დაცულია ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფოტო ფონდში.

ზედა ანუ მწვანეყვავილას პატარა სალოცავი (სინაგოგა) 1863 წ.



კვირა, 8 დეკემბერი 1918 წ. წელწ.

ხმა ებრაელისა

ფასი

№ 6—7 ეროვნულ კვირეული ორგანო ქუთაისის ბიონისტია

მიიღება ხელის მოწერა

ეროვნულ კვირეულ სპოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთ

„ხმა ებრაელისა“-ზე

მიძღვნილი ებრაელთა ინტერესებს საქართველოში

„ხმა ებრაელისა“ იბრძვის ბალის თვითმფლობელობისა და ავტონომიებისათვის, ეცდება მისცეს მეთოდელებს ყოველი სტრათი თანამედროვე მსოფლიო ებრაელობის ცხოვრებისა. „ხმა ებრაელისა“ ყველაზეს მეთოდელებს საქართველოს ებრაელობის ცხოვრების ყველა მოვლენებთან, გამოხმაურება ყველაფერ ამას, რაც ეხებოდეს ებრაულ ხალხსა და გრძნობას.

გაზეთი ხმა ებრაელისა

გამოდიოდა ქუთაისში 1918-1919 წლებში. სულ გამოიცა 15 ნომერი. მისი რედაქტორი იყო შ. ციციაშვილი.

ანა მაჭავარიანი

ქუთაისელი კათოლიკეები და ''ლაღიძის წყლების'' ისტორია

ოცდაორი წელია, დავაბიჯებ მშობლიურ მხარეში და თურმე მხოლოდ ზერელე წარმოდგენა მქონია მის ხალხსა და მის ისტორიაზე. ჩემდა საბედნიეროდ, დადგა ჟამი ჩემი ქალაქის უკეთ შეცნობისა. მისი მრავალფეროვანი ისტორიის ერთი მომენტის გაზიარებას ახლა შევეცდები.

მასალები, რომლებიც მე მჭირდებოდა, ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი არ იყო. ამიტომ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას მივაშურე. თუ ადრე, მკითხველის გარეშე დარჩენილი ძველი დარბაზი მხვდებოდა და მოწყენილი თანამშრომლები, ჰოი საოცრებავ!? შესვლისთანავე თვალში მეცა ''კეთილი პროექტის'' მონაწილეთა რაზმი (ჩვენი კლუბის გოგონები, ბიჭებთან ბოდიში) და გაოცებული, მოფუსფუსე თანამშრომლები გაოცებული სახეებით – ''რა ხდება, რა კონკურსია ამისთანა''. მეც დაუზარებლად ვუხნიდი და ვაშოშმინებდი, რომ შაბათს უკვე სრულდება და ძალიან არ განიცადოთ ამდენხნიანი მოდუნების შემდეგ, თუ ახალგაზრდები კათოლიკე და ებრაელი ღვაწლმოსილი მოქალაქეებით დავინტერესდით და თქვენც ცოტა შეგაწუხეთ–მეთქი.

მოკლედ, შესავალი ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, შევუდგები საინტერესო ამბების მოყოლას, რომელიც, ჩემდა

გასაოცრად, ჩვენს უხვ არქივში მოვიპოვე. არქივის კედლებში მივხვდი, რომ ჩემი ქალაქი გლობალურ მასშტაბებს, უკვე რამდენიმე ასწლეულის წინ ეპოტინებოდა. ჰო, სწორედაც რომ გლობალურს და ჩემს ესეში ამის დადასტურებას შეძლებისდაგვარად შევეცდები.

დავიწყებ იქიდან, რომ საქართველოს შეუძლია იამაყოს კათოლიკურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობით, რომელიც თურმე ჯერ კიდევ მე–13 საუკუნეში დაწყებულა, როდესაც რუსუდანის მეფობის დროს შემოსულმა რომაელმა, მისიონერებმა შემოიტანეს მკურნალობის ევროპული კულტურა; გარდა მკურნალობისა, ბევრი მისიონერი ძალიან კარგად ფლობდა ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა: ფილოსოფია, ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია და მხატვრობა.

1329 წელს, პაპი იოანე XXII-ის ბრძანებით თბილისში დაარსდა კათოლიკური საეპისკოპოსო, რომელიც მე–16 საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის შემოსევების გამო გაუქმდა. კათოლიკობამ კარგად მოიკიდა ფეხი სამცხე–საათაბაგოში. როგორც პატრი მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავს: "მისიონერებმა ოსმალოს მთავრობისგან მოიპოვეს ის პრივილეგია, რომ არც ერთი გაკათოლიკებულისათვის ძალა არავის დაეტანებინა მაჰმადის სარწმუნოების მისაღებად. პაპის ძლიერი მფარველობით აღმოსავლეთში კათოლიკობა შეიქმნა ქრისტიანობის მტკიცე თავშესაფარი. ისინიც თავისუფლად იქცეოდნენ კათოლიკედ, რათა დევნილობა თავიდან აეცილებინათ."[1]

კათოლიკე მისიონერები თავიდანვე დიდი ყურადღებით და თანადგომით სარგებლობდნენ. იმერეთის მეფეები დიდი პატივისცემით ექცეოდნენ მისიონერებს. ცნობილია, რომ იმერეთის მეფემ, ალექსანდრე მესამემ საეკლესიო მსახურებისათვის წმინდა სოფიის ეკლესია ქრისტეფორე კასტელს (1644-1646) მისცა. მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავს, რომ ქრისტეფორე კასტელმა სთხოვა მეფეს, რომ მას სამეფო ქალაქ ქუთაისში დაედო ბინა. მეფემაც საბუთის ქაღალდით მისცა წმინდა სოფიის ეკლესია და რამდენიმე სახლი თავის

[1] მიხეილ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთ შორის*, თბილისი, 1902, გვ. 80.

პალატთან ახლოს. „რა დაისაკუთრა მშვენიერი ეკლესია, მორთო იგი ლათინურს წესზედ, დაიწყო ქადაგება და საეკლესიო წესების აღსრულება – პატრმა დაიწყო კათოლიკე სრწმუნოების გავრცელება ისე, როგორც ექმნა გურია-სამეგრელოში".[2]

სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას საქართველოს სხვა რეგიონებთან თან მოჰყვა კათოლიკე ვაჭრების გარკვეული რაოდენობის შემოსვლა იმერეთში, რომელთაც დიდად უწყობდნენ ხელს თვით იმერეთის მეფეები. როგორც ცნობილია, სოლომონ მეორე აქტიურად მფარველობდა და ახალისებდა დიდ სავაჭრო ოპერაციებში მონაწილე იმდროინდელ ქართველ დიდვაჭრებს. მან ქუთაისში ჩაასახლა ახალციხიდან გადმოსახლებული ვაჭრები და საჭირო დახმარებაც აღმოუჩინა მათ.[3] ქართველი კათოლიკენი თანდათან დაწინაურდნენ იმერეთის სამეფოში. სოლომონ მეორე, გარდა საშინაო საქმეებისა, მათ ანდობდა რთულ სავაჭრო და პოლიტიკურ ოპერაციებს უცხოეთთან ურთიერთობაშიც. ქუთაისში კათოლიკეთა აქტიური მოღვაწეობა იწყება მე–17 საუკუნიდან 1845 წლამდე, როცა მეფის რუსეთის მთავრობამ ისინი საქართველოდან გაიწვია. კულტურული, გნებავთ, ეკონომიკური პროდუქტიულობით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მე–19 საუკუნის პირველი ნახევარი. ამის შესახებ მე–19 საუკუნის ქართველი პუბლიცისტი ლუკა ისარლიშვილი (ისარლოვი) წერდა: "ქუთაისი მე–19 საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის მნიშვნელოვან პუნქტად იქცა. დიდი პატივით და სახელით სარგებლობდნენ იმერეთის მეფეთა კარზე და ხალხშიც ქუთაისელი ქართველი კათოლიკეები." იმერეთის მეფე სოლომონი მგზავრობის დროს, არასოდეს იძინებდა თუ თავთით თავისი ნაზირი ნინია დათიაშვილი არ უჯდა. დათიაშვილი სარწმუნოებით რომის კათოლიკე იყო, ხოლო ეროვნებით ქართველი. მისი შთამომავლები დღეს ქუთაისში ცხოვრობენ.

---

[2] იქვე.

[3] ი, იობაშვილი, *დასავლეთ საქართველოს ქალაქები და სოფლები XIX საუკუნის რეფორმამდელ საქართველოში*, 1983, გვ. 26

დედოფლებს და ბატონიშვილებს დამხმარეებად უმეტეს წილად ქართველი კათოლიკეები ჰყავდათ''.[4]

კათოლიკე მისიონერები ჩაბმული იყვნენ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში. ევროპასთან კათოლიკობის გზით ურთიერთობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისიონერებს შორის იყვნენ მწერლები, ექიმები, ინჟინრები და სხვა. ყოველივე ეს დადებითად მოქმედებდა საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

ქუთაისელ საზოგადოებას არ გასჭირვებია კათოლიკეთა მიღება სოციუმში და მეტიც მათი მხრიდან სრულიად დადებითი, ტოლერანტული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. „[კათოლიკენი] განუწყვეტლივ მოდიოდნენ და ჰფენდნენ კათოლიკობასთან ერთად ევროპულ სწავლა–განათლებასა და კულტურას, ამასთანავე აცნობდნენ ევროპას ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს, რამაც იქ ქართველებისადმი დიდი სიმპათია დაბადა.''[5] როგორც სტატიიდან ჩანს, მრავალი მიმდევარი გასჩენია კათოლიკურ სარწმუნოებას ქუთაისში, მას ერთნაირად ღებულობდნენ სხვადასხვა ფენის წარმომადგენელები.

კათოლიკობის გავრცელების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მიჩნეულია იმერელთა შემწყნარებლური ხასიათი სხვა სარწმუნოების მიმართ. იმერელთა დიდბუნებოვანებას უნდა მიეწეროს აგრეთვე რელიგიური შემწყნარებლობა და უცხოელებისადმი ფანატიზმის უქონლობა. თავიანთი რელიგიური რწმენის სიმტკიცის მიუხედავად, მათ არასოდეს უდევნიათ სხვა რწმენის ადამიანები, პირიქით, მე-17 საუკუნის დასაწყისში თეატინელთა ორდენის კათოლიკე ბერებმა უფლება მიიღეს დასახლებულიყვნენ იმერეთში და ხალხი კათოლიკურ რწმენაზე მოექციათ.

1818 წლისთვის უკვე 800 კათოლიკე ცხოვრობდა ქუთაისში, 1826 წელს კი დაიწყო კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა, რომელიც 1862 წელს დასრულდა.

---

[4] ციტირებულია: ნინო აბულაძე, მერაბ კეზევაძე, „ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობის საკითხისათვის ქუთაისში", ჟურნალი *განთიადი*, 1991, N6, გვ. 179.

[5] ნინო აბულაძე, მერაბ კეზევაძე, „ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობის საკითხისათვის ქუთაისში" ჟურნალი *განთიადი*, 1991, N 6.



სურათი N-1 ძველი ქუთაისი. კათოლიკეების უბანი (ფრანგების უბანი)

საარქივო ცნობებიდან, ასევე ნათლად ჩანს, რომ კათოლიკე მისიონერები ფლობდნენ მკურნალობისა და წამლების დამზადების ხელოვნებას და ამ ცოდნას ქუთაისის ადგილობრივ მოსახლეობასაც გადასცემდნენ.

"შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველოში შემოსულმა რომის კათოლიკეთა სამკურნალო კულტურამ თავისი გაგრძელება თვით ქართველ კათოლიკეთა საქმიანობაში ჰპოვა და განვითარების უმაღლეს წერტილს მე-19 საუკუნის შუა ხანებში მიაღწია, როცა იგი საქართველოში უკვე არსებულ მკურნალობის ტრადიციულ საშუალებებს შეერწყა. აქედან მოყოლებული, ქართველ კათოლიკეთა საუკეთსო ნაწილი თავისი პროფესიული სამედიცინო მოღვაწეობით ამშვენებს ქართველ ექიმთა და ფარმაცევტთა თაობებს," – წერდა ვასილ ფერაძე.[6]

ქართველ კათოლიკეთა -კოკოჩაშვილების – საგვარეულო, რომელიც ჩემი ესეს მთავარ გმირს პირდაპირ უკავ-

[6] ციტირებულია: ნინო აბულაძე, მერაბ კეზევაძე, „ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობის საკითხისათვის ქუთაისში", ჟურნალი *განთიადი*, 1991, N 6

შირდება წარმოადგენს სამედიცინო მოღვაწეობის სანიმუშო მაგალითს.

იმ პერიოდისთვის, მთავრობა ეწინააღმდეგებოდა ქართულ ნიადაგზე აფთიაქის დაარსებას, ამის მიუხედავად კოკოჩაშვილებმა შეძლეს ყველა დაბრკოლების გადალახვა და გაიხსნა მაშინდელ უსახელო ქუჩაზე კათოლიკური მკურნალობის წიაღიდან აღმოცენებული და ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული პირველი აფთიაქი დასავლეთ საქართველოში. მომდევნო წლებში თანდათან იზრდებოდა კოკოჩაშვილების და მათი სახელობის აფთიაქის ავტორიტეტი ქუთაისში, მაშინდელ უსახელო ქუჩას, კი აფთიაქარის ქუჩა ეწოდა.

კოკოჩაშვილთა ღვაწლმოსილი თაობების არქივში, ჩემი მოპოვებული მასალებიდან, სტატიის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ კათოლიკე ექიმებისა და ფარმაცევტების დიდ დამსახურებას, ზოგადად, მათ მიერ დანერგილ სიახლეებს ქართულ მედიცინაში თუ დიდ ღვაწლს საქველმოქმედო საქმიანობაში.

ჩემი ესეს, გმირი, მიტროფანე ლაღიძე კი, სწორედ, ზემოთ ხსენებული ფარმაცევტული საქმიანობიდან იწყებს საკუთარ კარიერას. პირველი აფთიაქი გახდა მისი წარმატების გასაღები. მიტროფანე ლაღიძე წარმოშობით სოფელ ჭოლევიდან იყო, არც თუ ისე შეძლებული ოჯახიდან; 14 ნლის ბიჭი ქუთაისში ჩამოვიდა და კოკოჩაშვილ-ივანოვსკის აფთიაქში დამხმარედ დაიწყო მუშაობა. აფთიაქის გარდა ივანოვსკის ლიმონათის წარმოებაც ჰქონდა; მიტროფანე სწორედ აქ მოხვდა. ამ წარმოებაში მიღებული მუშაობის გამოცდილება აღმოჩნდა გადამწყვეტი მის ცხოვრებაში. აქ შეისწავლა მან უალკოჰოლო სასმელების წარმოების მეთოდი და ივანოვსკის გარდაცვალების შემდეგ, თავად ჩაუდგა სათავეში საწარმოს მართვას. ახალგაზრდა მიტროფანეს გაუჩნდა იდეა, დაემზადებინა ლიმონათი ნატურალური ხილის, ბალახისა და კენკრის გამოყენებით. საკუთარი საწარმოს განსავითარებლად და ახალი დანადგარების შესაძენად მან საგანგებოდ იმოგზაურა რუსეთში, გერმანიასა და საფრანგეთში.

ბატონი მიტროფანე ზედმიწევნით ფრთხილად არჩევდა ნედლეულს მიკრორაიონების მიხედვით. მაგალითად, ჟოლოს



სურათი N2- მიტროფანე ლაღიძე

სიროფს მხოლოდ ბაკურიანში გავრცელებული ხილ–კენკრეულით ამზადებდა, მაშინ,როცა სხვა რეგიონიდან შემოტანილის შეიძლება უფრო იაფიც დასჯდომდა. ერთხელ ბატონ აკაკი შანიძეს ბატონ მიტროფანესთვის უკითხავს, თუ როგორ აყენებდა ასეთ სურნელოვან და სასიმოვნო წყალს, რაზეც პასუხად მიუღია: უბრალოდ არაფერს ვუმატებ ხილს, რომელიც ჩვენთვის ბუნებას მოუციაო.[7]

1887 წელს მიტროფანემ შექმნა ნატურალური ხილისა და პროდუქტებისგან დამზადებული იმ დროისათვის, უნიკალური რეცეპტი, რომელიც ''ლაღიძის წყლების'' სახელით გახდა ცნობილი. აქ ერთი საინტერესო ფაქტი უნდა აღინიშნოს: ერთი წლით ადრე შეიქმნა კოკა-კოლის რეცეპტი, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა ამერიკის კონტინეტზე და შემდეგ მთელ მსოფლიოში. ჩემი მოკრძალებული ვარაუდით – არანაკლები პოტენციალი გააჩნდა ლაღიძის წყლებსაც, რომელმაც იმ დროისათვის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა შეძლო. თუმცა მასშტაბები ისეთი არ ჰქონია, როგორც მის კონკურენტ კოკა–კოლას ჰქონდა. იყო კიდევ ერთი ფაქტორი. ბატონ მიტროფანეს იწვევდნენ მოსკოვში, კიევში, ეგვიპტეში, ირანში და სხვა ქვეყნებში, რათა იქაც გაეხსნა საკუთარი წარმოება, მაგრამ იგი მხოლოდ მოხსენებებით გამოდიოდა და, ზოგადად, საკუთარ გამოცდილებას უზიარებდა აუდიტორიას, უცხოელ დაინტერესებულ პირებს კი უარით ისტუმრებდა.[8]

---

[7] „ახალგაზრდობას – სამაგალითოდ“, გაზეთი *კომუნისტი*, 1989 წლის 19 ივლისი.

[8] „მიტროფანე ლაღიძის საიდუმლო“, გაზეთი *იმერეთის მოამბე*, 1995 წლის 28 ნოემბერი.

სურათი N 3. ''ლაღიძის წყლების'' ლოგო 1887 წ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბატონი მიტრიფანე ლაღიძე იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე. მოგზაურობისას მან ქუთაისის ბანკის მმართველის კირილე ლორთქიფანიძის დახმარებით საფრანგეთიდან მიიღო კრედიტი ელექტროსადგურისთვის საჭირო ტექნიკის შესაძენად. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ისტორიული წამოწყება ქუთაისისთვის. 1904 წელს აშენდა ელექტროსადგური, რომელმაც პირველად ქუთაისს მისცა ელეტროენერგია. ამის შესახებ გაზეთი ივერია წერდა: ''ბატონ მ. ლაღიძის ქარხანამ კარგი საქმე გააკეთა, ჯერ იყო და ქუთაისის თეატრი გაანათა ელექტრონით და ახლა ქალაქის ქუჩებსაც ანათებს, ეს აგერ ერთი კვირაა, რაც მთავარი ქუჩა სობორისა და ბულვარის გარშემო ელექტრონის ფარნებითაა განათებული''.[9]

ქუთაისში პირველად დამონტაჟებული ელექტროსადგურის სიმძლავრე თანდათანობით გაიზარდა და რიონჰესის გააქტიურებამდე მთელი სიმძლავრით ემსახურებოდა ქალაქს და ლაღიძის მრეწველობას. შედგომ, კი მიტროფანემ მიიღო საფრანგეთიდან მაცივარ-დანადგარები ხელოვნური ყინულის მისაღებად, რომელიც დაამონტაჟა ელექტროსადგურის მახლობლად. ეს იყო დიდი სიმძლავრის ქარხანა, რომელიც ამარაგებდა ფოთის ნავსადგურის სამაცივრო მეურნეობასაც. გარდა ამისა, ქართველი მეწარმე მატერიალურ დახმარებას უწევდა ყველა პროგრესულ წამოწყებას, მან დაარსა სტამბა,

[9] ციტირებულია: „მიტროფანე ლაღიძის საიდუმლო", გაზეთი *იმერეთის მოამბე*, 1995, 28 ნოემბერი.

სადაც იბეჭდებოდა მრავალი ქართველი მწერლის და პოეტის თხზულება. ის იყო ასევე წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და, როგორც ამბობენ, ფინანსურად ეხმარებოდა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

ლაღიძეს ახლო მეგობრობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან, სწორედ მათი დახმარებით გაიხსნა თბილისში 1906 წელს ''ლაღიძის წყლების'' ქარხანა, ხოლო რუსთველის პროსპექტზე მაღაზია. მან წყლების ფირმის ქართული წარწერა ზემოთ გააკეთა, ხოლო რუსული ქვემოთ, რაც მეფის მთავრობის დროს დაუშვებელი იყო. ეს ქმედება მეფის მთავრობამ დანაშაულად ჩაუთვალა და დაპატიმრებას უპირებდნენ, თუმცა იგი ილიამ გადაარჩინა. ასეთი ქცევით მიტროფანე ლაღიძემ ეროვნული სახე შესძინა ბრენდს –''ლაღიძის წყლებს''. აკაკი წერეთელმა ექსპრომტად სახუმარო ლექსი მოუძღვნა ლაღიძის უალკოჰოლო წყლებს:

1921 წელს მიტროფანეს ქარხანას თბილისში ცეცხლი მოედო. ქარხანას პირველი სართული ეკავა, მეორეზე სართულზე სხვა დაწესებულება იყო განთავსებული. შენობის ზედა ნაწილს, რაღაც დანაშაულის გადაფარვის მიზნით, ცეცხლი განზრახ წააუკიდეს. ცეცხლში გაეხვია ქარხანაც, ეს ამბავი



სურათი N 4 -აკაკის მიძღვნილი ლექსი

მთელს თბილისში გავრცელდა. იქვე გაჩნდნენ მიტროფანეს მეგობარ–ნაცნობები, მათ შორის, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები. მალევე საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებით და მეგობრების თანადგომით ახალი ქარხანა აშენდა.

ესეს დასასრულს მინდა ერთი ერთი საინტერესო ისტორია გაგაცნოთ. 1952 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პერეზიდენტ ჰარი ტრუმენს 100 ბოთლი კოკა–კოლა გაუგზავნია სტალინისთვის საჩუქრად. გადაწყდა, რომ საპასუხოდ ამერიკაში, ბევრად უფრო გემრიელი უალკოჰოლო სასმელი გაეგზავნათ. სიროფის შესაქმნელად მიტროფანე ლაღიძეს გამოუძახეს. მის ლიმონათს ამერიკაში ისეთი ფურორი მოუხდენია, რომ ტრუმენი ამერიკაში მისი შეტანით დაინტერესებულა. ხოლო ერთ–ერთ კონფერენციაზე ''ლაღიძის წყლები'' ფრანკლინ რუზველტსაც დაუგემოვნებია და ამერიკაში 2000 ბოთლი ქათული ლიმონათი წაუღია.

მიტროფანე ლაღიძე 91 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის შემდეგ წარმოებას სათავეში შვილიშვილი ჩაუდგა. დღეს ''ლაღიძის წყლებს'' საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მინიჭებული.

დასასრულ, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ კათოლიკე მისიონერების შემოტანილმა ცოდნამ და გამოცდილებამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროს და საგრძნობი გავლენა მოახდინა ქართული საზოგადოების განვითარებისს პროცესსზე. ევროპული და ქართული კულტურების გადაკვეთაში დევს ძალიან ბევრი წარმატებული

სურათი N 5 – ჰარი ტრუმენი და ლაღიძის წყლები

ადამიანის საიდუმლოს გასაღები. სწორედ ამ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ჩემი ესეს მთავარი გმირი.

დღეს, კი როგორც არასდროს ქართული საზოგადოება საზრდოობს და ილტვის ევროპულ წიაღში მოსახვედრად. ხოლო ამდენი წლის შემდგეგ ქუთაისი, სწორედ, ევროპელი ტურისტების დაინტერესების ადგილი გახდა, რაც ძალიან გვახარებს და იმედის მომცემია. წინ უკეთესი მომავლისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალეკო ასლანიშვილი, ,,საიდუმლო ხალხს დარჩა'', გაზეთი *კომუნისტი*, 1989 წლის 19 ივლისი.
2. ნინო აბულაძე; მერაბ კეზევაძე, ''ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობის საკითხისათვის ქუთაისში'', ლიტერატურული ჟურნალი *განთიადი*, 1991, N6.
3. გაბელია ალეკო, ,,ენდე მაგრამ შეამოწმე'' ალმანახი კრიტიკა, 1989 წელი, N6.
4. იობაშვილი, *დას. საქართველოს ქალაქები და სოფლები XIX ს. რეფორმამდელ პერიოდში*, 1983.
5. ნანული ცხვედიანი ''მიტროფანე ლაღიძის საიდუმლო''გაზეთი *იმერეთის მოამბე*, 28.11.1995.
6. მღვდელი მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, თბილისი, 1902.

ინტერნეტ-ბმულები:

1. http://lagidze.ge/ka?fbclid=IwAR1ws5Xahg3xTVGrULbTE-qnOrQo-LqQflPgP34PUUIoJbCzajKaxzH8XKeU
2. http://www.highlander.ge/%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-xix-%E1%83%A1%E1%83%90/?fbclid=IwAR0SyJPCYIuAXgSuw3TV-61uiq0rfzJ7S-r9qYAifzgLPhrbRp77g50tT-nI

მარიტა ტყეშელაშვილი

ვეფხის მძლეველი

ასე ამბობენ, სადაც ბორის გაპონოვზე ამბობ რამეს, იქ დომენტი ახობაძეც უნდა ახსენო, სადაც მეგობრობაზე ლაპარაკობ, იქ ბორის გაპონოვის და დომენტი ახობაძის მეგობრობის მაგალითიც უნდა მოიყვანო, სადაც კაცობაზე, ერთგულებაზე, მეგობრის მიმართ თავდადებაზე ლაპარაკობ, იქ დომენტი ახობაძეც უნდა ახსენო – ბორის გაპონოვის ერთგული და თავდადებული მეგობარი. ქართველი კაცის ტოლერანტობას თუ ვინმე ეჭვქვეშ დააყენებს, მაგალითად ისევ ბორის გაპონოვის და დომენტი ახობაძის ურთიერთობა უნდა მოიყვანო – ბორისის და დომენტის ძმობა. მე მინდა მათ ურთიერთობაზე ვილაპარაკო, მინდა იმ დროინდელ ქუთაისზე მოვყვე, სადაც ბორის გაპონოვის ოჯახი ჩამოვიდა ევპატორიიდან, როცა ბორისი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, მინდა იმ დროზე ვილაპარაკო, როცა ბორისმა ,,ვეფხისტყაოსანი'' ჩუმად თარგმნა ივრითზე. ბორის გაპონოვმა რუსთაველის თარგმნის შემდეგ ძალიან მალე დატოვა ეს სოფელი, თითქოს ეს ყოფილიყო მისი მისია – ჩვენი უდიდესი საგანძური ,,ვეფხვისტყაოსანი'' ბიბლიურ ენაზე აემეტყველებინა. ის გაქრა იმ ქალაქიდან, სადაც მისი ხსოვნის და არსებობის ნიშნად 40 წლის შემდეგ ძეგლი დადგეს, მისი დროის ებრაელების უბანში, დღევანდელ გაპონოვის ქუჩაზე, სინაგოგასთან.

ძეგლთან რომ ჩავივლი, მომინდება ხოლმე, რამე ვუთხრა, დაველაპარაკო. ცოცხალივით არის, ვერ დამიჯერებია, რომ რომ კაცი კი არა, ძეგლია, გამოვივლი და ისევ მგონია, რომ კაცი ზის, ხელში „ვეფხისტყაოსანი“ უჭირავს.

ბორის გაპონოვი 1934 წლის 20 თებერვალს დაიბადა ყირიმში, ქალაქ ევპატორიაში, მუშის ოჯახში. 1941 წელს აფხაზეთში, გალში გაიხიზნენ. აქ ბორისმა სამი კლასი დაასრულა. შემდეგ ოჯახი მცირე ხნით გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში ცხოვრობდა, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გაპონოვები დაბრუნდნენ ევპატორიაში, სადაც დანგრეული დახვდათ სახლ-კარი. მშობლიურ ქალაქში მხოლოდ ერთი წელი დაყვეს.

1946 წლიდან გაპონოვთა ოჯახი საცხოვრებლად საბოლოოდ საქართველოში გადმოვიდა და ქუთაისში დასახლდა. ბორისი შევიდა ქუთაისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლაში, რომელიც 1953 წელს დაამთავრა ოქროს მედალზე, ამავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც 1954 წლის ოქტომბრამდე სწავლობდა, 1954 წლის ნოემბრიდან, ინსტიტუტის დახურვასთან დაკავშირებით, გადაიყვანეს მოსკოვის უცხო ენათა პირველ ინსტიტუტში. ოჯახურმა მდგომარეობამ ბორის გაპონოვი აიძულა 1955 წლის ოქტომბერში ინსტიტუტი დაეტოვებინა და ქუთაისში დაბრუნებულიყო. ამავე წელს ბორის გაპონოვი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, საიდანაც 1956 წლის მაისში შერყეული ჯანმრთელობის გამო ვადამდე ადრე გაათავისუფლეს.

ვახო ახობაძე, დომენტი ახობაძის ვაჟი ბორის გაპონოვის შესახებ გვიყვება: ბორის გაპონოვი 1966 წელს გავიცანი. მაშინ 16 წლის ვიყავი, ებრაელების უბანში ვცხოვრობდით, მაიაკოვსკის ქუჩაზე. ერთ დღეს მოვიდა ბორის გაპონოვი ჩვენთან, თვითონ გოგია ნიკოლაძის ბინაში ცხოვრობდა, სოლომონ პირველის ქუჩაზე, სადგურთან, რეზო ჭეიშვილი რომ ცხოვრობს, იმის გაყოლებაზე. ბორისის დედა იყო გერმანულის მასწავლებელი, ბორია თვითონ იყო ძალიან სერიოზული კაცი და ძალიან სევდიანი, მე ასე მომეჩვენა. ხოდა, ამ სუფრაზე იყო ოტია იოსელიანი, შალვა რიჟინაშვილი – ჩვენი ებრაელი

მეზობელი და მამაჩემი. მამა ადრეც იცნობდა, როგორც ჩანს, ბორიას, მაგრამ ჩვენთან პირველად იყო სტუმრად. ტიციან ტაბიძის ლექსი წავიკითხე, ბორიამ ამოიღო ფული და მაჩუქა, მამას გული მოუვიდა – რავა გამოართვიო...

მას მერე ხშირად დადენილა ბორისი ახობაძეებთან სტუმრად დომენტი ახობაძის ბერძენ მეგობართან – სპირო სპირადთან ერთად. ბორისი, სპირო და დომენტი განუყრელი მეგობრები გამხდარან.

მამაჩემს უნდოდა, გვიყვება ვახი ახობაძე, რომ ბორია გაპონოვი დამსახურებულად გამხდარიყო მწერალთა კავშირის წევრი, რაც მას, შეჭირვებული მდგომარეობიდან იხსნიდა, მაგრამ მაშინ რთული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა კავშირს ისრაელთან. ეგვიპტე და ისრაელი იბრძოდა, ეგვიპტის მომხრე იყო საბჭოთა კავშირი, იარაღს საბჭოეთი აწოდებდა ეგვიპტეს, ამ დროს ივრითზე, ებრაულ ენაზე ითარგმნება ,,ვეფხისტყაოსანი" და ვიღაც, საბჭოთა კავშირში მცხოვრები დომენტი ახობაძე და სპირო სპირადი მხარს უჭერენ ბორიას. ბორისს აგენტურა დაჰყვებოდა, აგენტურა მამაჩემსაც დაჰყვებოდა ბორისთან მეგობრობის გამო.

1966 წელს პირველი სტროფები გაიგზავნა მოსკოვში დომენტი ახობაძის დახმარებით. 1969 წელს ივრითზე, ბიბლიურ ენაზე გამოვიდა ,ვეფხისტყაოსანი". ეს იყო უნიკალური მოვლენა იმ პერიოდში. მიუხედავად ამისა, მთარგმნელი არავის დაუწინაურებია, ისევ ავტოქარხნის გაზეთში მუშაობდა.

ბორის გაპონოვი1959 წლის 28 ნოემბრიდან ლიტმუშაკად მუშაობდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის ,,ლენინელის"რედაქციაში. ბორისს ევალებოდა ამ გაზეთის რუსული მასალების მომზადება, ქართულიდან რუსულად თარგმნა, კორექტურა. 1970 წლის 28 მაისამდე, როგორც მისი თანამუშაკები იგონებდნენ, ის უმწიკვლოდ ემსახურებოდა თავის მოვალეობას. ჩვეულებრივი კვალიფიციური მთარგმნელის რვასაათის სამუშაოს ბორისი სამ-ოთხ საათში ასრულებდა, დარჩენილ დროს კი შემოქმედებით მუშაობას ანდომებდა.

ებრაული ენის სწავლა ბორისს ათი წლის ასაკში დაუწყია, ებრაულ ენასა და ბიბლიაში ფრიად განსწავლული ბაბუის

სამუელ მაზოს მეშვეობით. მთარგმნელთა შორის ბორის გაპონოვმა პირველმა დაიწყო „ვეფხისტყაოსნისა“ და ბიბლიის კავშირის მეცნიერული ძიება და დამუშავება. ამ მხრივაც საინტერესო შედეგებს მიაღწია,

„ბორისთან ერთად ვიზიარებდით „ვეფხისტყაოსნის“ წარმატებით თარგმნის წინსვლას, თელ–ავივიდან მიღებულ ლიტერატურულ გაზეთებში შოთას უკვდავი პოემის ცალკეული თავების გამოქვეყნებით გამოწვეულ სიხარულს. ზოგჯერ ღარიბულ, მაგრამ ლხინით მდიდარ სუფრაზე მარჯვენას ვულოცავდით ბორისს“, – ვპოულობ გაზეთი ,,ქუთაისის“ პასუხისმგებელი მდივნის დავით აგიაშვილის მოგონებას ამავე გაზეთში.[1]

დომენტი ახობაძე 1988 წელს გარდაიცვალა, როცა ბორისი უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო (ბორისი 38 წლის ასაკში გარდაიცვალა თავის ტვინის სიმსივნით).

,,მამაჩემი, დომენტი ახობაძე, მწერალთა სახლიდან გამოასვენეს“, – იხსენებს ბატონი ვახო, „მაშინ ვიღაც ბიჭებმა დამიძახეს, „24-ში“ სამი ბიჭი იჯდა, ერთმა მიხსენა მოსკოველი პოეტი ბელოვი, ბორისის მეგობარი, რომელიც მოსკოვში სტუმრად ჩასულ ბორისს მასპინძლობდა და პატრონობდა. სწორედ ამ კაცმა დომენტი ახობაძის დაკრძალვაზე გამოაგზავნა გარკვეული თანხა დომენტი ახობაძის ოჯახისთვის, როგორც ბორის გაპონოვის ერთგული მეგობრისა და პატივისმცემლისადმი, რის დაწერაც ბორისის საიუბილეო ჟურნალში მომერიდა“.

რთული დროების მიუხედავად, ბორის გაპონოვს მეგობრებში ნამდვილად უმართლებდა. ბატონ ვახოს ვთხოვ, მწერალთა კავშირის ბეჭდის ამბავი გაიხსენოს. ბატონი ვახო მიყვება, თუ როგორ მოიპარა მამამისმა მწერალთა კავშირის სეიფიდან ბეჭედი, წერილს დაარტყა და მოსკოვის მწერალთა კავშირში გააგზავნა, პასუხს ოთხი თვე ელოდნენ, ჩუმად, ხმაამოუღებლად.

ბატონი ვახო ახლა ბორის გაპონოვის ბრიტანელ სტუმრებზე მიყვება და იმ ამბავზე, რომელიც წლების მერე მწე-

[1] გაზეთი *ქუთაისი*, 1982 წლის 20 ოქტომბერი.

რალ ცირა ყურაშვილის მოთხრობას ,,ჩამრთველს“ დაედო საფუძვლად:

ბორის გაპონოვი ბრიტანელ ენათმეცნიერებს პატრიკ კრიგერს და ალან ლინდსეის ელოდებოდა. ქალაქის ხელმძღვანელობას შერცხვა მისი გაჭირვების და სტუმრები სულ სხვა სახლში მიაღებინეს ბორისს. ზოგადად, კი ბორისს არ აქცევდნენ ყურადღებას. პოლიტიკური მდგომარეობის გამო არ იყო მათთვის მომგებიანი პიროვნება, თუმცა, გაპონოვს ბევრი უჭერდა მხარს ქუთაისში, მაგრამ მათაც ეშინოდათ ამის ხმამაღლა თქმა, თუმცა ამ გენიალურმა ნაწარმოებმა, რომელიც გაპონოვმა თარგმნა და რომლითაც 400 სიტყვით გაამდიდრა ივრითი, ქუთაისელი მთარგმნელი დიდ პიროვნებად აქცია. გაპონოვი არის ორგზის ისრაელის პრემიის ლაურეატი და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი. რაც შეეხება ბრიტანელ ენათმეცნიერებს, ამ სტუმრების განსაკუთრებულად მიღებაზე ბორისს რაიმე პრეტენზია არ ჰქონია, მიყვება ბატონი ვახო, ბორისს გზა უნდა გაეკვალა, ეს იცოდა კარგად, მაშინ ჩვენც ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ერთოთახიან ბინაში, თორემ ჩვენთან შემოვიყვანდით იმ სტუმრებს. ყველანაირი გაჭირვება, რაც ჰქონდა, ბორიამ ვაჟკაცურად გადაიტანა, სარდაფში ცხოვრობდა და არ დაუწუწუნია. მაშინ ოტიასაც (ოტია იოსელიანი) უჭირდა, ოტია ძალიან ახლობელი იყო ბორიასი. მოკლედ, მთრგმნელმა ქალაქის ხელმძღვანელობის ჩარევით მიიღო ეს სტუმრები საფიჩხიაზე ცნობილი ექიმის სახლში. თეთრ პერანგსა და შავ პიჯაკში გამოწყობილი მასპინძელი სტუმრებს გულღიად დაუხვდათ. საუბარი „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიურ ალუზიებს, უღრმეს სიუჟეტურ მოტივებს, ასოციაციებს, პერეფრაზებს შეეხო. სტუმრები ბორისის სამომავლო მონოგრაფიითაც დაინტერესდნენ. წიგნი ბიბლიის და „ვეფხისტყაოსანის“ ურთიერთკავშირზე აიგებაო, უთქვამს ბორისს. საუბარში გართულებს ვერც კი შეუმჩნევიათ, რომ დარბაზში ჩამობნელდა. სტუმრებს უთხოვიათ გაპონოვისთვის შუქის ანთება. ბორისი წამომდგარა და ჩამრთველის ძებნა დაუწყია. საუბრის ხალისი უცებ ჩამცხრალა. მომსახურე პერსონალიდან ერთ-ერთი სწრაფად შეჭრილა დარბაზში და იქვე, კარის ჩარჩოსთან დაყენებულ

შავ კოლოფზე მიუნიშნებია, ბორისს ცერა თითი დაუჭერია ოთხკუთხა ღილაკზე და შუქი ანთებულა. ამის მერე სტუმრები მალე აშლილან.

ამ ამბის დასასრული ასეთია: სასტუმრო „ქუთაისი ჰოლში“, გარდამავალი წითელი დროშის ქვეშ, სავარძლის მოაჯირზე ტყავის მაგარყდიანი ბლოკნოტი გადაშალა პატრიკ კრიგერმა და იმ ადგილას, სადაც დღის შთაბეჭდილებები ჰქონდა ჩაწერილი, ლურჯმელნიანი ავტოკალმით გაკრული ხელით მიამატა: The house in Sapichkhia, where we were invited, didn't appear to be Boris Gaponov's own"(სახლი, რომელშიც მიგვიპატიჟეს საფიჩხიაზე, ბორის გაპონოვის არ აღმოჩნდა).

ბორისი ფიქრობდა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა ბრიტანელი ენათმეცნიერების ვიზიტის შემდეგ, რაღაცით დაეხმარებოდა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ მისმა ნიჭმა, ცოდნამ, მიზანდასახულობამ გაიმარჯვა და საერთაშორისო არენაზე გაიყვანა. დღეს ბორის გაპონოვი არის ისრაელის ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება, მეტირება, როცა ამას ვამბობ, – განაგრძობს ბატონი ვახო. – მე მინდოდა, მეცხრე სკოლა, სადაც სწავლობდა ბორისი, მისი სახელობის ყოფილიყო და მე გადავცემდი ყველა იმ დოკუმენტურ მასალას, რომელიც დამრჩა მამისაგან მემკვიდრეობით, რაც დავბეჭდე ბორისის საიუბილეო ჟურნალში. არასაკმარისი მხარდაჭერის გამო, ეს არ მოხერხდა ამ დრომდე... ბიუსტი დაიდგა სინაგოგასთან და ეს შევძელით. მაგრამ იმედი მაქვს, მომმართავს ვატონი ვახო, რომ თქვენი თაობა საკადრისად დააფასებს ბორის გაპონოვის ღვაწლს.

დომენტი ახობაძის ვაჟიშვილს ახლა უკვე დავით კვიცარიძის შესახებ ვთხოვ აზრის გაზიარებას. მან გაპონოვის რეკომენდაციას ხელი არ მოაწერა და ბორის გაპონოვი მწერალთა კავშირში არ მიიღეს. კვიცარიძეს, ქუთაისის მაშინდელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, სულ ცოტა, მოხსნიდნენო მაგის გამო, მეუბნება ბატონი ვახო, და ბესარიონ ჟღენტსაცო, თორემ პირად ურთიერთობაში ბორიას ძალიანაც პატივს სცემდნენო. მაშინ სხვა დრო იყო, გამოვიდოდა, რომ საბჭოთა კავშირის მტერს უჭერდი მხარს,

ისრაელს. მაშინ მწერლის თავდადებულ მეგობარს დომენტი ახობაძეს სხვანაირად უმოქმედია. მას მწერალთა კავშირის სეიფიდან ეს ძალმოსილი ბეჭედი მოუპარავს, წერილისთვის დაურტყამს და გაუშვია მოსკოვში. წერილს თან ახლდა მცირე ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“. იქედან კი ისრაელში გადაუგზავნიათ და 1966 წელს, აბრაამ შლიონსკისგან მოსულა პასუხი, რომ ეს არის ბრწყინვალე ნაწარმოები და ბრწყინვალე თარგმანი. არავინ არ იცოდა ეს მაშინ, საერთოდ, იცოდა მამამ და ბორიამ. მაშინ ყველა წერილი ისინჯებოდა, მაგრამ ვერ მიაქციეს ყურადღება. ისრაელში კი ატყდა ერთი ამბავი. ეს არის უნიკალური მოვლენა, ისეა რუსთაველი ნათარგმნი, თითქოს ბორისს თავიდან დაეწეროს ,,ვეფსიტყაოსანი“. სათაური „ვეფხის მძლეველი“ ბატონი ვახოს მამას ეკუთვნის – დომენტი ახობაძეს. ეს სიტყვები ამშვენებს საქაღალდეს, რომელიც მწერლის ქუთაისურ არქივში ინახება, აქვეა ბორისის და დომენტის მეგობრობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

გაზეთ *ქუთაისში* ვპოულობ იაკობ პაპიაშვილის წერილს, რომელიც ამ დოკუმენტებს ეყრდნობა. მასში ვკითხულობთ: „ამ ისტორიამ დიდი ხმაური გამოიწვია საქართველოს მწერალთა წრეებში, რამდენადაც მან გამოამზეურა სიმართლე გაპონოვის ნამდვილ და არანამდვილ მეგობრებზე 1960-1966 წლებში, მაშინ, როდესაც მან ბედისწერის ჯიბრზე, პირქუშ სარდაფში, მსოფლიო პოეზიის საგანძური, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა ებრაულად. ბორის გაპონოვმა და დომენტი ახობაძემ მოსკოვში გაგზავნეს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის 16 სტროფი – ,,ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა“ ამის შესახებ მხოლოდ დომენტი ახობაძემ იცოდა, რომელმაც გაპონოვის სიკვდილიდან 12 წლის შემდეგ გამანდო ეს საიდუმლო“.[2]

დავით აგიაშვილის მოგონებაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის პიროვნებაზე: „ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ბორის გაპონოვი, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ამ

[2] გაზეთი *ქუთაისი*, 1989 წლის 15 აპრილი.

საშუალო ტანის, სიმპათიურ, ჯანმრთელობაშელახულ კაცს შეეძლო ეტვირთა ესოდენ გიგანტური შემოქმედებითი ძალისხმევა – სამსახურიდან დაბრუნებულს შინ ავადმყოფი ბებია ხვდებოდა, რომელიც ბორისის მზრუნველობას საჭიროებდა. მხოლოდ ღამეებიღა რჩებოდა სამუშაოდ.“[3]

ერთხელ აგიაშვილს უკითხავს ,,ვეფსიხტყაოსნის“ თარგმნა რამ გაგაბედინაო. ბორისს ძლივს გასაგონად ჩაუდუდუნია: „კაცი რომ თავის ჩამოხრჩობას დააპირებს, ძალზედ დიდი, დიდი ხე უნდა აირჩიოს. თოკი, რომელშიც თავს გაუყრის. თუ გაწყდა, ძირს ჩამოვარდება და მაინც მოკვდება. მოკლედ, სიკვდილი გარანტირებული აქვს.“[4]

გივი მეფისაშვილის წიგნში *საქართველოში მოღვაწე ებრაელები* ბორის გაპონოვის ქალიშვილის ირინა გაპონოვის მოგონებებს ვეცნობი მამამისის რთულ ცხოვრებაზე:

,,7 წლის ვიყავი, როცა მძიმედ ავადმყოფი მამაჩემი ისრაელში გაემგზავრა საცხოვრებლად. ძალიან მიმძიმდა, მხოლოდ, ერთი იმედი დამრჩენოდა, რომ ოდესმე, ერთხელ მაინც შევხვდებოდი მას, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. 1972 წლის გაზაფხულზე მივიღეთ მისი გარდაცვალების წერილი.

ახლა, როდესაც მამაჩემის საბუთებს ვათვალიერებდი, ვიპოვე მის მიერ ჩემთვის გამოგზავნილი წერილი.

„განა უდაბნო არ არის ჩემი ცხოვრება? მხოლოდ თქვენ მყავხართ და არც მყავხართ. ვერც წერილში და ვერც საუბარში გადმოგცემთ ამ ყოველივეს, რაც გულს მიკუმშავს და უხილავ ცრემლებად დუღს ჩემში. დრო ყველაფერს გამოასწორებს. თქვენ ორთავეს შემოგევლეთ, ჩემო ძვირფასებო“.[5]

---

[3] გაზეთი *ქუთაისი* 1982 წლის 20 ოქტომბერი.

[4] იქვე.

[5] გივი მეფისაშვილი, *საქართველოში მოღვაწე ებრაელები*, 1994. გვ.13.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ილია გაგულაშვილი, *მადლი სიყვარულისა*, 1985.
2. იაკობ პაპიაშვილი, გაზეთი *ქუთაისი*, 1989 წლის 15 აპრილი.
3. გივი მეფისაშვილი, *საქართველოში მოღვაწე ებრაელები*, 1994.
4. *ბორის გაპონოვი*, ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალი, 2016.
5. ცირა ყურაშვილი, *ჟამსა თამაშობისას* (მოთხრობების კრებული), 2016.

თეონა ძოწენიძე

სიყვარულისა და თანაგრძნობის სული

XIX საუკუნის დასასრულს რუსეთის იმპერიაში არსებული სკოლები სხვადასხვა უწყებას ეკუთვნოდა. მათგან განსაკუთრებით გავრცელებული იყო სამი უწყების სკოლა: განათლების სამინისტროს სასწავლებლები, საერობო სახალხო სკოლები და საეკლესიო სამრევლო დაწყებითი სკოლები. თავის მხრივ, ცალკეულ უწყებათა დაწყებით სკოლებს სხვადასხვა განხრა, ანუ ქვეტიპი ჰქონდა. მაგალითად, განათლების სამინისტროს ერთკლასიან სასწავლებელს 17 ქვეტიპის განშტოება ჰქონდა – საქალაქო, სასოფლო, რკინიგზების, ფაბრიკებთან მოქმედი, საზოგადოებათა ხარჯზე არსებული, კერძო და სხვა.

ცნობილია, რომ საქართველოში, მათ შორის, ქუთაისშიც, ერობების არარსებობის გამო დაწყებითი განათლება, ძირითადად, ორ უწყებას, განათლების სამინისტროსა და უწმინდეს სინოდს და მათ ადგილობრივ ორგანოებს (კავკასიის სასწავლო ოლქსა და საქართველოს ეგზარქატს) ჰქონდა მინდობილი. ქუთაისში აგრეთვე ფუნქციობდა ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლა, „კავკასიაში მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოების“ დაწყებითი სკოლა, დაწყებითი სკოლა ღარიბ აზნაურთა შვილთათვის და სხვა.

დაბალი ტიპის სასწავლებლები მოსახლეობის თვალში დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობდა, რადგან იგი საშუალო სკოლაში სწავლის გაგრძელების საშუალებას არ იძლეოდა. დაბალი ტიპის სასწავლებლებში დედა ენა არასავალდებულო საგნად ითვლებოდა და ამ თვალსაზრისითაც ისინი დაბლა იდგნენ ორკლასიან სახალხო სკოლებთან შედარებით, სადაც დედა ენა სავალდებულო საგანი იყო. გამოფხიზლებულ ხალხს ასეთი სასწავლებლები აღარ აკმაყოფილებდა. საზოგადოება სრულფასოვანი საშუალო განათლებისაკენ მიისწრაფოდა და ისეთ სკოლას, რომელიც საამისო გზას უხშობდა, თანდათან ზურგს აქცევდა. სახალხო სკოლების რიცხვი უფრო და უფრო იზრდებოდა. რევოლუციამდელ ქუთაისში არსებულ სასწავლებელთა შორის გამოირჩეოდა მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა კერძო „გიმნაზია“.

მარიამ იოსების ასული ყაუხჩიშვილი – ერუდირებული პედაგოგი, ქართული კულტურის მოამაგე, ღარიბთა მფარველი, პრინციპული და სამართლიანი პიროვნება – ნახევარი საუკუნის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდის საპატიო საქმეს.

მარიამ იოსების ასული ყაუხჩიშვილი დაიბადა ქუთაისში 1866 წლის 28 ოქტომბერს კათოლიკეთა ოჯახში. მე–18 საუკუნის მიწურულს სოლომონ მეორემ ყაუხჩიშვილები (ადრე დარდგანიძეები. „ყაუხჩი“– თურქ. მექუდე) სხვა კათოლიკე მესხებთან ერთად ქუთაისში ჩაასახლა. მარიამის ოჯახი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქუთაისის იმდროინდელ მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან. ოჯახის გარემომ მარიამს ბავშობიდანვე ჩაუნერგა სამშობლოსადმი სიყვარული და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის მისწრაფება. მშობლებმა მარიამი ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში მიაბარეს. მაგრამ სკოლაში დამკვიდრებული რუსიფიკატორული სწავლების რეჟიმი აუტანელი იყო ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი გოგონასათვის. აღნიშნულ სასწავლებელში არ იღებდნენ ღარიბ კათოლიკეთა ოჯახის ბავშვებს, იდევნებოდა ქართული ენა, ქართული კულტურა. ქართველი მოსწავლეები მწვავედ განიცდიდნენ ამ შევიწროებას. აქ სწავლის დროს აირჩია მარიამ ყაუხჩიშვილმა პედაგოგის პროფესია

და მიზნად დაისახა ქართული სკოლის დაარსება. 1886 წელს მან წარმატებით დაასრულა წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლის რვა კლასი პედაგოგიური განხრით.

1890 წელს მარიამი მასწავლებლად მიიწვიეს ქუთაისის კათოლიკურ სამრევლო სკოლაში. ქუთაისში მცხოვრებ კათოლიკე ქართველთა შეწირულებებით კათოლიკური ეკლესიის ეზოში აგებულ იქნა სკოლის ორსართულიანი შენობა. სკოლაში უფასოდ ასწავლიდნენ იმ ღარიბ კათოლიკეთა შვილებს, რომელთაც სახელმწიფო გიმნაზიებში სწავლის ქირის გადახდა არ შეეძლოთ. სამრევლო სკოლაში 40 ბავშვი სწავლობდა და მასწავლებლად მხოლოდ ქალებს იწვევდნენ. მარიამმა თავისი შრომისმოყვარეობითა და ბავშვებზე ზრუნვით სკოლის კოლექტივის სიყვარული დაიმსახურა. როგორც მარიამის პირადი არქივიდან ირკვევა, სკოლის ხშირი სტუმარი ყოფილა ახალგაზრდა ზაქარია ფალიაშვილი. კათოლიკური ეკლესიის შენობაში ბავშვები ხშირად ისმენდნენ მომავალი დიდი კომპოზიტორის ტკბილ გალობას. თვით მარიამ ყაუხჩიშვლს ახლო მეგობრობა ჰქონია ზაქარია ფალიაშვილთან.

ქუთაისში იოსებ ოცხელმა პირველმა დაარსა ქართული კერძო სკოლა, რომელიც შემდეგ კერძო გიმნაზიად გადაკეთდა. იოსებ ოცხელი მიზნად ისახავდა გიმნაზიაში ქართული სული და ქართული ტრადიციები დაემკვიდრებინა. მასწავლებლად მან მიიწვია ისეთი პედაგოგები, რომლებიც მაშინდელ ქუთაისში ქართული კულტურის მოამაგეებად ითვლებოდნენ. 1892 წელს მარიამ ყაუხჩიშვილი იოსებ ოცხელმა მასწავლებლად მიიწვია.

წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის დამთავრება არ იყო საკმარისი პედაგოგიური ხელოვნების დასაუფლებლად. მარიამი გულმოდგინედ გაეცნო ცნობილი გერმანელი პედაგოგის ფრიდრიხ ფრებელის (1782–1852) პედაგოგიური მოღვაწეობის ისტორიას. 1837 წელს ფრებელმა დააარსა თიურინგიაში „სკოლამდელ ბავშვთა აღზრდის დაწესებულება“, რომელსაც საბავშვო ბაღი უწოდა. აღზრდის სისტემის შემუშავებისას ფრებელი ამოდიოდა მცირე ასაკის ბავშვთა თავისებურებიდან – მოძრაობა, უშუალობა, ცნობისმოყვარეობა, მისწრაფება მიბაძვისაკენ. სკოლამდელ აღზრდაში იგი დიდ როლს ანიჭებ-

და თამაშს, სიმღერას, ტანვარჯიშს. 1895 წელს ახალგაზრდა ქართველი პედაგოგი სპეციალურად გაემგზავრა პეტერბურგში, რათა გასცნობოდა ფრებელის სისტემით მომუშავე საბავშვო ბაღებს. 1896 წელს კი მარიამი შვეიცარიაში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად. ფრანგული ენის კარგად ფლობამ საშუალება მისცა ჟენევის უნივერსიტეტის პედაგოგიური კურსები წარმატებით დაემთავრებინა. მარიამი გულმოდგინედ გაეცნო შვეიცარიის უნივერსიტეტისა და სკოლების მუშაობას. ჟენევიდან ის პარიზში ჩავიდა პარიზის სკოლებისა და საბავშვო ბაღების გასაცნობად. ჟენევასა და პარიზში მიღებული გამოცდილებით 1898 წელს საქართველოში დაბრუნდა, სადაც იგი კერძო სკოლაში მასწავლებლად მიიწვიეს; აქ მარიამი თავდაუზოგავად შრომობდა და საზღვარგარეთ მიღებულ გამოცდილებას უშურველად უზიარებდა კოლეგებს. მაგრამ მისი მიზანი მაინც საკუთარი სკოლის დაარსება იყო. 1899 წელს სპეციალური რეკლამები ქუთაისში იუწყებოდა, რომ მთავრობის ნებართვით ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე, ალ. ჭყონიას სახლში პირველი სექტემბრიდან დაარსდებოდა ოთხკლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსით. 1903 წელს მეორე ხარისხის კერძო სასწავლებელი, სადაც მარიამი მსახურობდა, მის ხელმძღვანელობაში გადავიდა. მისი პირადი შუამდგომლობითა და სკოლაში სასწავლო პროცესის სანიმუშოდ დაყენებით 1908 წელს პროგიმნაზია პირველი ხარისხის გახდა. თანდათან მას V- VI – VII – VIII კლასები დაემატა და სრული გიმნაზიის სახე მიიღო. მარიამ ყაუხჩიშვილმა ძირფესვიანად გარდაქმნა სასწავლო–სააღმზდელო მუშაობა. მარიამის მოთხოვნით მთავრობის სპეციალურმა კომისიამ ყაუხჩიშვილის სასწავლებელი შეისწავლა და იქ მიმდინარე სასწავლო–სააღმზრდელო პროცესი სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო, საწავლებელი სრულუფლებიან ქალთა გიმნაზიად დაამტკიცა და მარიამ ყაუხჩიშვილის სახელი მიანიჭა. ამავე წელს დაუღალავმა ქალბატონმა დააარსა პირველი საბავშვო ბაღი, რომელიც ფრებელის სისტემის მიხედვით მოაწყო. ქუთაისის საზოგადოება დიდი მოწონებით შეხვდა მარიამის ინიციატივას.

იოსებ ოცხელთან მუშაობამ და მეგობრობამ მარიამს დიდი გამოცდილება შესძინა. იაკობ გოგებაშვილის ტრა-

დიციებზე აღზდილი იოსებ ოცხელი ყველა პედაგოგისგან მოითხოვდა: 1. მოზარდთა გონების განვითარებას ბუნებისა და ცხოვრების გაცნობით; 2. მოზარდთა გულსა და გონებაში ისეთი კაცობრიული ღირებულებების აღზრდას, როგორებიცაა: სიყვარული, ძმობა, სიბრალული, თანაგრძნობა ცხოვრებისაგან დაჩაგრულთა მიმართ; 3. მოზარდებში მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნებას, რაც გულისხმობდა სამშობლოს, საზოგადოებისა და, შეძლებისამებრ, კაცობრიობის გულწრფელ სამსახურს; 4. პატიოსანი შრომის მიმართ პატივისცემას; 5. სწორი და მტკიცე ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებას.

თავის გიმნაზიში მარიამ ყაუხჩიშილი, პრაქტიკულად, იოსებ ოცხელის ყველა რჩევას ითვალისწინებდა. იგი გულმოდგინედ ეცნობოდა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ თვისებებს, ცდლობდა აღეზარდა ისინი ნამდვილ მოქალაქეებად, ერისა და მამულისათვის თავდადებულ თაობად.



მარიამ ყაუხჩიშვილის მიერ გიმნაზიისათვის შეძენილი შენობა. ამჟამად მარიამ ყაუხჩიშვილის სახელობის ქუთაისის N17 სკოლა.

მარიამ ყაუხჩიშილის პროგიმნაზია თბილისის ქუჩაზე კერძო შენობაში იყო მოთავსებული. შენობა ეკუთვნოდა პეტრე გოკიელს, რომელმაც მხარი დაუჭირა მარიამის პატრიოტულ თაოსნობას და შენობა შეღავათიან ფასებში დაუთმო. მაგრამ გიმნაზიისათვის აუცილებელი იყო ახალი ნაგებობა. ქუთაისში მცხოვრები ქართველი კათოლიკეების დახმარებითა და ბანკიდან აღებული სესხით მარიამმა ქალაქის ცენტრში ორსართულიანი შენობა შეიძინა თავისი ბაღით. მოსწავლეები მზრუნველობით უვლიდნენ ბაღის თითოეულ მცენარეს, დირექტორიც მათთან ერთად შრომობდა, უვლიდა ხეხილსა და დეკორატიულ მცენარეებს. ბაღი დასვენებისა და ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო ადგილად იქცა. საკლასო ოთახებში რამდენიმე შესაფერისი სურათი ეკიდა, ხოლო მასწავლებლის კათედრაზე მუდამ ცოცხალი ყვავილების ლარნაკი იდგა. მეორე სართულზე სადარბაზო ოთახი იყო, რომლის კედლებში ორნამენტებით დამშვენებული დიდი სარკე იყო ჩასმული. ასეთი სანიმუშო წესრიგი მოზარდებში სილამაზის გრძნობას აღვივებდა და ესთეტიკურ გემოვნებას ავითარებდა. ესეც ბავშვების სწორი აღზრდის ერთ–ერთ პირობას წარმოადგენდა.

ქართველი ახალგაზრდების დიდი ნაწილი მაინც გიმნაზიის კედლებს გარეთ რჩებოდა. მარიამი იყო პირველი ქართველი მოღვაწე ქალი, რომელმაც დააწესა ღარიბთა უფასო სწავლება. 1909 წლის 21 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნიის სახალხო განათლების უფროსისადმი მოხსენებით ბარათში ყაუხჩიშვილი წერდა: „ჩემს სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვის თანდათანობით მატება აშკარად ლაპარაკობს იმ ნდობაზე, რომელსაც ქალაქისა და სოფლის საზოგადოება ჩემს სასწავლებელს უცხადებს. მოსწავლეთა ბიოგრაფიული მონაცემები და ყოველწლიური სტატისტიკური წვრილმანი ჩემი სასწავლებლის ცხოვრებიდან ცხადს ხდიან, რომ სასწავლებლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი დარჩებოდა უსწავლელი, ვერ ეზიარებოდა განათლების ცოცხალ სიტყვას, რომ მათთვის ჩემი სასწავლებლის კარები ღია არ ყოფილიყო. 368 მოსწავლიდან 78 ღარიბი ბავშვი განთავისუფლებულია სწავლის ქირის გადსახადიდან, მათი სწავლის ქირის თანხა

1790 მანეთს შეადგენს".[1] აღნიშნულ თანხა საკმაოდ დიდი იყო სკოლის ბიუჯეტისათვის, მაგრამ მარიამი თავისი დანაზოგებითა და მეგობართა დახმარებით ყველაფერს აკეთებდა ნიჭიერი და ღარიბი ახალგაზრდების დასახმარებლად.

მარიამი განსაკუთრებით ზრუნავდა ქუთაისის ახლომახლო სოფლების ახალგაზრდობაზე. თვით მარიამს ბინა სკოლის შენობაში ჰქონდა. სოფლიდან დილით ადრე ჩამოსულ მოსწავლეებს იგი თავის ოთახში მიიწვევდა ხოლმე, დასვამდა ღუმელთან და ჩაითა და ნამცხვრით უმასპინძლდებოდა, შემდეგ კი გაკვეთილებს გაამეორებინებდა. ღარიბ მოსწავლეებს გარდა სწავლის ქირისა, სხვა სასწავლო პირობების შექმნაც სჭირდებოდათ. ფინანსების მოსაზიდად ქალბატონ მარიამის უშუალო ინიციატივით ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად ქუთაისში საქველმოქმედო საღამოები იმართებოდა. საღამოებზე საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობდნენ მაშინდელი ქუთაისის საუკეთესო ძალები: ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის გუნდი მიხეილ შარაბიძის ლოტბარობით, ამავე სასწავლებლის სიმებიანი კვარტეტი, საღამოს უძღვებოდნენ ნინო ჩხეიძე და ბონდო მიქელაძე. პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი საღამოების აქტიური მონაწილე იყო. საღამოების დასასრულს იმართებოდა ვახშამი. სხვათა შორის, მარიამ ყაუხჩიშვილის არქივში დაცულია თავად ქალბატონ მარიამის მიერ შედგენილი ვახშმის მენიუ, რაც აჩვენებს, რომ სკოლის მოამაგე უაღრესად ზომიერი იყო ქართული სუფრის მოწყობისას და ვახშამი ღრეობისათვის კი არ იმართებოდა, არამედ დასვენებისა და კომუნიკაციისათვის.

გარდა საღამოებისა, ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიის უღარიბეს მოსწავლეთა დასახმარებლად ქუთაისის თეატრში *ელექტრო რადიუმი* იმართებოდა საღამოები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოსული ცნობილი მსახიობები.

ღარიბ მოსწავლეთა დახმარებას მხარს უჭერდა ქუთაისის მოწინავე ქართველი საზოგადოება: სილოვან ხუნდაძე, იოსებ ოცხელი, ტრიფონ ჯაფარიძე, ჯავჯუ ჯორჯიკია და სხვანი. არქივში დაცულ ერთ წერილში ვკითხულობთ:

[1] კუკური ლილუაშვილი, *მარიამ ყაუხჩიშვილი*, გამ. განათლება, თბილისი, 1973.



„ქ-ნო მარიამ, გაახლებთ ას მანეთს თქენი გიმნაზიისათვის გამართული საღამოს შემოსავლის მისამატებლად იმ იმედით, რომ კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების; მუდამ თქვენი წარმატების მსურველი ტრიფონ ჯაფარიძე 1919 წელი“.

ყაუხჩიშილის გიმნაზიაში სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლის მოთავე განსაკუთრებით ზრუნავდა პედაგოგთა კადრების შერჩევაზე. ამ გიმნაზიაში მასწავლებლის ხელფასი შედარებით მცირე იყო, ვიდრე მთავრობის გიმნაზიებში, მაგრამ პატრიოტი მასწავლებლები ამას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და სიამოვნებით მუშაობდნენ მარიამთან.

მალე ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიამ მთელ საქართველოში გაითქვა სახელი. ეს გიმნაზია ერთადერთი იყო, სადაც საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ. ამიტომ ხშირად თბილისიდან ჩაჰყავდათ შვილები ამ გიმნაზიაში განათლების მისაღებად. მაგალითად, ცნობილმა ქართველმა მწერალმა ნინო ნაკაშიძემ თავისი ქალიშვილი მაკა თბილისიდან ქუთაისში ჩაიყვანა და ყაუხჩიშილის გიმნაზია დაამთავრებინა.

1911 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა ქალთა საზოგადოება. საზოგადოების მიზანი იყო გაეშალა ქალთა შორის საგანმანათლებლო მუშაობა და აქტიურად ჩაება ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში. ამ საზოგადოების თავმჯდომარედ მარიამ ყაუხჩიშვილი აირჩიეს. მარიამის ხელმძღვანელობით საზოგადოებამ ბევრი რამ გააკეთა არა

მარტო ქუთაისელი ქალების, არამედ ქუთაისის ახლომახლო მდებარე სოფლების ქალთა გათვითცნობიერებისა და მათი კულტურის ამაღლების საქმეში. მარიამ ყაუხჩიშვილი სისტემატურად გამოდიოდა მოხსენებით ქალთა კრებებზე, თუმცა კი ზედმეტი ლაპარაკი ეჯავრებოდა, იყო პირდაპირი, პრინციპული და სამართლიანი. იგი ქალებისაგან განსაკუთრებულ გულისხმიერებას ბავშვების აღზრდაში მოითხოვდა. „ასწავლეთ ბავშვებს შრომისადმი სიყვარული, უფროსისადმი პატივისცემა, შეაქეთ ბავშვი კარგი ქცევისათვის, დატუქსეთ ცუდი ყოფაქცევისათვის, გიყვარდეთ ბავშვები, მაგრამ ზედმეტი სიყვარულის გამომჟღავნებით ნუ გაუწევთ დათვურ სამსახურს“[2], – მოუწოდებდა მარიამი ქალებს.

გიმნაზიის დირექტორი ახლო ურთიერთობაში იყო თითოეული მოსწავლის ოჯახთან, იზიარებდა მათ ჭირსა და ლხინს. ყურადღებას იპყრობს არქივში დაცული ერთი ბარათი: „22 მარტი, 1917 წელი. ფრიად პატივცემულო მარიამ იოსების ასულო, მიიღეთ პირადად თქვენ და აგრეთვე გადაეცით თქვენდამი რწმუნებულ სკოლის მასწავლებლებს და მოწაფეთ ჩვენი უღრმესი და უგულითადესი მადლობა იმ დიდი პატივისცემისათვის, რაც მათ დასდეს თქვენს მოწაფეს, ჩვენს უდროოდ დაკარგულ ქალიშვილს ელისაბედს.

აღტაცებული ვართ და გვიხარია, რომ თქვენს სასწავლებელში ასეთი ქრისტიანული თანაგრძნობისა და სიყვარულის სული მტკიცედაა დამყარებული.

ანასტასია და სიმონ ყიფიანები

მარიამი მოსწავლეთა აღზრდის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლებთან მჭირდო კონტაქტის დამყარებას. იგი მოითხოვდა ყოველი ბავშვის მშობელი თვეში ერთხელ მაინც მისულიყო გიმნაზიაში და საკუთარი შვილის ამბავი გაეგო. მარიამის ინიციატივით სკოლასთან ჩამოყალიბებული იყო მშობელთა დამხმარე საბჭო, რომელიც აწყობდა გაერთიანებულ სასწავლო თათბირებს მოსწავლეებთან, მასწავლებელთან და მშობლებთან ერთად. მარიამი ისეთ

[2] ლია გაბუნია, *ქუთაისი დიდი საგანმანათლებლო ცენტრი*, 2006, გვ.149.

ბავშვებს, რომლებიც სხვა სკოლას ჩამოშორებული იყვნენ ცუდი ყოფაქცევისა ან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, სიამოვნებით იღებდა. ქალაქში ყაუხჩიშვილის სასწავლებელს მოსწავლეთა გამოსასწორებელ სკოლასაც ეძახდნენ.

საყურადღებოა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის ირაიდა ეზიკაშვილის მოგონება: „1900–1905 წწ ვიყავი მ. ყაუხჩიშვილის მოსწავლე; მარიამის სკოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული იოსებ ოცხელთან. მე და ჩემმა დამ მარიამის სკოლაში 4 კლასი დავამთავრეთ. სწავლა უნდა გაგვეგრძელებინა წმინდა ნინოს სასწავლებელში, მაგრამ გამოცდების ჩაბარებისათვის უნდა გადაგვეხადა 10–10 მანეთი, რისი შესაძლებლობა ჩვენ არ გვქონდა. ერთ–ერთი უნდა დავრჩენილიყავით სკოლის გარეშე. მარიამმა თვითონ გადაიხადა 20 მანეთი და წაგვიყვანა გამოცდებზე. მარიამი მუდამ გვინერგავდა შრომისმოყვარეობას, მოსწავლეები სკოლის ჭრა–კერვის სახელოსნოში საკუთარი ხელით შეკერილ ტანსაცმელით დავდიოდით სკოლაში. იყო შემთხვევა, როცა მარიამი ნახმარ ტანსაცმელს მოატანინებდა მოსწავლეებს და ხელმოკლე მოსწავლეებს გადასცემდა. იგი ეცნობოდა მოსწავლეთა ოჯახურ პირობებს; მახსოვს ჩემთან, სოფელ კურსებში ამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ 5კმ ფეხით უნდა გამოევლო. მარიამი დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა ჩაცმულობას, თმის ვარცხნილობას. ერთხელ მოსკოვიდან დაბრუნებულმა ყველა მოსწავლეს საჩუქრად წიგნები ჩამოგვიტანა. თეატრში უფროსის გარეშე არასოდეს არ გვიშვებდა. კარგი სწავლისა და დისციპლინისათვის პირველად მან წამიყვანა თეატრში ვასო აბაშიძის იუბილეზე. მდიდარი შთაბეჭდილებით დავბრუნდი ჩემს ბინაზე“.[3]

მარიამ ყაუხჩიშვილს უყვარდა შრომა და შრომას აჩვევდა მოსწავლეებსაც. სკოლაში მან შექმნა ჭრა–კერვის სახელოსნო, სადაც გოგონები ამ საქმეს სწავლობდნენ. სასწავლო წლის დასასრულს სკოლაში ეწყობოდა მოსწავლეთა მიერ შეკერილი ტანსაცმელისა და ნაქარგების გამოფენა. გამოფენის დასასრულს ყველა ტანსაცმელი იყიდებოდა. შეგროვებული თანხით

[3] კუკური ლილუაშვილი, *მარიამ ყაუხჩიშვილი*, გამ. განათლება, თბილისი, 1973.

სახელოსნოსათვის ქსოვილებს იძენდნენ და ღარიბ ბავშვებსაც ეხმარებოდნენ. პედაგოგი ცდილობდა, ბავშვებში სიფაქიზე, თავაზიანობა, სილამაზის სიყვარული აღეზარდა. ამ მიზნით სასწავლებელში ხშირად ეწყობოდა საღამოები. საზეიმოდ მორთულ სარკეებიან დარბაზში მოსწავლეები დგამდნენ პიესებს, უკრავდა ორკესტრი, ბავშვები მღეროდნენ და ცეკვავდნენ. დასასრულს ყველა მათგანს მარიამი ჩაითა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდა. ბავშვებს ასწავლიდნენ სუფრასთან თავის დაჭერას, საუბარს და ქცევის სხვა წესებს. ასეთი საღამოები მოსწავლეთა აღზრდის საუკეთესო საშუალება იყო.

კურსდამთავრებულთა გამოშვების საღამოები ქალთა გიმნაზიაში საზეიმო ვითარებაში ეწყობოდა. ერთ–ერთი ასეთი საღამოს შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი ნინო რევაზიშვილი იგონებს:

„გიმნაზიაში გამოშვების საღამოზე იმართებოდა დიდი კონცერტი და ბალი; ჩვენი კლასის გამოშვების საღამო დაუვიწყარი გახდა ყველა მოსწავლისათვის. საღამოზე მ. ყაუხჩიშვილმა მიიწვია საქართველოს ბულბული ვანო სარაჯიშვილი და თბილისიდან ქუთაისში სტუმრად ჩამოსული „ცისფერყანწელები“ პაოლო იაშვილის მეთაურობით. საღამოს ესწრებოდა ვერიკო ანჯაფარიძე, რომელიც იმ დროს მოსკოვში სწავლობდა.“[4]

ქართველი პედაგოგი ქალბატონი ბავშვის გონებრივი განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობად წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას მიიჩნევდა. პირადი შრომით მან სკოლას მდიდარი ბიბლიოთეკა შეუძინა. წიგნებს ბიბლიოთეკისათვის სისტემატურად იწერდა როგორც რუსეთიდან, ისე საზღვარგარეთის ქალაქებიდან. სკოლის ბიბლიოთეკის ფონდში გადავიდა მისი ოჯახისა და პირადად მარიამის უნიკალური ნივთები.

„მე არ ვსწავლობდი მარიამის სკოლაში“, – იგონებს პროფესორი ჯუმბერ ჭუმბურიძე, – „მაგრამ დედა – მარიამ ჩხეიძე იქ რუსულ ენასა და გეოგრაფიას ასწავლიდა. ამ სკოლას ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელიც შექმნილი იყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე თვით მ. ყაუხჩიშვილის უშუალო თაოსნობით. ბიბლიოთეკას ჰქონდა რუს, ევროპელ და ქარ-

[4] კუკური ლილუაშვილი, *მარიამ ყაუხჩიშვილი*, გამ. განათლება, თბილისი, 1973.

თველ კლასიკოსთა ჩინებული გამოცემები. განსაკუთრებით საინტერესო იყო საბავშვო ლიტერატურის ფონდი. მე ხშირად ვსარგებლობდი ამ ბიბლიოთეკით.“[5]

მარიამის უშუალო ინიციატივით 1930 წელს სკოლაში შეიქმნა სადურგლო სახელოსნო. სახელოსნოს მომარაგებას ხელსაწყოებითა და ხის მასალით თვით მარიამმა მოჰკიდა ხელი. მოსწავლის თითოეულ ნაკეთობას მარიამი სინჯავდა, ბავშვის ნამუშევარი თუ მოეწონებოდა, შეაქებდა, სიტყვით წაახალისებდა. სანიმუშოდ მოწყობილი სახელოსნოების გამო ქალაქის განათლების განყოფილებამ უკვე საბჭოთა პერიოდში ყაუხჩიშვილის სასწავლებელი ქალაქში პირველი გადააკეთა შრომის სკოლად.

მარიამი გულისხმიერი იყო ყველა მოსწავლისადმი. იგი ცდილობდა, სკოლა მეორე ოჯახი ყოფილიყო ბავშვებისათვის. დიდი ენთუზიაზმით რთავდა საახალწლო ნაძვის ხეს. საჩუქრებს თავად არჩევდა. თუკი ბავშვი ავადმყოფობის გამო საახალწლო ზეიმს ვერ დაესწრებოდა, მარიამი ვეებერთელა, საჩუქრებით სავსე კალათს შინ გაუგზავნიდა. მოსწავლისათვის ეს დაუვიწყარი იყო.

მარიამ ყაუხჩიშვილი 1939 წლის 20 მარტს გარდაიცვალა თავისივე სკოლის შენობაში, სადაც მას ერთი პატარა ოთახი ეჭირა საცხოვრებლად. იგი დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩხიის კათოლიკეთა სასაფლაოზე. მას შვილები არ დარჩენია, მაგრამ ყველა მოსწავლე, რომელმაც ყაუხჩიშვილის სასწავლებელი დაამთავრა მას დედად და მასწავლებლად მიიჩნევდა.

ყაუხჩიშვილის სასწავლებელი რევოლუციის შემდეგ სხვადასხვა სახელს ატარებდა: შრომის სკოლა, მეათე არასრული საშუალო სკოლა, მეჩვიდმეტე საშუალო სკოლა. 1982 წლიდან დღემდე ამ შენობაში ქუთასის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი ფუნქციობს. ამჟამად იგი იწოდება როგორც „პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი“, რომლის ბაზაზე 2012 წლიდან არსებობს კერძო სკოლა „ღონე ქვეყნისა“.

---

[5] იქვე.

შენობა 1908 წელს
შეიძინა საზოგადოებრივი
მარცვ ყაუნჩიშვილმა
იყო მისი ოჯახური
ბიბლიოთეკის ფონდიდან, კარგად ცნობილ
ოჯ ალესანდრა 1939 წელს

დღემდე სკოლაში თითქმის შენარჩუნებულია მარიამ ყაუხჩიშვილის დროინდელი მოსწავლის ინტერესებზე მორგებული საკლასო გარემო.

შენარჩუნებულია ყაუხჩიშვილის ბიბლიოთეკიდან წიგნების გარკვეული რაოდენობა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ლია გაბუნია, *ქუთაისი დიდი საგანმანათლებლო ცენტრი*, 2006, გვ. 144-151.
2. გიორგი თავზიშვილი, *სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში* (1801–1870), თბილისი. 1948 გვ. 96.
3. მიხეილ თამარაშვილი, *კათოლიკობის ისტორია საქართველოში*, თბილისი, 1902, გვ. 502–512.
4. კუკური ლილუაშვილი, *მარიამ ყაუხჩიშვილი*, გამ. განათლება. თბილისი, 1973.
5. უშანგი ობოლაძე, *ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში* (1921–1930) I, თბილისი., 1961, გვ. 54.
6. გაზ. *ივერია*, 1894, N164.
7. ჟურნ. *კვალი*, 1901, N35.
8. ტარიელ სარიშვილი, *სახალხო განათლების საკითხები რევოლუციამდელ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში*, გვ. 14.
9. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, A139.
10. http://nateba.net/index.php/biographies/95-1866-1939

სალომე ჭეიშვილი

გააჩერე წამი!

Oყო და არის ერთი ქალაქი – პატარა და გამორჩეულად ლამაზი. დიადი ისტორიით და ამ ისტორიის მომხიბვლელობით უცნაური და გასაოცარი.

როგორც ყველა ქალაქს, მასაც ჰყავდა (და ჰყავს) გამორჩეული ადამიანები, გამორჩეულნი თავიანთი ღირსებით და "ღვთიური" შემოქმედებით, იმ ძალით, რომელიც ადამიანს ადამიანის სიყვარულს უნერგავს. ჰყავს უკეთურნიც, რომელთა არსებობა სიკეთეს ფასს სძენს და მას საჭიროს, აუცილებელს ხდის. ასე იქმნება ქალაქის ჩვეულება და კანონები რომელთაც ყველა ემორჩილება.

შეიძლება ეს ისტორია ასეც დაიწყოს...

ვწერ კაცზე, რომელსაც ყველა უყვარდა და ყველას უყვარდა. რთულია განვლო ცხოვრება ისე, რომ ყველა გიცნობდეს და სიკვდილის შემდეგაც ისე გაფასებდნენ, რომ შენი არყოფნით ქალაქი ცარიელდებოდეს, ჩნდებოდეს მძაფრი სურვილი, რომ რამენაირად დაგაბრუნონ, იწყებოდეს ფიქრი და ზრუნვა იმაზე, თუ როგორ მოხდეს ეს დაბრუნება, ანუ როგორ შეავსონ უშენობის სიცარიელე.

ეს კაცი არის ილია ხახიაშვილი – ქუთაისელი ფოტოგრაფი, ფოტოხელოვანი. მის მშობლებს, სარა ციციაშვილსა და ფილხაზ ხახიაშვილს შვიდი შვილი ჰყავდათ. მამა ოქრომჭე-

დელი იყო, დედა – დიასახლისი. კეთილშობილი ადამიანები იყვნენ. ილია 1935 წლის 16 აგვისტოს დაიბადა. ქართულ-ებრაული უბანი თავისი ისტორიული წარსულითა და ამ ორი ერის სულიერი სიახლოვით პატიოსნებას, ღირსებას და უდიდეს სიყვარულს უნერგავდა ილია ხახიაშვილს.

ბევრი სხვა ქუთაისელი ყმაწვილივით ქუთაისის №1 სკოლაში დადიოდა. მისი მეზობელი და მეგობარი, მხატვარი ოთარ ქანდარია იხსენებდა წლების შემდეგ: ,,ილო წიგნებით სავსე ჩანთას დაატარებდა სახლიდან სკოლაში და სკოლიდან სახლში. ქართული ენის წიგნს რუდუნებით და ფაქიზად თუ გადაშლიდა, შიშით არ გაცვდესო და შიგნით არსებულ ნახატებს ინტერესით ათვალიერებდა". სავარაუდოდ, იმ ნახატებით უფრო ღრმად სწვდებოდა ქართული ენის ძალას, რომლის, არა მხოლოდ ამოკითხვა, არამედ დანახვაც შეიძლებოდა. ალბათ მაშინ დაიჯერა, რომ ლაპარაკზე მნიშვნელოვანი დანახვა და მოსმენა უფრო იყო, რაც საშუალებას მისცემდა სამყაროს სიდიადე შეეგრძნო და ამ სამყაროში მოფუსფუსე ადამიანების "წაკითხვა" შესძლებოდა."

ილოს საშუალო სკოლა არ დაუმთავრებია. პირველად ფოტოაპარატი რვა წლისამ დაიჭირა ხელში, მაშინ სევასტი და დესპინე ტაბიძეებთან ცხოვრობდა, გადაღებაც "ხაზეინს" უსწავლებია, იქიდან მოყოლებული, ამ საქმისთვის არასდროს უღალატია. "ფოტოგრაფია გაჭირვებამ დამაწყებინა. 50 მანეთს მაძლევდნენ თვეში. ეს ოთახი მთავრობამ მისცა ჩემს "ხაზეინს", რადგან კერძო ბინებში მუშაობა აიკრძალა მაშინ... აი, მას მერე დავრჩი აქ".[1] ფოტოგრაფია გახდა მისი საყვარელი საქმე, რომელსაც სიკვდილამდე ემსახურებოდა.

მასწავლებელთა სახლის შენობაში, კიბის ქვეშ მოაწყო ფოტოსახელოსნო, რომლის ფართობი ოთხი კვადრატული მეტრი იყო. მაგრამ ამ "ილოს ბუდრუგანაში", როგორც მასწავლებელთა სახლის დირექტორმა ქალბატონმა მარიკა მარუშვილმა უწოდა მას, ისეთი გარემო შექმნა, რომ 40 წლის მანძილძე ურიცხვი მეგობარი და სტუმარი დაიტია.

---

[1] *ილო*, ქუთაისი ,,საგამოცემლო ცენტრი", 2009.

,,თუ პასპორტში ან პირადობის მოწმობაში... ყოველ შემთხვევაში, საოჯახო ალბომში ერთი გვერდზე მაინც, ილო ფოტოგრაფის სურათი არ გაქვს ჩაკრული, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ქუთაისელობის დამადასტურებელი ფოტოდოკუმენტი არ გაგაჩნია“.[2]

მისი ძმები და მეგობრები იყვნენ მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები და საერთოდ, ყველა კარგი პატივსაცემი ქუთაისელი. რა თქმა უნდა არაქუთაისელებთანაც მეგობრობდა. სწორედ ილოს სახელოსნო იყო ადგილი, სადაც ყველას უნდოდა მოხვედრა და, სადაც ყველას სურდა, სტუმარი მოეყვანა. ძალიან ბევრი ამბობს ქალაქში, ისინი ვინც შესწრებია ილოს ურთიერთობას ამ მართლაც ნიჭიერ და ქვეყნის სასიქადულო მოღვაწეებთან, რომ ილო საუკეთესო მსმენელი იყო და მომხსენებლის უზომოდ დამფასებელი. სწორედ ამ შინგანი მიზიდვის ძალით, რომელსაც მისი ახლობლები “ღვთიურ ნიჭსა და უნარს“ უწოდებენ, მას შეეძლო ყველა ადამიანში შთაენერგა ადამიანობის ძალა. მის გვერდით ყველა ხედავდა საკუთარ თავს ისეთს, როგორებიც ნამდვილად იყვნენ. მათ ეს თავდაჯერებას და შთაგონებას მატებდათ. უცხო თვალი ადვილად შეამჩნევდა ამ კომპანიონებით ილოს მონუსხულ სახეს, მაგრამ ამავე დროს მათ სიყვარულს და მადლიერებასაც ილოსადმი. და მაინც ვერავინ დაჩრდილავდა ილოს თვალში ოთარ ქანდარიას, თემურ ლორთქიფანიძეს, ვაჟა ჭყონიას, რეზო გაბრიაძეს, პეტრე ჭაბუკიანს, დური შენგელიას, ვალერიან მიზანდარს, ამურ ფხაკაძეს, ბერნარ ნებიერიძეს თუ სიყრმის მეგობართა კოჰორტის სხვა შესანიშნავ წარმომადგენლებს!

ქუთაისელი ფოტოგრაფი ზოგმა ლექსით “უკვდავყო“, ზოგმა მოთხრობით (რეზო გაბრიაძე, რეზო ჭეიშვილი), პიესის პასაჟით, ფერწერული ტილოთი (ვიტალი კაპანაძე), ან უბრალოდ, საუცხოო ანეკდოტით. მოდით, კიდევ ერთხელ ვესტუმროთ მის ნესტიან სახელოსნოს, აქ, ,,მეოთხე გასტრონომის გვერდით“, ილო ფოტოგრაფთან ისწავლა თურმე, თა-

[2] გაზეთი *ჩემი ქუთაისი*, 2005 წლის 20 მაისი.

ვის დროზე ხელობა ჩიტმა ბორიამ (გახსოვთ რეზო გაბრიაძის ცნობილი მარიონეტი?). ილოს სახელოსნოს წარმოსადგენად ზურაბ კუხიანიძის მოთხრობა ,,ილო“ უნდა წავიკითხოთ: ,,სახელოსნო საკანს ჰგავს, მაგრამ ყოველნაირი საჭირო მოწყობილობა მოხერხებულად აქვს განლაგებული: ონკანი უჟანგავი ლითონის ნიჟარით, სადაც გამჟღავნებულ ფირებსა და ფოტოსურათებს აჟანჟღარებს. ფარდაჩამოფარებული კედლის განჯინა წამლებით სავსეა; გამადიდებელი, ჟანგით დაჭორფლილი რეფლექტორი; ფირფიცრის სამსაფეხურიანი, გამარჯვებულ სპორტსმენთა კვარცხლბეკის მსგავსი-ჩამოსაჯდომი, ჯორკოს სიმაღლის ხის სამი კუბი, ორი ტაბურეტი და, რაც მთავარია, შუა ოთახში, სამფეხა საქათმისხელა შავჩაბალახმოხვეული აპარატი დგას, რომლის ზარბაზნის ლულასავით გაშვერილი ობიექტივის თითბრის სალტეზე მის ინგლისურ წარმომავლობას ამოიკითხავთ: ,,F.H. Dallweyrt B. PATEND LONDON. №05772“. სახელოსნოს მარჯვენა კედელში გასასვლელია... აქედან ილო ,,მღვიმეში“ შედის, რომელიც მეორე სართულზე მასწავლებელთა სახლში ამავალი კიბის ქვეშაა, შეიყუჟება იმ ,,მღვიმეში“ მიბნედილ წითელ სინათლეზე და ფოტოსურათებს ბეჭდავს.“

ქუთაისში ვერ იპოვიდით თუნდაც ერთ პიროვნებას, რომელიც ილომ გაანაწყენა. ძალიან მორიდებული ყოფილა, ძალიან თავმდაბალი, თუმცა ამავე დროს თავმოყვარე, სიმართლის დამნახველი და მაძიებელი. მისი მეგობრები იხსენებენ, რომ ძალიან ბევრისთვის უფასოდ გაუკეთებია სურათები, თუ შეიტყობდა, რომ შემკვეთს უჭირდა. ეს ფოტოები ხშირად, მიცვალებულის ფოტოები იყო. ასე ეტყოდა: ,,ამ ფოტოზე ვერ გეტყვი, მშვიდობით მოიხმარე და ფული როგორ გამოგართვაო“. ვაჟა ჭყონიას ხშირად უთქვამს, ილოს იმდენი სიკეთე უთესია, ქვრივ-ობლებისთვის და ღარიბ-ღატაკებისთვის უფასოდ იმდენი სურათი დაუბეჭდავს, რომ იმ ფულით ამ ქუჩას მთლიანად იყიდდაო“ მერაბ ქაჯაია (იგივე ,,პიკასო“) ამბობს, რომ ილოს ქურთუკი და საგარეო ფეხსაცმელიც კი გაუყიდია, ფოტოებისთვის მასალები რომ შეეძინა და მაინც ბევრისთვის უფასოდ დაუმზადებია სურათები, ჩარჩოშიც კი უსასყიდლოდ ჩაუსვამს.

ჩემი რესპონდენტი (ისურვა, მისი ვინაობა არ გამემხილა) ილოსთან დაკავშირებით იხსენებს ერთ ამბავს: ,,ხშირად დავდიოდი მასთან სახელოსნოში. ერთ ჩვეულებრივ დღეს კი, როცა ვესტუმრე და საჭმელი მივუტანე, ვნახე, კედელს მისჩერებია, რომელზეც ახლახან ჩამოეკიდა მისთვის ძალზე ახლობელი ადამიანის – გარდაცვლილი ძმის პორტრეტი. ჩემი შესვლა ვერ გაიგო, ვერც ის, თუ როგორ გავიტანე სახელოსნოში საჭმელი და უკან შემოვბრუნდი. ის ისევ ასეთ მდგომარეობაში დამხვდა. დავუძახე, ,,ილო", მან ვერ გაიგო, შემდეგ უფრო ხმამაღლა დავუძახე და ამის შემდეგ გაოგნებულმა შემომხედა. დღესაც არ შემიძლია ნათლად აღვწერო, რამხელა ტკივილის ამოკითხვა შევძელი მე მის სახეზე და ჩამქრალ თვალებში. ალბათ, ვერც ლეონარდო დავინჩი ვერ შეძლებდა მის დახატვას და მიქელანჯელო მის გამოქანდაკებას, ამ წუთის ილო რომ ენახათ".

ილო არ იყო ჩვეულებრივი, იოლად ამოსაცნობი პიროვნება, ის განსაკუთრებული ფენომენი ყოფილა. მემთვრალე არ იყო, მაგრამ ხშირად ნახავდითო ნასვამს – ჰყვებიან მის შესახებ. თუმცა, ვერ დაადგენდით, რამ დაათრო – ალკოჰოლმა თუ ცხოვრების, სიცოცხლის გამოცანაზე ფიქრმა ან თუ საკაცობრიო დარდმა. ბევრი იცოდა, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა. ერთხელ მაინც თუ მოგცემიათ შანსი, მისთვის შეგეხედათ, თვალი გაგესწორებინათ, ამოიკითხავდით მის სიძლიერეს, სინათლეს, უანგარო სიყვარულს, სიკეთის ქმნის უკიდეგანო სივრცეს, რომელიც მის ფოტოსახელოსნოს სამყაროზე დიდად წარმოაჩენდა. ილო ხახიაშვილი არ გაჰყვა 70-იანი წლების იმ ებრაულ ტალღას, რომელიც ისრაელის, სამშობლოს გზას გაუდგა. ამბობდა, იქ ერთი მეგობარი მაინც რომ მეგულებოდეს, აუცილებლად წავიდოდი ან წავალ, თუკი, ჩემი მეგობრებიც წამომყვებიანო.

ყველა თაობის, ყველა რანგისა და სპეციალობის ადამიანებს ჰქონდათ საშუალება ილოს ,,ბუდრუგანაში" ეპოვათ თავი და თავშესაფარი. ბევრი სტუმარი ილოს შეჭედილ ტაბურეტზე უფრო კარგად გრძნობდა თავს, ვიდრე რბილ სავარძელში. აქ თავს იყრიდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები: რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, მწერლები,

პოეტები, თბილისიდან ჩამოსული სახელოვანი მსახიობები – სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულიძე, რამაზ ჩხიკვაძე, ედიშერ მაღალაშვილი, მედეა ჯაფარიძე და სხვები. აქ ყველას ხვდებოდა თბილი და ყურადღებიანი მასპინძელი, რომელიც შეკითხვებით და ცნობისმოყვარეობით არავის აწუხებდა.

ილო ხახიაშვილი იყო სიმბოლო ქართველი და ებრაელი ხალხის ძმობისა. ბევრმა სულაც არ იცოდა მისი ეროვნება, არც აინტერესებდათ. უბრალოდ ყველასთვის ის ,,ჩვენი ილო“ იყო:

> ,,ებრაელმა ქართველ ბიჭებს წამი გაუკიდეგანა,
> გვიღიმიან ძველი ეშხით, მათი ხსოვნა არ ჩამქრალა,
> შედით ილო ფოტოგრაფთან, ნახეთ რამდენ სითბოს ფარავს,
> ქართველების სიყვარულში შეედრება ვინმე განა?“
>
> *თამარ ჯანდიერი*

ილო მხოლოდ მისი თანამედროვეების სურათებზე არ მუშაობდა. ერთხელ ნესტან კვეიძისგან (მსახიობი, მწერალი, პოეტი) წაუღია ლადო მესხიშვილის ქართული დასის 1904-1905 წელს გადაღებული სურათი და 1908 წელს აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე გადაღებული ფოტოები, რომელიც ქუთაისის თეატრში გაიმართა, რომ მათი ასლები დაემზადებინა. – ერთხელ კი, ნატო ვაჩნაძის უცნობი ფოტო გადმომცა, რომელიც ბატონ ელდარს გადავეციო, იხსენებს ნესტან კვეიძე.

ილოს ატელიეს ამშვენებს ბავშვების ფოტოებიც. ფოტოგრაფმა არ უნდა იცრუოს, რადგან ფოტოგრაფი ერთადერთი კაცია ამ ქვეყნად, რომელიც არ ტყუის, ამბობდა თურმე ილო. “არასდროს მომიტყუებია ბავშვი, არასდროს მითქვამს, „ჩიტი გამოფრინდება-მეთქი“. ბავშვი თუ ატირდებოდა, მაინც ვუღებდი სურათს. მიყვარს, როცა ბავშვები იცინიან ფოტოაპარატის წინ, მაგრამ როცა ტირიან, ის უფრო მიყვარს. ... თოჯინების თეატრში უფრო დავდივარ. თეჯირისკენ გავიხედავ ხანდახან... ბავშვებს ვუყურებ, იმათ გაცინებულ სახეებს ვუყურებ და მიხარია. უკეთეს რამეს თეატრში კი არა, დედამიწის ზურგზე ვერაფერს ნახავს კაცი“.[3]

---

[3] *ილო*, ქუთაისი ,,საგამოცემლო ცენტრი“, 2009.

ილო ფოტოგრაფი ქუთაისის ფოტომატიანეა. მისმა პორტრეტებმა შთამომავლობას შემოუნახა ქუთაისის საუკეთესო შვილთა სახეები და ხასიათები, ბედნიერებისა და სიხარულის ულამაზესი წამები. ის ყოველთვის სხვას უღებდა სურათებს. მას კი სრულყოფილად თითქმის ვერავინ ხატავდა, ვერც ფოტოაპარატით, ვერც ფუნჯით ვერც ავტოკალმით. ალბათ ძნელია, აღიქვა ამ საოცარი გრძნობის, უბრალო და, ამავე დროს დიდი ადამიანი.

ილო თავისი გულწრფელობითა თუ იუმორით გამოირჩეოდა. წყენაზე პასუხს არავის სცემდა, დუმილს ამჯობინებდა, თუმცა ეს დუმილიც საყვედური იყო. ილოს ცხოვრებიდან ეს საინტერესო დეტალი კი ნაწილობრივ აღწერს მის ხასიათს: ,,ილო მეგობრებთან ერთად ქეიფობდა რესტორანში, სადაც შევიდა ხელოვნების მუშაკი, მუსიკოსი. ილომ მიიწვია სუფრასთან, დაგვლოცეო. მან კი უარი უთხრა. უარმა ილოს გული ატკინა. გავიდა დრო და ბატონი მუსიკოსი, ერთ დღეს, შევიდა ილოს ,,ბუდრუგანაში", ილომ მისთვის ჩვეული ზრდილობით მიიწვია – მობძანდით, მობრძანდით, რა გნებავთო, ბატონო. მუსიკოსმა მოცარტის ერთ-ერთი სონატის ფოტოასლის გაკეთება სთხოვა. ილოს წყენა გაახსენდა და უთხრა: რა ვქნა, ბატონო, მოცარტის ნოტის ქაღალდი გამითავდა და თუ გნებავთ, ,,ბეთხოვენს" მოგართმევთო".[4]

მანანა ლარცულიანი (ჟურნალისტი) იხსენებს, რომ ილოსთვის ნაცნობს უცხოეთიდან ჩამოტანილი კოსტიუმი უჩუქებია და უთქვამს, ძალიან გთხოვ გაუფრთხილდი ამდენი და ამდენი მაქვს კოსტიუმში გადახდილიო. მეორე დღეს, ილომ უკან დაუბრუნებია საჩუქარი და მიზეზად უთქვამს, კარგად არ მომერგო, ჩემი ზომა არ გამოდგაო.

ასე გავიდა დრო და მოახლოვდა ილოს სამოცი წლის იუბილე. ქუთაისელებმა, მისმა მეგობრებმა და მისი ხელოვნების დამფასებლებმა გადაწყვიტეს, ეს დღე აღენიშნათ. მარიკა მარუშვილი იხსენებს, როცა ეს ილოს ვახარე, მან დარცხვენილმა მითხრა, სირცხვილია, თავი მოგვეჭრება ხალხში, არ მინდა, მრცხვენიაო.

---

[4] *ილო*, ქუთაისი ,,საგამოცემლო ცენტრი", 2009.

იუბილე მასწავლებელთა სახლის დარბაზში გადაუხადეს. ის იჯდა განცალკევებით, მისთვის განკუთვნილ სკამზე და ასე დარცხვენილი, განვლილ წლებზე მოფიქრალი და მეგობრებით გარემოცული სიამაყესაც გრძნობდა, რომ ასე უყვარდა ქუთაისს ილო და მისი მთავარი ხელობა ,,ადამიანობა“.

ილოს სიცოცხლეშივე გაჩნდა იდეა, რომ ილოსთვის გალერეა შექმნილყო, რომელშიც ამდენი, წლობით ნაგროვები, გაქვავებული წამები, სახეები, ადამიანები, ხასიათები, ტკივილი, მწუხარება თუ სიხარული და ბედნიერება გამოიფინებოდა. მაგრამ ამ იდეის განხორციელება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა შესაძლებელი. 2005 წლის 14 იანვარს ქუთაისში გაიხსნა ილო ფოტოგრაფის ძეგლი მისი ფოტოსახელოსნოს წინ. ასევე მუზეუმი (რომელიც შემდგომ ხანძარმა გაანადგურა და ხანძარს გადარჩენილი ექსპონატები მერაბ ქაჯაიასთან ინახება). ქვაში ილო ფოტოგრაფის გაცოცხლება მერაბ ქაჯაიამ და ირაკლი ჯაოშვილმა გადაწყვიტეს. ძეგლის ავტორი ნიჭიერი მოქანდაკე რეზო რამიშვილია. კარგად თქვა ბატონმა ოტია იოსელიანმა ძეგლის გახსნის დღეს, ,,იცხოვრე კაცურად, პატიოსნად და ძეგლს დაგიდგამენ. ეს ძეგლი პატიოსნებას დაუდგეს“. მწერალმა ასევე აღნიშნა, რომ ,,დიდი საიდუმლო და ნიჭია ერისა, ასე შეუმჩნეველ პიროვნებაში შეამჩნიოს ის მშვენიერება, რასაც ილო ატარებდა. მისი გენიალურობა უბრალოებაშია. დღეს ძეგლი კაცურად ცხოვრებას დავუდგით, იგი მაგალითია, როგორ უნდა ვიცხოვროთ ასე დაბეჩავებულ ქვეყანაში, რომელიც ხელიდან გვეცლება. ამის ფასი რომ ვიცით, შეიძლება გადავრჩეთ კიდეც. საოცარია და ერისთვის საამაყო, რომ ფოტოგრაფს დაუდგეს ძეგლი. ილომ მთელი ცხოვრება მასწავლებელთა სახლის კიბის ქვეშ გაატარა, სადაც თავისი სურათებით დიდი სამყარო ჰქონდა შექმნილი და ამიტომაც იყო, რომ ყველა პროფესიის ადამიანი მისი მეგობარი იყო და ყველა ცდილობდა, იმ სივიწროვეში როგორმე ჩატეულიყო“.

2007 წლიდან ყოველწლიურად იმართება ფოტოკონკურსი ,,ილო“, რომელიც ფოტომოყვარულებს საშუალებას აძლევს მიიღონ მონაწილეობა კონკურსში და გააცნონ ყველას თავისი ნამუშევარი. გამარჯვებულს სოლიდურ თანხასთან ერთად

გადაეცემა ილოს გამოსახულების თორმეტსანტიმეტრიანი ქანდაკება.

ჩანგო, უმეგობროდ ვერ გასძელი,
რაც გასძელი, ის წლებიც გენანება,
მარტო არ დაგტოვებს ებრაელი
ღალატი არ იცის ებრაელმა!
ის თქვი, რაც გითქვია ნეტარებით.
ვერც ვინ ვერ წაგართმევს პოეტს სიტყვას,
იცი, არ გაგწირავს ებრაელი,
სიყვარულს სიყვარულით გადაგიხდის
მარტომყოფს მარტომყოფი ებრაელი.
ერთობა წესად აქვთ ებრაელებს,
ჭირში არ დაგაგდებს ებრაელი,
მოვა და მარჯვენას მოგაშველებს!
სიბერე მწუხრით გეპარება,
შუქად ეფინება თოვლი წყლულებს,
ძმობა თუ შეგფიცა ებრაელმა,
გწამდეს სიკვდილამდე გიერთგულებს!
ღალატი არ იცის ებრაელმა.

მორის ფოცხიშვილი

გამოყენებული ლიტერატურა

1. იზა ვეფხვაძე, *ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს*, ქუთაისი, 2016.
2. გიზო თავაძე, *მხოლოდ სიმართლე ანუ ზოგი რამ*, ქუთაისი, 2017.
3. რუსლან ხონელიძე *საზოგადოება „ბალისკიდე“*, ქუთაისი, 2016.
4. გაზეთი *ახალი ქუთაისი*, 2002 წლის 24 აგვისტო.
5. გაზეთი *იმერეთის მოამბე*, 1995 წლის 22 აგვისტო.
6. გაზეთი *იმერეთის მოამბე*, 2005 წლის 27 იანვარი.
7. გაზეთი *ჩემი ქუთაისი*, 2005 წლის 21 იანვარი.
8. გაზეთი *ჩემი ქუთაისი*, 2005 წლის 20 მაისი.
9. ინტერვიუ მანანა ლარცულიანთან (ჟურნალისტი).

ილო ხახიაშვილი და სარა ციციაშვილი (ილოს დედა)

თამაზ მეძველია, გაჟა ჭყონია, დათო მალანია (ოთარ ქანდარიას დიშვილი), ოთარ ქანდარია, დური შენგელია, ლევან შენგელია, ზურაბ კუხიანიძე (ილოს მიერვე გადაღებული, თავისი ფოტოსახელოსნოს წინ)

ილო თავის (ბუდრუგანაში)

ილოს ძეგლი ქუთაისში

ჯილდო კონკურს ,,ილოს“ გამარჯვებულისთვის

ლოლიტა ჭოლაძე

ცოტა რამ იაკობ ბეგიშვილის შესახებ

ქალაქ ქუთაისში მანუფაქტურული წარმოების ერთ-ერთი პიონერი, პირველი ელექტროსადგურის დამაარსებელი, ქალაქის სათათბიროს ხმოსანი დეპუტატი, მრავალი სასიკეთო საზოგადოებრივი ინიციატივის ავტორი იაკობ ბეგიშვილი (ბეგოვი) კათოლიკე გახლდათ. მისი ღვაწლი ფასდაუდებელია ქუთაისის ცხოვრებაში

კათოლიკე მისიონი ქუთაისში

იმერეთში, კერძოდ, ქუთაისში მუდმივმოქმედი კათოლიკური მისიონის დაარსების კონკრეტული თარიღი უცნობია, სავარაუდოდ, ასეთად XVII ს. 20-30-იან წლებს მიიჩნევენ, როდესაც საქართველოში დომინიკელი და ფრანცისკელი მისიონერები თეატინელებმა შეცვალეს. 1626 წლითაა დათარიღებული პაპი ურბანო მერვის წერილი იმერეთის მეფისადმი, სადაც პაპი მეფეს ატყობინებს, რომ აგზავნის მის ქვეყანაში მღვდელ-მონაზვნებს და სთხოვს, მფარველობა გაუწიოს მათ. საქრთველოში თეატინელებმა ფართოდ გაშალეს თავიანთი საქმიანობა.

კათოლიკე მისიონერები დიდი ყურადღებით და თანადგომით სარგებლობდნენ ჩვენში. იმერეთის მეფეები მისიონერებს პატივისცემით ექცეოდნენ. ცნობილია, რომ იმერეთის მეფემ, ალექსანდრე მესამემ საეკლესიო მსახურებისათვის წმინდა სოფიას ეკლესია გადასცა ქრისტეფორე კასტელს (1644-1646).

კათოლიკეობის გავრცელების ერთ-ერთ ხელის შემწყობ პირობად მიჩნეულია იმერელთა შემწყნარებლური ხასიათი სხვა სარწმუნოებათა მიმართ. პეტრე გნილოსაროვი – ქუთაისის ვიცე–გუბერნატორი მე–19 საუკუნის შუა ხანებში – აღნიშნავს, რომ სხვა ბევრ კარგ თვისებასთან ერთად იმერლებს ახასიათებთ რელიგიური შემწყნარებლობა და უცხოელებისადმი ფანატიზმის უქონლობა. თავიანთი რელიგიური რწმენის სიმტკიცის მიუხედავად, მათ არასოდეს უდევნიათ სხვა რწმენის ხალხი, პირიქით, მე-17 საუკუნის დასაწყისში თეატინელთა ორდენის კათოლიკე ბერებმა უფლება მიიღეს დასახლებულიყვნენ იმერეთში და ხალხი კათოლიკურ რწმენაზე მოექციათ.

საქართველოში კათოლიკეობის გავრცელებას, როგორც პროფესორი შალვა ლომსაძე აღნიშნავს, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ „ჩვენში შემოსულ მისიონერთა დიდი ნაწილი ღვთისმეტყველების გარდა დაუფლებული იყო აგრეთვე სააფთიაქო და სამკურნალო საქმეს, რასაც განუწყვეტელი ომიანობის პირობებში ჩვენი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხშირ შემთხვევაში ისინი ავადმყოფებს უფასოდ მკურნალობდნენ და ხალხში პატივისცემას იმსახურებდნენ. ბევრი მათგანი ფლობდა სამოქალაქო დისციპლინებს: ფილოსოფიას, ისტორიას, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, მხატვრობას“.

ქართველი კათოლიკეების მიგრაცია სამცხე-ჯავახეთიდან ქუთაისში მე-17 საუკუნიდან დაიწყო. მე-19 საუკუნის დასაწყისში მეფე სოლომონ მეორემ კათოლიკე მისიონერებს „წყალობის სიგელით“ ადგილი უბოძა ქუთაისში.

კათოლიკე მისიონერები აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქალაქისა და მხარის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში,

ეწეოდნენ ქველმოქმედებას. ილაშქრებ-დნენ ტყვეთა ვაჭრობის წინააღმდეგ, რაც იმდროინდელი საქართველოს ნამდვილ უბედურებას წარმოადგენდა. მათ გამოსყიდვითა თუ სხვა რამ გზით მრავალი ქართველი უხსნიათ მონობისაგან ირანისა და ოსმალეთის ტყვეთა ბაზრებზე. მისიონერები მომრიგებლებადაც გამოდიოდნენ შიდა აშლილობისა და ომების დროს. ქართველი მეფეები მათ გარკვეულ დიპლომატიურ მისიებსაც აკისრებდნენ.

კათოლიკე მისიონერებისა და ქართველი კათოლიკეების დიდი დამსახურებაა იმერეთში სამკურნალო საქმის დანერგვა და მისი შემდგომი განვითარება, სააფთიაქო საქმის აღორძინება, მცირე საწარმო-ფაბრიკების დაარსება და უცხოეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. კათოლიკეები ჩართულნი იყვნენ ქალაქის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

ქუთაისელი კათოლიკეები მოსახლეობის დაწინაურებულ ფენას წარმოადგენდნენ. შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა საზოგადოების ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც ქართველ კათოლიკეებს თავიანთი სიტყვა არ ეთქვათ, განსაკუთრებით – მედიცინის, განათლების და მეწარმეობა-ვაჭრობის სფეროში.

რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარე კათოლიკეთა დასახლების ისტორია ქუთაისში მუდმივმოქმედი კათოლიკური მისიონის დაარსებას უკავშირდება. ეს უბანი ვარლამიშვილის, ცეტკინის (ახლანდელი მალხაზ დვალიშვილის), ბროსესა და ნიუპორტის ქუჩებს მოიცავს.

ქუთაისში, „კათოლიკეების უბანში“, დღეს კათოლიკეები კომპაქტურად აღარ სახლობენ. ქალაქში, სადაც მე-20 საუკუნის დასაწყისში ორი ათასამდე კათოლიკე ცხოვრობდა, დღევანდელი მონაცემით, მხოლოდ 300 კათოლიკე ცხოვრობს.

ქუთაისმა უამრავი კათოლიკე მოღვაწე აჩუქა საქართველოს, ერთი მათგანია იაკობ სიმონის ძე ბეგიშვილი (ბეგოვი).



იაკობ ბეგიშვილი

მეწარმე და მოღვაწე

იაკობ სიმონის ძე ბეგიშვილი (ბეგოვი)[1] ქუთაისელ მეწარმეთა გამორჩეული წარმომადგენელი იყო. ის გახლდათ მეორე გილდიის ვაჭარი და ქალაქში მანუფაქტურული წარმოების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

[1] იაკობ ბეგიშვილის დაბადების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. მეუღლის (დ. 1854) და უფროსი შვილის (დ. 1873) დაბადების წლების მიხედვით, სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლო ან 50-იანი წლების დასაწყისი.

მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქუთაისში აქტიურად დაიწყო საფეიქრო მრეწველობის განვითარება. 1894 წლისთვის ქუთაისში ჩამოყალიბდა „ქუთაისის მეაბრეშუმეობისა და ფეიქრობის ამხანაგობა“, რომლის მიზანსაც დარგის განვითარება, სართავ-საქსოვი დაზგების დამზადება და მზა პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

იაკობ ბეგიშვილი (ბეგოვი) საკმაოდ წარმატებული იყო ამ სარბიელზე. ქალაქის გენერალური შემოწმების ჟურნალის 1877 წლის მონაცემებით, ბეგიშვილის (ბეგოვის) მფლობელობაში იყო აბრეშუმის საქსოვი და ბამბის სარჩევ-სართავი ქარხნები და ორი სავაჭრო სახლი მიხეილის (ახლანდელი ზაქარია ფალიაშვილის) ქუჩაზე. აქედან ერთს, რომელიც მის საკუთრებაში იყო, დაქირავებული ნოქრის ხოჯევანოვის მეშვეობით მართავდა, ხოლო მეორე მაღაზიას, რომელიც ზუბალაშვილების სახლში იყო განთავსებული, თავად განაგებდა. ამ მაღაზიებში მისსავე ქარხნებში დამზადებული აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები იყიდებოდა. ბეგიშვილის ქარხნის ნაწარმი საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა და მისი რეალიზაცია საზღვარგარეთაც ხდებოდა, ძირითადად, რუსეთში, თურქეთსა და გერმანიაში.

უკვე 80-იანი წლების დასაწყისში იაკობ ბეგიშვილმა თავისი წარმოების გაფართოება დაიწყო. კათოლიკეების ქუჩაზე (ახლანდელი ვარლამიშვილის ქუჩა) მდებარე მის ერთ-ერთ საწარმოში იმ დროისთვის უკვე 30 კაცზე მეტი იყო დასაქმებული, რაც მაშინდელი ქუთაისის წარმოებისთვის სოლიდურ ოდენობას წარმოადგენდა. ბეგოვის საწარმოში ბამბას გლეხებისგან ყიდულობდნენ, შემდეგ მას ამუშავებდნენ: აცლიდნენ კურკას, პენტავდნენ მანქანებით და პრესავდნენ. დაპრესილი ბამბა და კურკა იგზავნებოდა რუსეთში, სადაც მისგან ზეთს ხდიდნენ.

ქუთაისში ამ ქარხნის ნაშთები, კერძოდ, ქარხანაში შესასვლელი ჭიშკრის თაღი, დღემდე შემორჩენილია.

ბეგიშვილების მამაპაპეული სახლი, რომელიც მდებარეობს ვარლამიშვილის ქუჩის თვრამეტ ნომერში, აგებულია 1870 წელს. ამ სახლის ეზოში მოწყობილი იყო ელექტროსად-

გური და მუშაობდა წისქვილი. ახლა იქ საგამოფენო დარბაზი „ვარლაა“ და მხატვართა სახელოსნოები.

სახლს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2008 წლის 16 ივლისს. სტატუსის მინიჭების დოკუმენტის ნომერი: 3/164 http://www.memkvidreoba-gis.gov.ge/Home/Immovable/18084?fbclid=IwAR1oLxY9DuoYKXN2kldH0lfVkiJQKOOrQfHoH7OVZWIYx_62G3dYKPjeuCE

1979 წელს ამ ქარხნისა და მისი მესაკუთრის იაკობ ბეგიშვილის შესახებ საინტერესო ცნობები მიაწოდა ისტორიკოს მიხეილ ნიკოლეიშვილს 85 წლის მოქალაქე პეტრე ლევანის ძე ფირალოვმა.

1878 წელს ქალაქის გამგებობამ იაკობ ბეგიშვილთან დადო ხელშეკრულება მიხეილისა და ალექსანდრეს ხიდებზე მგზავრთა გატარებით შემოსული თანხის ნაწილის იჯარის

იაკობ ბეგოვის სახლი, ვარლამიშვილის ქ, N 18. ფოტო ლ. ჭოლაძის

წესით გადაცემის შესახებ. ეს ხიდები 1879 წელს გაცემული იყო მეორე გილდიის ვაჭარ იაკობ კოკოჩაშვილზე.

XIX საუკუნის დასასრულისათვის ქუთაისში არსებულ რამდენიმე „პასაჟს“ (სპეციალური სავაჭრო ადგილი) შორის სილამაზით გამოირჩეოდა ბეგოვის „პასაჟი“, რომელსაც დღევანდელი ფალიაშვილის ქუჩაზე, N 23-ში მდებარე სახლი წარმოადგენს (ორსართულიანი, ვარდისფერი ეკლარის ქვის შენობა).

1881 წელს იაკობ ბეგიშვილმა ინჟინერ ი. ლიავდანსკის შეადგენინა პროექტი, მიხეილის ქუჩაზე არსებული მისი კუთვნილი დუქნების ადგილზე ორსართული-ანი ქვის დიდი სავაჭრო სახლის – ე.წ. „პასაჟის“ ასაგებად. პროექტი ითვალისწინებ-და სახლის შიგნით, პირველ სართულზე მიხეილის ქუჩისა და „მწვანე ბაზარს“/მწვანე მოედანზე (ახლანდელი ცენტრალური დახურული ბაზარი) შორის გამჭოლი გასასვლელისა (გამავალი „პასაჟის“) და ქუჩისა და მოედნის მხარეზე მაღაზიების მოწყობას. შენობა ორმხრივი იყო, პროექტით შენობას ფასადი ჰქონდა, როგორც ბაზრის, ისე მიმდებარე მოედნისა და ქუჩის მხარესაც, იმ განსხვავებით, რომ სილამაზით, ქუჩის მხრის ფასადი გამოირჩეოდა. ამ დახვეწილი სტილით ნაშენებ შენობას დიდი საათი აგვირგვინებდა. „პასაჟის“ პირველ სართულზე სხვადასხვა პროფილის მაღაზია იყო განთავსებული, მეორე სართული საწყობებს ეჭირა. ზოგიერთი ცნობით, მეორე სართული საცხოვრებლად გამოიყენებოდა.[2] მთლიანად შენობა გარედან ვარდისფერი ეკლარის ქვით იყო მოპირკეთებული. დიდი მინიანი ვიტრინებითა და ევროპული დიზაინით გაწყობილი მაღაზიები, მთლიანობაში, ერთობ სასიამოვნო შესახედავს ხდიდა ამ შენობას და იმ დროისათვის ქალაქის ერთ-ერთ ღირშესანიშნაობას წარმოადგენდა. კარნიზის შესამკობელ უჩვეულო კბილანებს შორის მფლობელის რუსული მონოგრამაა ჩართული – ЯБ.

სახლი პროექტის სრული დაცვით 1882 წელს აიგო; ამას მასზე მოთავსებული წარწერაც ადასტურებს. დღეს ეს შენობა, ცოტა სახეცვლილ მდგომარეობაში კვლავ ინარჩუნებს

[2] ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 108, საქმე 4694.

იაკობ ბეგოვის სახლი დღეს, ზაქარია ფალიაშვილის ქ. N 23. ფოტო გელა ღაჭავასი

სავაჭრო ობიექტის ფუნქციას. პირველ სართულზე დღესაც მაღაზიებია განთავსებული.

სახლს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2008 წლის 16 ივლისს. სტატუსის მინიჭების დოკუმენტის ნომერი: 3/164 http://memkvidreoba.gov.ge/Home/Immovable/18137?fbclid=IwAR3CKaer_-1YMWrP4U2ZnQMgnisPdMvO23V3yI2jtaMDCCnNS8RMPwQCJ7M

იაკობ ბეგოვის ინიციატივათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგება, რაც მან თავის ვაჟიშვილთან ერთად შეძლო. 1893 წელს იმავე კათოლიკეთა ქუჩაზე ამოქმედდა 85 ცხენის ძალიანი

მე-20 საუკუნის 50-იანი წლები. იაკობ ბეგოვის აშენებული სავაჭრო ცენტრი ე.წ. „პასაჟა“



ივანე ბეგიშვილის სახლის პროექტი

ელექტროსადგური, რომელმაც ქუთაისს პირველი ელექტროენერგია მისცა. ელექტროსადგურის გენერატორები დიზელის საწვავზე მუშაობდა, თავად სადგურისთვის დანადგარები კი გერმანიიდან ჩამოიტანეს. მის მიერ მოწოდებული შუქით ნათდებოოდა საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებები და შეძლებულ მოქალაქეთა სახლები. აქვე იყო მოწყობილი წისქვილი, რომელიც ასევე დენზე მუშაობდა. რა თქმა უნდა, ელექტროსადგური მთელ ქალაქს ვერ გასწვდებოდა, მაგრამ 1911 წლამდე ის ქუთაისისთვის ერთადერთ სინათლის წყაროს წარმოადგენდა.

ქალაქში მეორე ელექტროსადგური მიტროფანე ლაღიძემ ააგო 1911 წელს. ორივე ელსადგურის სიმძლავრე 110 ცხენის ძალას შეადგენდა, რაც ქალაქის მცხოვრებთა მინიმალურ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა. ლაღიძის ელექტროსადგურის სიმძლავრე 1913 წელს 70 ცხენის ძალამდე გაიზარდა და ამით ორივე ელექტროსადგურის სიმძლავრემ 155 ცხენის ძალა შეადგინა, მაგრამ ორივე ეს ელექტროსადგური წლის განმავლობაში იმდენ ელექტროენერგიასაც კი ვერ იძლეოდა, რამდენსაც რიონჰესი იძლევა ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

ქუთაისის იმჟამინდელი ხელმძღვანელობისთვის ზოგიერთ გადასაჭრელ საკითხთა შორის პირველ ადგილზე განათების პრობლემა იდგა. როგორც ვიცით, განათება ხდებოდა ნავთის ფარნებით, ეს საქმე 1912 წელს იჯარით აიღო იულიუს საარეკმა. საათში განათებისათვის მას აძლევდნენ ხუთ კაპიკს. ფარნები იყო ორი სახისა – დიდი და პატარა. 1913 წელს იყენებდნენ 149 დიდ ფარანს, რომელსაც წლიურად სჭირდებოდა 17 ათასი მანეთი, 500 პატარა ფარანს კი – 5960 მანეთი.[3]

1913 წლის მარტში სათათბიროს სხდომაზე გაეცნენ სავაჭრო სახლის „იაკობ ბეგოვის“ მესაკუთრის წერილს – ქალაქში ელექტრობოძების დადგმის უფლების თხოვნით. აქ ნათქვამი იყო, რომ გასულ წელს ქალაქის ხელმძღვანელობამ კომპანიას სთხოვა, ხელშეკრულება გაეფორმებინა ელექტროგანათების გაყვანის თაობაზე. ამის პასუხად მათ ააგეს

[3] ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 108, საქმე 4694.

ელექტროსადგური კათოლიკეების ქუჩაზე, მაგრამ ახლა ელექტრობოძების დადგმის უფლებს არ აძლევენ, რადგან მიტროფანე ლაღიძე უფრო მომგებიან ფასში აწვდიდა ელექტროენერგიას მომხმარებელს, რაც, იაკობ ბეგოვის აზრით, სწორი არ იყო, ვინაიდან ლაღიძესთან არ იყო გაფორმებული სათანადო ხელშეკრულება და, თანაც, მისი სადგური მცირეძალიანი იყო (აქვს 110 ცხენის ძალა).[4]

ქალაქის სათათბირომ იაკობ ბეგოვს უარი უთხრა თხოვნაზე, მაგრამ დაადგინა, რომ მშენებლობის საქმეთა კომისიას შეემუშავებინა ქალაქში ელექტროსადგურის მფლობელთა მიერ ქსელის გაყვანის ნორმები. ეს ნორმები განიხილეს 1913 წლის ივნისში ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, ყოველ 15 დადგმულ ბოძზე ელექტროსადგურის მფლობელს ორ კვირაში უნდა დაედგა ერთი შვიდასსანთლიანი, ექვსი ამპერის სიმძლავრის რკალური ფარანი.

იაკობ ბეგიშვილი სამეწარმეო საქმიანობას დიდი წარმატებით ათავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობასთან, ის აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის ცხოვრებაში. 1893-95 წლებში არჩეული იყო ქალაქის სათათბიროს წევრად ხმის უფლებით.

ცნობილი მეწარმე 1913 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ქუთაისში საფიჩხიის საგვარეულო სასაფლაოზე, თუმცა საფლავის ადგილი დადგენილი არ რის.

შთამომავლობა

იაკობ ბეგიშვილის (ბეგოვის) შთამომავალია (შვილთაშვილი) ქუთაისის კათოლიკური სამწყსოს საბჭოს წევრი ლევან ბეგიშვილი, რომლის ოჯახი ახლანდელი ვარლამიშვილის ქუჩაზე 1873 წლიდან დასახლდა. დღეს ბეგიშვილი ამ ქუჩაზე, ყოფილი კათოლიკური ეკლესიის მეზობლად, აღარ ცხოვრობს, თუმცა მისი საგვარეულო სახლი ისევ აქაა. ბატონი ლევანი აქტიური საზოგადო მოღვაწეობით გამოირ-

[4] ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 108, საქმე 4694.

ჩევა. იგი ღირსეულად განაგრძობს დიდი წინაპრის ტრადიციებს და ერთგულად, სიყვარულით ემსახურება მშობლიურ ქალაქს.

იაკობ ბეგიშვილს ჰყავდა მეუღლე აღათა ჯიმშერიშვილი (1854-1937). მისი შვილთაშვილის, ლევან ბეგიშვილის თქმით, მათ ჰყოლიათ რვა შვილი, ექვსი ვაჟი: სიმონი, გიორგი, ლევანი, ივანე, კონსტანტინე, სტეფანე და ქალიშვილები – მაშო და ემილი. დაქორწინებულნი მხოლოდ ვაჟები იყვნენ.

ივანე ბეგიშვილი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა, ცოლად შეირთო გერმანელი ქალი. მისი შთამომავლები ცხოვრობენ დრეზდენში და გვარად ატარებენ Begoff-ს. ურთიერთობა აქვთ ნათესავებთან და სტუმრობენ ხოლმე საქართველოს.

ლევან ბეგიშვილის შთამომავალია ქუთაისში მცხოვრები ლევან ბეგიშვილი, რომლის მამა თეიმურაზ ბეგიშვილი (ჰყავდა და-ძმა ვახტანგი და თინათინი) იყო ავტოინჟინერი და მოღვაწეობდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში.

ბატონი ლევანი მუშაობს „საქართველოს კარიტასში“, რომელიც კათოლიკური ეკლესიის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდია.

დანარჩენი ვაჟების – სიმონის, გიორგის, კონსტანტინეს და სტეფანეს შთამომავლები თბილისსა და ლონდონში ცხოვრობენ.

იაკობ ბეგიშვილი ოჯახთან ერთად: მეუღლე – აღათა ჯიმშერიშვილი

შვილები: ივანე, სტეფანე (სტეპკო), კონსტანტინე, მაშო, სიმონი. ქ-ნი ანგელა (?!)

შვილიშვილები: არჩილი და პაპის სეხნია იაკობი,

ფოტო გადაღებულია 1906 წელს

იაკობ ბეგიშვილი შვილებთან – ივანე და კონსტანტინესთან ერთად

სიმონ იაკობის ძე ბეგიშვილი(1873-1917) – რუსეთის საიმპერატორო ჯარის ოფიცერი, სამხედრო ექიმი – შვილებთან ივანე, არჩილ და სტეფანე ბეგიშვილებთნ ერთად



კონსტანტინე, ლევან და ივანე ბეგიშვილები
ფოტო გადაღებულია 1914 წელს დრეზდენის პარკში, გერმანია

გიორგი ბეგიშვილი (1875-1952). იაკობ ბეგიშვილის მეორე ვაჟი

იაკობ ბეგიშვილის მეოთხე ვაჟი – ივანე ბეგიშვილი (1881-1961) – ინ-ჟინერ-ქიმიკოსი (ინტერნეტ–სივრცეში მოპოვებული ინფორმაციით, ივანე გარდაიცვალა 1965 წელს. მისი შთამომავლის მიერ გაკეთებული გენიალოგიის მიხედვით კი – 1961 წელს)

კონსტანტინე ბეგიშვილი – იაკობის მეხუთე ვაჟი. ფოტო გადაღებულია დრეზდენში, სწავლის პერიოდში.

ლევან ბეგიშვილი უმცროსი. ფოტო ლ. ჭოლაძის

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ენციკლოპედია *იმერეთი*, ავტორ-შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ნანული ცხვედიანი (ხელნაწერის სახით), ქუთაისი, 2010.
2. გიორგი მჭედლიძე, *ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები* (1892-1921)“, ქუთაისი, 1993, გვ. 30-31.
3. მიხეილ ნიკოლეიშვილი, „სამრეწველო და სახელოსნო საწარმოები ქუთაისში“, გაზეთი ქუთაისი, 1984 წ., 18 აგვისტო, გვ. 2.
4. მერაბ კეზევაძე, „იაკობ ბეგოვის სახლი“, გაზეთი *„ჩემი ქუთაისი“*, 2005, 9 აგვისტო, გვ.8.
5. *ქუთაისი. საქართველოს ძველი ქალაქები* (ალბომი). თბილისი, 2006, გვ. 117-118.
6. ბოცვაძე სერგო, მიხეილ ნიკოლეიშვილი, პეტრე ვაჭრიძე – *ქუთაისი* (გზამკვლევი). ქუთაისი, 1960, გვ. 161.

7. ალექსანდრე მიქავა, "ქუთაისი – ფურცლები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან", ჟურნალი *განთიადი*, 1982, N 1, გვ. 184-190.
8. ნუგზარ კვარაცხელია, „ქუთაისელი კათოლიკეები XIX საუკუნეში", ქუთაისის მუზეუმის მასალები, კრებული XI, ქუთაისი, 1999, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ქუთისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. გვ. 89-90, 97.
9. ისააკ და ივანე პურადაშვილები, *მოგონებები*, 2009, ქუთაისი, გვ. 363-420.
10. პეტრე ვაჭრიძე, *ხონის ისტორიიდან*, თბილისი, 1998, გვ. 77-92.
11. ია აბულაშვილი, „როგორ მიიღო ქუთაისმა თვითმმართველი ქალაქის უფლება", http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=30292
12. http://www.kutaisipost.ge/video/article/2520-metsarme-romelmac-quthaisi-pirvelma-gaanatha-video
13. https://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos/a.383266495072249.86649.310094492389450/331193950279504/?type=3
14. https://www.radiotavisupleba.ge/a/1519917.html
15. http://www.highlander.ge/%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-xix-%E1%83%A1%E1%83%90/
16. http://netgazeti.ge/life/12852/
17. http://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos/a.310094809056085/533653686700195/?type=3&theater
18. http://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos/a.356279897770909/905820882816805/?type=3&theater
19. http://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos/a.310094809056085/533653686700195/?type=3&theater
20. http://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos/a.356279897770909/905818839483676/?type=3&theater

21. https://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos /a.356279897770909/905818602817033/?type=3&theater
22. https://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos /a.356279897770909/384216664977232/?type=3&theater
23. https://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos /a.356279897770909/384216698310562/?type=3&theater
24. https://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos /a.356279897770909/384218204977078/?type=3&theater
25. https://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos /a.356279897770909/384218444977054/?type=3&theater
26. https://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos /a.356279897770909/384218168310415/?type=3&theater
27. https://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos /a.383266495072249/331193950279504/?type=3&theater
28. https://www.facebook.com/UnknownKutaisi/photos /a.310094809056085/533653686700195/?type=3&theater